ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 23 მარტი 2000 №53 (1075) | ფასი 50 თეთრი

## ფედერაცია და დინამო: სკანდალის სუნი!

საქმეს ისეთი პირი უჩანს, თბილისის „დინამომ“ უკანვე უნდა დააბრუნოს მიხეილ აშვეთიას სანაცვლოდ ვლადიკავკაზის „ალანიადან“ აღებული ფული, უნდა დააბრუნოს ის თანხაც, რაც ოსებმა ფეხბურთელს უკვე გადაუხადეს. ყველაფერი 100 ათას დოლარს აღემატება.

გუშინ რუსეთის საფეხბურთო კავშირმა კლუბებისგან განაცხადების მიღება შეწყვიტა. ხვალ რუსები ჩემპიონატს იწყებენ. „ალანიას“ კი პირველ წრეში აშვეთიას თამაშის უფლება არა აქვს. ვლადიკავკაზელებს მეორე წრემდე, შემოდგომამდე მოუწევთ ლოდინი. სწორედ მაშინ ექნებათ საშუალება, ჩვენებური თავდამსხმელი საჩემპიონატოდ განაცხადონ. ყოველ შემთხვევაში, დღეს ასეა, ისე კი, „ალანიას“ ხელმძღვანელობის მარიფათსა და რუსეთის საფეხბურთო კავშირის მოხელეთა „დიდსულოვნებაზეც“ ბევრია დამოკიდებული.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ არც გუშინ დაუსვა ბეჭედი აშვეთიას გათავისუფლების ფურცელს, ურომლისოდაც, მოგეხსენებათ, ფეხბურთელი ვერცერთ უცხოურ კლუბში ვერ ითამაშებს. ფედერაციის გენერალური მდივნის, ვალერი ჩოლარიას თქმით, აშვეთია „დინამოს“ მიერ დისკვალიფიცირებულია, იგი კლუბს არ დაჰკითხვია, თავი დაადო და იანვარში, როცა პრეზიდენტის მოვალეობას რომან შოთაძე ასრულებდა, ვლადიკავკაზის „ალანიას“ მიაშურა, თანაც მაშინ, როცა „დინამოსთან“ კონტრაქტი არ გასრულებოდა. თურმე ეს ყოფილა იმის საბაბი, კლუბს აშვეთია დაესაჯა. „ალანიამ“ დინამოელის განაცხადში შესაყვანად საჭირო საბუთები რომ მოითხოვა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან პასუხად მიიღო — ფეხბურთელი დისკვალიფიცირებულიაო. „ალანიასთვის“ გაგზავნილ ფაქსს, როგორც შევიტყვეთ, ხელს რომან შოთაძე აწერს.

თბილისის „დინამოს“ ახლანდელმა პრეზიდენტმა მერაბ რატიანმა კი განგვიცხადა, აშვეთია კლუბმა გაათავისუფლა, მის სანაცვლოდ გარკვეული თანხაც მივიღეთ და ფეხბურთის ფედერაციას უფლება არა აქვს, ფეხბურთელს შესაბამისი სერთიფიკატი დაუგვიანოსო.

ერთი სიტყვით, ამ საქმეს სკანდალის სუნი უდის. ფედერაციისა და „დინამოს“ ურთიერთობაზე კაცი მთლად დალაგებულს ვერ იტყვის.

— ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი, ფედერაციის პრეზიდენტს ჰკითხეთ, რატომ არ აძლევს აშვეთიას რუსეთში თამაშის უფლებას. „დინამომ“ „ალანიასგან“ სატრანსფერო თანხა უკვე მიიღო. ახლა კი, სასწაული თუ არ მოხდა, ფული უკანვე უნდა დავაბრუნოთ. ჩემთვის გაუგებარია, რას აკეთებს ფედერაცია, რატომ გვავნებს — მერაბ რატიანი ხასიათზე ვერ იყო, თუმცა ნათქვამს დაამატა, იმედი მაქვს, უახლოეს დღეებში რამე შეიცვლებაო.

„ალანიას“ მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა კი, კვიპროსზე რომ შევეხმიანეთ, ეს გვითხრა.

— ძალიან ვნერვიულობ. რაც აშვეთიას სანაცვლოდ „დინამომ“ მოითხოვა, გადავიხადეთ. ფეხბურთელმა ჩვენთან კონტრაქტიც გააფორმა და დღედღეზე განთავისუფლების ფურცელს ველოდით, მაგრამ არ მიგვიღია. რა ვქნათ, აღარ ვიცით. ალბათ უაშვეთიოდ მოგვიწევს ჩემპიონატის დაწყება.

შეგახსენებთ, „ალანიამ“ პირველი მატჩი 25 მარტს მოსკოვში, „სპარტაკთან“ უნდა ჩაატაროს და აშვეთია თუ არა, რუსების ჩემპიონებთან სხვა ქართველები მაინც ითამაშებენ. სილაგაძე, წერეთელი, ფოცხვერია, კიკნაძე და ანჩებაძეც უკლებლივ „ალანიას“ განაცხადში არიან.

ქობა ინასარიძე



REUTERS კიევიდან

დინამო — ბაიერნი 2:0. დინამოელმა კახი კალაძემ ანგარიში გახსნა

## ქართველთა ორი ამაო გოლი

სამწუხაროდ, სწორედ იმ შეხვედრით, რომელშიც კიეველმა ქართველებმა კახი კალაძემ და გიორგი დემეტრაძემ გაიტანეს, „დინამო“ ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობა. მეოთხედფინალისტებს წუხელ ბოლო ორი კლუბიც დაემატა, „ლაციო“ და „რეალი“. რვა უძლიერესი ხვალ, ჩვენი დროით 16 საათზე შვეიცარიის ქალაქ ნიონში დაწყვილდება. ჯგუფში პირველ ადგილზე გასულებს მეტოქეებად სხვა ჯგუფებში მეორენი ერგებათ.

### მეორე ეტაპი VI ტური

C ჯგუფი

| | |
|---|---|
| რუსენბორგი | 0 |
| რეალი | 1 |
| დინამო | 2 |
| ბაიერნი | 0 |

D ჯგუფი

| | |
|---|---|
| ჩელსი | 1 |
| ლაციო | 2 |
| მარსელი | 0 |
| ფეიენოორდი | 0 |

იხილეთ მეორე გვერდი

## ატყდა იყო და არ იყო...

### საქართველოს თასი მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩები

22 მარტი, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| დილა | 1 (0) |
| დინამო | 4 (4) |
| ტორპედო | 2 (0) |
| სამგურალი | 0 (0) |
| კოლხეთი | 0 (0) |
| ბათუმი | 0 (3) |
| ლოკომოტივი | 0 (0) |
| ვიტ ჯორჯია | 0 (0) |

*პენალტებით 3:1 „ლოკომოტივმა“ მოიგო*

*მეოთხედფინალის მთავარი მოქმედება თბილისში, „ეროვნულზე“ გათამაშდა. „ლოკომოტივმა“ „ვიტ ჯორჯიას“ თამაშით რომ ვერ აჯობა, პენალტებით მოუგო და ნახევარფინალში გააღწია.*

*ამ მატჩზე კიდევ ბევრს ილაპარაკებენ. საჭოჭმანოც ბევრი იყო, თუნდაც ის, რომ ვეტერინარები თანამსაჯ ზურაბ დოლიძეს არჩათვლილი გოლის გამო ედავნენ. თუმცა, რაღას გამორჩებოდნენ.*

*დანარჩენ სამ თამაშში სენსაციური არაფერი მომხდარა. „ტორპედომ“, „ბათუმმა“ და „დინამომ“ ნახევარფინალში თამაშის უფლება ძალების დაუძაბავად მოიპოვეს.*

იხილეთ მესამე და მეოთხე გვერდები



გუშინ ეროვნულზე: „ლოკომოტივი“ — „ვიტ ჯორჯია“ 0:0 (3:1პ). პენალტის ვერგამტანი ვიტელი ვლადიმერ გოჩაშვილი ბოლო დარტყმას ელის

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი
VI ტური. 22 მარტი



REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — ლაციო 1:2. ლონდონელი ალბერტ ფერერი და რომაელი პაველ ნედვედი (მარჯვნივ)

### C ჯგუფი

**დინამო 2:0 ბაიერნი**

1:0 კალაძე (34), 2:0 დემეტრაძე (72),
დინამო: შოვკოვსკი, გერასიმენკო, გოლოვკო, მამედოვი, ნესმაჩნი (იაშკინი 36), ხაცკევიჩი (კარდაშ 85), კალაძე, ბელკევიჩი, გუსინი, რებროვი (შაცკიხი 85), დემეტრაძე
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
ბაიერნი: ვესელსი, ლინკე, ანდერსონი, კუფური, ტარნატი, ვაისინგერი, ფინკი, სალიჰამიჯიჩი, ვიცეხოვსკი, ციკლერი (დი სალვო 35), სანტა კრუზი (იაროლიმი 77)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მსაჯი: ჟ. ვისიერი (საფრანგეთი)
65 000 მაყურებელი

**რუსენბორგი 0:1 რეალი**

0:1 რაული (3)
რუსენბორგი: არასონი, ბასმა, ბერგდოლმო, სტრანდი, იონსენი, ჰოფტუნი, სკამელსრუდი, ო. ბერგი, სორენსენი, კარეუ, მინი-იაკობსენი (კნუტსენი 70)
მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი
რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი, კამპო, იერო (კარანკა 46), რედონდო, გუტი, მაკმანამანი, ელგერა, რაული, მენდესი (ბალიჩი 57, კარემბუ 85)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: გუტი, სალგადო
გაძევება: გუტი (54)
მსაჯი: ნ. ლევნიკოვი (რუსეთი)
13 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:8 | 13 |
| რეალი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:12 | 10 |
| დინამო | 6 | 3 | 1 | 2 | 10:8 | 10 |
| რუსენბორგი | 6 | 0 | 1 | 5 | 5:11 | 1 |

### D ჯგუფი

**მარსელი 0:0 ფეიენოორდი**

მარსელი: პორატო, რ. მარტინი, ფიშერი, ლუქსენი, აბარდონადო, ბრანდო, ჟ. ლერუა, რეინა, დე ლა პენია, კეიტა (გალანონი 90), ბაკაიოკო (მოზესი 62)
მწვრთნელი: ბერნარ კაზონი
ფეიენოორდი: დუდეკი, ვან გობელი (კორნეევი 80), კონსტერმანი, ვან ვონდერენი, რზასა, ბოსველტი, ვან გასტელი (სომალია 75), დე ვისერი (ვან ფოსენი 66), კალუ, დალ ტომასონი, ხულიო კრუზი
მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი
გაფრთხილება: მარტინი
გაძევება: მარტინი (75)
მსაჯი: ა. დაუდენ იბანესი (ესპანეთი)
10 000 მაყურებელი

**ჩელსი 1:2 ლაციო**

1:0 პოიეტი (45), 1:1 ინძაგი (54), 1:2 მიხაილოვიჩი (67)
ჩელსი: დე გუი, ლებეფი (ჰოგი 62), დესაი, ბაბაიარო (ჰერლი 74), პეტრესკუ, დეშამპი, ფერერი, დი მატეო (მორისი 74), პოიეტი, ძოლა, ფლო
მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
ლაციო: მარკეჯანი, მიხაილოვიჩი, ფერნანდო კოუტუ, პანკარო, ალმეიდა, ვერონი, ნეგრო, სიმეონე, ნედვედი, ს. ინძაგი (სალასი 68, გოტარდი 87), დ. სტანკოვიჩი (ბოკშიჩი 46)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
გაფრთხილება: დი მატეო, კოუტუ, ლებეფი, ფლო, პანკარო, სალასი
გაძევება: კოუტუ (83)
მსაჯი: ვ. მ. ნელო პერეირა (პორტუგალია)
34 260 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაციო | 6 | 3 | 2 | 1 | 10:4 | 11 |
| ჩელსი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| ფეიენოორდი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| მარსელი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:11 | 4 |



REUTERS მარსელიდან

მარსელი — ფეიენოორდი 0:0. მარსელელი პეტერ ლუქსენი და როტერდამელი ხულიო კრუზი (მარჯვნივ)

### ინგლისი

**I დივიზიონი**

38-ე ტური. ბლექბერნი 1:0 ბირმინგემი; ნორვიჩი 0:2 სუინდონი; ქუინზ პარკი 0:1 კრ. პალასი; ტრანმერი 0:2 იფსვიჩი; ჩარლტონი 4:0 გრიმსბი

**II დივიზიონი**

XXXVIII ტური
რედინგი 2:0 როვერსი

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
ნიურნბერგი 5:1 ჰანოვერი

### შოტლანდია

გადადებული მატჩი
ჰართსი 3:0 აბერდინი

UEFA CUP

# სასწაულები თუ მილიონები?

## უეფას თასის მეოთხედფინალი. II წრე

თუ დღეს დიდი სასწაული არ მოხდა, საფეხბურთო ევროპა ორ ნახევარფინალისტს უკვე იცნობს — ეს „ლიდსი“ და „გალათასარაია“. მათ შორის მოკრძალებით შეიძლება ლონდონის „არსენალიც“ ვახსენოთ, აი, „ლანსისა“ და „სელტას“ დუელში კი ყველაფერია მოსალოდნელი. მომდევნო ეტაპზე მოხვედრის შანსს ორივე გუნდი ინარჩუნებს. მათი ორთაბრძოლაც, ალბათ, ყველაზე პრინციპული და გადამწყვეტი იქნება.

თუმცა არ დაგვავიწყდეს „ვერდერი“, გუნდი, რომელსაც ძალუძს, ურთულეს ვითარებასაც დააღწიოს თავი. გერმანელებმა „ლიონთან“ მატჩში მებრძოლი სული გამოავლინეს, სტუმრად 0:3 დამარცხების შემდეგ მეტოქეს შინ ოთხი ბურთით გაუმასპინძლდნენ, ასპარეზობიდან გამოთიშეს, ხოლო თვითონ მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

ისმის კითხვა, სად „ლიონი“ და სად „არსენალიო“, მაგრამ „პარმა“ ხომ „ლიონი“ არ არის? მასზე გაცილებით გამოცდილი და დახვეწილი გუნდია, „ვერდერმა“ წინა ეტაპიდან ხომ სწორედ „პარმა“ გამოაგდო, თანაც იტალიაში განცდილი მარცხი — 0:1 გერმანიაში 3:1-ით შემოატრიალა და ასე მოაღწია მეოთხედფინალამდე.

მაგრამ ლონდონელები შინ მიღწეულ გამარჯვებას (თანაც ორბურთიანი უპირატესობით) იოლად არ დაუთმობენ ვინმეს. ამიტომაა, რომ „არსენალთან“ გამარჯვებას გერმანელები საკმაოდ სკეპტიკურად უყურებენ.

„არსენალი“ „ლიონზეც“ და „პარმაზეც“ კლასით მაღლა დგას — ამბობს „ვერდერის“ ერთ-ერთი ლიდერი ანდრეას ჰერცოგი — მათთან უთუოდ გაგვიჭირდება, ნახევარფინალში სასწაული თუ მოგვახვედრებს“.

გერმანელებს სავარაუდოდ პერუელი ფორვარდი კლაუდიო პიზარო ვერ დაეხმარებათ, მას კუნთი დაეჭიმა.

სათანადოდ ვერ მომჯობინდნენ „არსენალის“ მეკარე დევიდ სიმენი და მცველი მარტინ კიოუნი, მაგრამ სასტარტოში შეიძლება მაინც გამოჩნდნენ. თვითმფრინავით მგზავრობისას შეეშინდა და ბრემენს მანქანით ესტუმრა ჰოლანდიელი დენის ბერხკამპი, რომელიც ალბათ ითამაშებს, მაგრამ მსუბუქი ტრავმა მასაც აწუხებს.

„ლანსი“ — „სელტას“ წყვილიც ვახსენოთ. ფრანგთა თავკაცი ფრანსუა ბრისონი დარწმუნებულია, რომ დღევანდელი მატჩი მისი გუნდისთვის ურთულესი იქნება. „წლევანდელ სეზონში უპრინციპულეს შეხვედრას ჩავატარებთ — ამბობს იგი — „სელტა“ ძალიან აგრესიული გუნდია და იოლად არაფერს დათმობს“.

საეჭვოა „ლანსის“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის, სტანდარტული სიტუაციების შესრულების ოსტატის, ერიკ სიკორას თამაში, მას მყესი დაეჭიმა.

შესაძლოა დანაკლისი ჰქონდეთ ვიგოელებსაც. ალექსანდრ მოსტოვოი და ალბერტ სელადესი დაშავდნენ, მაგრამ ვიქტორ ფერნანდესი იმედოვნებს, რომ ორივე თუ არა, ერთ-ერთი მაინც ითამაშებს.

თურქეთის მთავრობა წარმატების შემთხვევაში „გალათასარაის“ დიდ პრემიას შეჰპირდა. თუ მიწა გასკდა და გუნდი ნახევარფინალში ვერ მოხვდა, მას 3 მილიონი დოლარი ერგება, მაგრამ ჩავთვალოთ, რომ „გალა“ ნახევარფინალისტია. მაშინ კლუბის ხაზინა უმალ 5 მილიონით შეივსება.

აი, მერე არის მთავარი — ნახევარფინალის ბარიერის დაძლევა და ფინალში მოხვედრა. ამის საფასური 7,5 მილიონი დოლარი იქნება. და უმთავრესი — ფინალი, უეფას თასი სტამბოლში. ეს უკვე 10 მილიონია. მწვრთნელ ფათიჰ თერიმს კი რა? იქაური ღირსების ორდენი და მილიონი დოლარი.

დაბოლოს, „სლავია“ — „ლიდსის“ წყვილიც. „ელანდ როუდზე“ ჩატარებულმა შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ „სლავია“ ხელწამოსაკრავი გუნდი არაა — ამბობს ლიდსელთა კაპიტანი ლუკას რადებე — თუ მათ თამაშის საშუალება მიეცათ, არაფერს დაგითმობენ, მით უმეტეს, საკუთარ კედლებში, თუმცა არც ჩვენ ვაპირებთ უქმად ჯდომას“.

### სლავია — ლიდსი (0:3)

თუ რომელიმე ტოტალიზატორი გარისკავს და ინგლისელთა შემდეგ წრეში გასვლაზე ფსონს მიიღებს, აუცილებლად დადეთ: 3:0 კი არა, „ლიდსს“ გაცილებით მოკრძალებული შედეგიც ეყოფოდა ნახევარფინალში გასასვლელად. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო აქამდე. აი, ქვემოთ ცხრილს ჩახედეთ და თავად განსაჯეთ — ამ ჩამონათვალში მხოლოდ ის შემთხვევებია მოყვანილი, როცა „ლიდსი“ პირველ მატჩს საკუთარ ქალაქში ატარებდა და არ აგებდა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 65-66 | უთ | ლიდსი — ტორინო (იტალია) | 2:1, | 0:0 | |
| | | ლიდსი — ვალენსია (ესპანეთი) | 1:1, | 1:0 | |
| | | ლიდსი — უიპეშტ დოჟა (უნგრეთი) | 4:1, | 1:1 | |
| 66-67 | უთ | ლიდსი — ვალენსია (ესპანეთი) | 1:1, | 2:0 | |
| | | ლიდსი — კილმარნოკი (შოტლანდია) | 4:2, | 0:0 | |
| 67-68 | უთ | ლიდსი — ჰიბერნიანი (შოტლანდია) | 1:0, | 1:1 | |
| | | ლიდსი — ფერენცვაროში (უნგრეთი) | 1:0, | 0:0 | |
| 68-69 | უთ | ლიდსი — ნაპოლი (იტალია) | 2:0, | 0:2 | +/– |
| | | ლიდსი — ჰანოვერ 96 (გერმანია) | 5:1, | 2:1 | |
| 69-70 | ჩთ | ლიდსი — ლინი (ნორვეგია) | 10:0, | 6:0 | |
| | | ლიდსი — ფერენცვაროში (უნგრეთი) | 3:0, | 3:0 | |
| 70-71 | უთ | ლიდსი — დინამო (დრეზდენი, გდრ) | 1:0, | 1:2 | |
| | | ლიდსი — სპარტა (ჩეხოსლოვაკია) | 6:0, | 3:2 | |
| | | ლიდსი — სეტუბალი (პორტუგალია) | 2:1, | 1:1 | |
| 72-73 | თთ | ლიდსი — რაპიდი (რუმინეთი) | 5:0, | 3:1 | |
| | | ლიდსი — ჰაიდუკი (იუგოსლავია) | 1:0, | 0:0 | |
| 73-74 | უთ | ლიდსი — ჰიბერნიანი (შოტლანდია) | 0:0, | 0:0 | (პ5:4) |
| | | *ლიდსი — სეტუბალი (პორტუგალია)* | *1:0,* | *1:3* | |
| 74-75 | ჩთ | ლიდსი — ციურიხი (შვეიცარია) | 4:1, | 1:2 | |
| | | ლიდსი — ანდერლეხტი (ბელგია) | 3:0, | 1:0 | |
| | | ლიდსი — ბარსელონა (ესპანეთი) | 2:1, | 1:1 | |
| 98-99 | უთ | ლიდსი — მარიტიმუ (პორტუგალია) | 1:0, | 0:1 | (პ4:1) |
| 99-00 | უთ | ლიდსი — ლოკომოტივი (რუსეთი) | 4:1, | 3:0 | |

*როგორც ხედავთ, 23 ასეთი შემთხვევიდან მხოლოდ ერთხელ, ოცი წლის წინ, არ ეყო „ლიდსს“ შინ მიღწეული გამარჯვება და თუნდაც ფრე. ასე რომ, „სლავიას“ ნახევარფინალში გასვლის პერსპექტივა მეტად მწირია. მითუმეტეს, რომ პრაღელებს აქამდე ვერასდროს ამოუქაჩავთ თუნდაც ორბურთიანი სხვაობა.*

*ისე, ლიდსში პირველი შეხვედრა „სლავიასთვის“ 57-ე იყო ევროტურნირებში, დიდი ანგარიშით კი მხოლოდ მეხუთედ წააგო.*

### ვერდერი — არსენალი (0:2)

*ლონდონელებიც, ლიდსელების მსგავსად, შინ მიღწეულ წარმატებას, როგორც წესი, ხელიდან არ უშვებენ — მხოლოდ ორჯერ არ ეყოთ პირველ მატჩში მიღწეული მოგება ან ფრე. თავად იხილეთ:*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 63-64 | უთ | *არსენალი — ლიეჟი (ბელგია)* | *1:1,* | *1:3* | |
| 69-70 | უთ | არსენალი — გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) | 3:0, | 0:1 | |
| | | არსენალი — აიაქსი (ჰოლანდია) | 3:0, | 0:1 | |
| 70-71 | უთ | არსენალი — ბევერენი (ბელგია) | 4:0, | 0:0 | |
| | | *არსენალი — კიოლნი (გერმანია)* | *2:1,* | *0:1* | |
| 78-79 | უთ | არსენალი — ლოკომოტივი (ლაიპციგი, გდრ) | 3:0, | 4:1 | |
| 79-80 | თთ | არსენალი — ფენერბაჰჩე (თურქეთი) | 2:0, | 0:0 | |
| | | არსენალი — მაგდებურგი (გდრ) | 2:1, | 2:2 | |
| | | არსენალი — გიოტებორგი (შვედეთი) | 5:1, | 0:0 | |
| | | არსენალი — იუვენტუსი (იტალია) | 1:1, | 1:0 | |
| 91-92 | ჩთ | არსენალი — აუსტრია (ვენა, ავსტრია) | 6:1, | 0:1 | |
| 93-94 | თთ | არსენალი — სტანდარდი (ბელგია) | 3:0, | 7:0 | |
| 94-95 | თთ | არსენალი — ოსერი (საფრანგეთი) | 1:1, | 1:0 | |
| | | არსენალი — სამპდორია (იტალია) | 3:2, | 2:3 | (პ3:2) |
| 99-00 | უთ | არსენალი — ნანტი (საფრანგეთი) | 3:0, | 3:3 | |
| | | არსენალი — დეპორტივო (ესპანეთი) | 5:1, | 1:2 | |

*ზემოთმოყვანილი ჩამონათვალი, ცხადია, ინგლისელთა სასარგებლოდ მეტყველებს, თუმცა, პრაღის „სლავიასგან“ განსხვავებით „ვერდერს“ ორბურთიანი და მეტი სხვაობით წაგებულის გაბათილების გამოცდილება გააჩნია:*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 87-88 | უთ | სპარტაკი (მოსკოვი, სსრკ) — ვერდერი | 4:1, | 2:6 |
| 88-89 | ჩთ | დინამო (ბერლინი, გდრ) — ვერდერი | 3:0, | 0:5 |
| 98-99 | უთ | ბრანი (ნორვეგია) — ვერდერი | 2:0, | 0:4 |
| 99-00 | უთ | ლიონი (საფრანგეთი) — ვერდერი | 3:0, | 0:4 |

### გალათასარაი — მალიორკა (4:1)

*„გალათასარაიმ“ პირველი თამაში სტუმრად თავის ევროისტორიაში მერვედ მოიგო და ვინაიდან ასეთი წარმატება ქარისთვის არასდროს გაუტანებია, ალბათ, ახლაც ასე იქნება. მითუმეტეს, რომ მალიორკელებმა ევროთასებზე პირველად წააგეს დიდი ანგარიშით და ასეთის ამოქაჩვის გამოცდილება საერთოდ არ გააჩნიათ.*

### ლანსი — სელტა (0:0)

*სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, ნახევარფინალში „ლანსი“ გავა. ამ გუნდს შვიდჯერ მოუხერხებია სტუმრად პირველი მატჩის ფრედ დამთავრება და ორთაბრძოლაში ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა.*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 75-76 | თთ | ჰოუმ ფარმი (ირლანდია) — ლანსი | 1:1, | 0:6 |
| 83-84 | უთ | გენტი (ბელგია) — ლანსი | 1:1, | 1:2 |
| 95-96 | უთ | ჩერნომორეცი (უკრაინა) — ლანსი | 0:0, | 0:4 |
| | | სლავია (პრაღა, ჩეხეთი) — ლანსი | 0:0, | 0:1 |
| 99-00 | უთ | მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი) — ლანსი | 2:2, | 1:2 |
| | | ატლეტიკო (ესპანეთი) — ლანსი | 2:2, | 2:4 |

რაც შეეხება „სელტას“ გულშემატკივრებს, მათ „ასტონ ვილასთან“ შარშანდელი ბრძოლის გახსენება ეიმედებათ — მაშინ ვიგოელებმა პირველი მატჩი შინ 0:1 დათმეს, თუმცა საპასუხოში, „ვილა პარკზე“, 3:1 გაიმარჯვეს.

## საქართველოს თასი

## მეოთხედფინალი

*საპასუხო მატჩები*

# ატყდა იყო და არ იყო...

თბილისი
22 მარტი
15 საათი
ეროვნული
1 000 (ტევადობა 75 000)

**ლოკომოტივი 0:0 (3:13) ვიტ ჯორჯია**

პირველი მატჩი 0:0

1:0 გილაური, 1:0 კოტორაშვილი (მეკარე), 2:0 რუსია, 2:0 გოჩაშვილი (მეკარე), 2:0 ძოძუაშვილი (მეკარე), 2:0 ქორიძე (ძელი), 2:0 მიქაძე (ძელი), 2:1 მელქაძე, 3:1 კვარაცხელია

ლოკომოტივი: ლომაია, გილაური, ლ. მიქაძე, ჯუღელი, გ. ჩიხრაძე, გ. ჩხაიძე, კვარაცხელია, ჭიჭვეიშვილი, ძოძუაშვილი, ხუროძე (კაციაშვილი 57), რუსია

*სათადარიგონი:* ნიკურაძე; დ. გოდერძიშვილი, ბაქრაძე, ონიანი, გ. გვაზავა, პარამონოვი

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ჯ. მუჯირი (დ. დოლიძე 91), თოდუა, ჭანკოტაძე, საჯაია, კობიაშვილი, დილმელაშვილი (კოტორაშვილი 83), ლ. ნოზაძე, ყიფიანი (ვ. გოჩაშვილი 106), გიორგი ქორიძე, ლ. მელქაძე

*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ზ. გვაზავა, ი. ხაჭაპურიძე

გაფრთხილება: კვარაცხელია (36), თოდუა (101), საჯაია (104), გოჩაშვილი (114)

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; ი. კახიანი (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

**მამუკა კვანტალიანი**

„ვიტ ჯორჯიამ" მორიგი იერიში წამოიწყო. ლაშა ნოზაძემ ბურთი დავით დილმელაშვილს მიაწოდა. მან თავის მხრივ გიორგი ქორიძეს გაუჭრა. მცველი შეცდა, ქორიძე მარჯვნიდან მიუახლოვდა მასპინძელთა კარს და [illegible]ლიერად დაარტყა. ბურთი, ალბათ, [illegible]რს ასცდებოდა, მაგრამ მას მელქაძემ მ[illegible]უსწრო, ცაცია მოიქნია და რკინიგზ[illegible]ლთა კარის ბადე შეირხა.

ვეტერინა[illegible]ები სიხარულის მორევში გადაეშვნენ. მთავარმა მსაჯმა თამაზ ლაცაბიძემ გოლი დააფიქსირა და მოედნის ცენტრისკენ დაიძრა. გვერდითმა ზურაბ დოლიძემ ორიოდ წამს იყოყმანა და ალამი აღმართა. ლაცაბიძემ დოლიძეს დაუჯერა — თამაშგარე მდგომარეობა.

ლამის ათელი „ვიტ ჯორჯია" თანამსაჯს შემოეხვია, მაგრამ კაპიტანმა გიორგი ყიფიანმა წინდახედულობა გამოიჩინა, თანაგუნდელები დოლიძეს განარიდა, თუმც აღშფოთების დამალვა არც მას უცდია...

...ყველა გრძნობდა, რომ დასასრული მოახლოვდა. გივი კვარაცხელიამ ბურთი გაასწორა, გამორბენი, ჭურაძე მოტყუვდა — გოლი. მინდორზე ყველაფერი აირია. ცენტრში გამწკრივებული რკინიგზელები ორად გაიყვნენ, ერთი ნაწილი კვარაცხელიას გამოუდგა, მეორე — ლომაიას.

მორჩა. „ლოკომოტივი" ნახევარფინალში გავიდა. გულდაწყვეტილ ვეტერინარებს ბოლმა მოაწვათ. კიდევ ერთხელ დაატყდა რისხვა ზურაბ დოლიძეს. მერე ყველაფერი დაწყნარდა. „ვიტ ჯორჯიამ" „ლოკომოტივს" ნახევარფინალში გასვლა მიულოცა. გუნდებმა გასახდელები დატოვეს, მსაჯები კი კიდევ კარგა ხანს ისხდნენ ჩაკეტილ ოთახში, მათ გარედან პოლიცია იცავდა.

სტადიონზე მყოფთაგან დანამდვილებით ვერავინ თქვა, იყო თუ არა მელქაძე თამაშგარეთ. პოზიციები ორად გაიყო, ისინი საპირისპიროს ამტკიცებდნენ. არადა, გუშინ „ეროვნულზე" ფეხბურთის არაერთი სპეციალისტი ესწრებოდა მატჩს.

რაც შეეხება ჟურნალისტის მოკრძალებულ, სუბიექტურ აზრს, რომელსაც, რა თქმა უნდა, თავზე არავის ვახვევ, იგი ასეთია: ზურაბ დოლიძემ ეჭვის საბაბი ვეტერინარებს თავად მისცა. მისი მოქმედებიდან გამომდინარე, აშკარად ჩანდა, ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, ლაცაბიძეს დათანხმებოდა თუ ალამი აღემართა. ბოლოს თამაშგარე დააფიქსირა.

ჟურნალისტები იმ სადაო მომენტის გარჩევისთვის შეუფერებელ ადგილზე ვისხედით. გუშინ თბილისში წვიმდა, ხოლო „ეროვნულზე" პრესლოჟა ჯერაც გადაუხურავია.

მიუხედავად ამისა, თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ თანამსაჯ დოლიძის გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვი მეპარება. არ ჰგავდა ის მომენტი თამაშგარეს. მელქაძემ საჯარიმო მოედნის სიღრმიდან მიუსწრო ქორიძის დარტყმულ ბურთს.

იმედია, მატჩის ვიდეოფირს შესაბამისი, კომპეტენტური კომისია გაარჩევს და ვერდიქტიც ობიექტური იქნება.

ისე, დამატებითი დროის ბოლოს მეტოქის საჯარიმოში გოჩაშვილის წაქცევაც სადავო იყო: ვეტერინარი რკინიგზელთან ბრძოლაში წაიქცა და... თამაზ ლაცაბიძემ ვეტერინარი გააფრთხილა.



„ლოკომოტივის" მეკარის გიორგი ლომაიას პირველივე ნახტომი იღბლიანი გამოდგა

თამაშის ძირითად და დამატებით დროზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. თითქმის ტაიმ-ნახევარი „ვიტ ჯორჯია" გაცილებით სჯობდა მასპინძელს. უტევდნენ ვეტერინარები, მაგრამ ქაოსურად და ხშირადაც ცდებოდნენ. მათ შეეძლოთ, უპირატესობა გოლად ექციათ, თუმც თავდამსხმელთა შეუთანხმებლობამ და პასიურობამ სტუმრებს დალი დააჩნია.

„ლოკომოტივმა" ბოლოსკენ თამაში შედარებით გამოასწორა, მაგრამ დიდი ძალებით იერიშს რკინიგზელები მაინც ვერ ბედავდნენ.

მასპინძელთა რიგებში საუკეთესო და საიმედო ჩიხრაძე გახლდათ, სტუმართაგან კობიაშვილს გამოვარჩევდი. თენგიზმა მატჩის დასაწყისშივე კეფა დაიზიანა და ბოლომდე თავშეხვეული და ქუდიანი ვაჟკაცურად, სასარგებლოდ იბრძოდა.

მატჩის გმირი კი რკინიგზელთა კარის დარაჯი გიორგი ლომაია იყო. მშვიდი, გაწონასწორებული და საიმედო.

„ვიტ ჯორჯია" მეორედ გამოეთიშა თასის გათამაშებას მეოთხედფინალში და ისევ პენალტებით. შარშან „სამგურალმა" გაუბათილა ორბურთიანი უპირატესობა და თერთმეტმეტრიანების სერიაში დაჩაგრა. წლეულს „ლოკომოტივმა" იძალა, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ „ვიტ ჯორჯია" რკინიგზელებთან მარცხს ნამდვილად არ იმსახურებდა.



თანამსაჯ ზურაბ დოლიძესა და ჩაუთვლელი გოლის გამტან ლევან მელქაძეს შორის გიორგი ყიფიანი ჩადგა



სერგო კოტრიკაძე მეკარე სერგო ჭურაძეს ამშვიდებს



დამატებითი დროის დაწყებამდე რევაზ ძოძუაშვილმა შეგირდები გაამხნევა

# მთავარი მაინც შედეგია



„სამგურალის“ მეკარემ თედო ბოდოკიამ ტორპედოელები ანერვიულა

ქუთაისი
22 მარტი
15 საათი
ტორპედო
4 000 (ტევადობა 23 800)

**ტორპედო 2:0 სამგურალი**

პირველი მატჩი 0:0

1:0 ხვადაგიანი (79), მეგრელაძე (81)
**ტორპედო:** ჭანტურია (ზოიძე 83), ახვლედიანი, თურმანიძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე (ჩხეტიანი 61), შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი, დ. ჯანაშია, მ. ბობოხიძე (მეგრელაძე 60), იონანიძე
*სათადარიგონი:* ამისულაშვილი, თავბერიძე, ასათიანი, ვაჩიბერაძე
**სამგურალი:** ბოდოკია, ფრანგიშვილი, ჭელიძე, ვოსკანოვი, ძაგნიძე (ბაბუნაშვილი 77), სუხიაშვილი, ლონლაძე (კვერნაძე 46), ჭყონია, გიორგობიანი, ხუნდაძე (დარსაძე 46), ზ. ქუთათელაძე
*სათადარიგონი:* ფუტკარაძე, ნებიერიძე, ზურაბიანი, გოგოლაძე
**გაფრთხილება:** ფრანგიშვილი (70)
**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

კვირით ადრე წყალტუბოურმა 0:0-მა საპასუხო მატჩს ინტერესი შეუნარჩუნა. საკუთარ თავს გადააჭარბა მაშინ „სამგურალის“ კარის დარაჯმა. თედო ბოდოკია ოთხ-ხუთ ეპიზოდში მაინც ისე გაისარჯა, ბარეორ თავმომწონე გოლკიპერსაც შეშურდებოდა. ბოდოკია, მოგეხსენებათ, „სამგურალში“ ზვიად სტურუას შემცვლელად ითვლება. ამ უკანასკნელს კი თასის დებულება არ აძლევდა „ტორპედოს“ წინააღმდეგ თამაშის უფლებას. ჰოდა, „სამგურალის“ კარში საპასუხო მატჩშიც ბოდოკია იდგა და, დგომას გააჩნია. თედო გუშინაც გამორჩეული იყო თავის გუნდში, რომ იტყვიან კბილებით იცავდა თავს, თანაც საოცრად დინჯად, აუღელვებლად ასრულებდა თავის მოვალეობას.

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. გასაკვირიც რაა? სტუმრად რომ არაფერი გაუვიდა, „ტორპედო“ შინ აპირებდა მეზობლისთვის სათანადო პასუხის გაცემას. წინა ორი შეხვედრისგან („იბერიასთან“ ჩემპიონატში და იგივე „სამგურალთან“ თასზე) განსხვავებით, დავით ყიფიანმა ძირითადში ორი ცვლილება მოახდინა, კახა ჩხეტიანის და გიორგი მეგრელაძის ნაცვლად ტრავმამოშუშებული ვახტანგ ხვადაგიანი და მიხეილ ბობოხიძე ათამაშა, გუნდის სამოქმედო გეგმა კი იგივე დატოვა, თუმც ამაზე აღარ შევჩერდებით და თამაშის საინტერესო მომენტები გავიხსენოთ. წინასწარ მხოლოდ ერთს გეტყვით. წყალტუბოელები იმდენად უსუსურნი იყვნენ თავდასხმაში, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დაურტყეს ჭანტურიას და, ისიც ჯარიმიდან. სამაგიეროდ „სამგურალმა“ უკანა ხაზი გაამაგრა, საკმაოდ ორგანიზებულად იცავდა თავს და მასპინძლებსაც გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდათ სასურველი შედეგის მისაღწევად.

საწყის ოც წუთში თამაში, მართალია, „ტორპედოს“ კარნახით, მაგრამ მონოტონურად, დაბალ ტემპში მიმდინარეობდა. ტორპედოელები უსისტემოდ უტევდნენ და მეტოქეც იოლადართმევდა საქმეს თავს. მასპინძლებმა შუა ტაიმში უმატეს ტემპს და რამდენიმე მწვავე შეტევაც განახორციელეს. 22-ე წუთზე იონანიძის მიერ 20 მეტრიდან დარტყმული ოდნავ გადაცდა ხარიხას. სამ წუთში კი ბოდოკიამ ითამაშა ჩინებულად. ტორპედოელებმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს. ბობოხიძემ იონანიძეს უპასა, ამან უმალ მაღალი გადაცემა გაუკეთა კარიდან არც თუ შორს მყოფ გოგიაშვილს, გიორგისაც მეტი რაღა ექნა, თავურით ცხრიანისკენ გაგზავნა ბურთი, მაგრამ ივარგა თედომ, უძნელესი ბურთი მოიგერია. გავა სამი წუთი და მეკარე ისევ იხსნის „სამგურალს“. ბოდოკია საჯარიმოს გარეთ გამოვარდება და მასპინძელთა უაღრესად სახიფათო შეტევას ჩაშლის. ტაიმის ბოლოს ტორპედოელებს გატანის კიდევ ერთი კარგი შანსი ეძლევათ, ოღონდ ერთმანეთს ხელს უშლიან და საბოლოოდ ბურთს მეკარე ეუფლება.

მატჩის მეორე ნახევარი. ნაცნობი სცენარი. წყალტუბოელები მასპინძლებს უძალიანდებიან, მაგრად დგანან დაცვაში. და იძაბება სიტუაცია, მოედანზეც და ტრიბუნებზეც. „სამგურალს“ ვერ უგებენ და 26 მარტს „დინამოსთან“ რა იქნებაო — ხმამაღლა სვამს კითხვას „ტორპედოს“ ქომაგი. ყიფიანი შეცვლებს მიმართავს. თითქმის ერთდროულად ჩხეტიანი და მეგრელაძე შეჰყავს სათამაშოდ და მეგრელაძე უმალ საგოლე მომენტს ქმნის, ახვლედიანის მარჯვნიდან ჩაწოდებულს ეფექტურ მაკრატელას მიაყოლებს, მაგრამ რად გინდა, ბოდოკია დგას კარში...

„სამგურალი“ ბოლოსკენ მაინც გატყდება, ქუთაისელთა გამუდმებულ იერიშებს ველარ გაუძლებს და ორს გაუშვებს. ორივე კუთხურს მოჰყვება. ჯერ ხვადაგიანი დაუხვდება კართან ახლო გოგიაშვილის ჩაწოდებულს და თავით გადაგზავნის ბადეში. ორ წუთში კი ჩხეტიანის ჩაწოდებულს მეგრელაძეც ზუსტად შეაგებებს თავურს.

შარშანდელი თასის მფლობელი ახალი გათამაშების ნახევარფინალშია. ეს მატჩი კიდევ იმით არის აღსანიშნავი, რომ „ტორპედოში“ ახალშემატებულმა გამოცდილმა მეკარემ ირაკლი ზოიძემ ითამაშა, თუმც ჯერ მხოლოდ 7 წუთი.

ბოლოს იმას გეტყვით, რომ ზეგ „ტორპედოს“ ორი კვირის წინ უკრაინას მივლინებული გიორგი იმედაძე დაუბრუნდება. მოგეხსენებათ, ტორპედოელი კიევის „დინამოში“ ისინჯებოდა, იგი მეორე გუნდთან ერთად ვარჯიშობდა. როგორც შევიტყვეთ, ვალერი ლობანოვსკის და დავით ყიფიანს სატელეფონო საუბარი ჰქონიათ. ვასილიევიჩს უთქვამს, თანაშემწეებმა კარგად დამიხასიათეს იმედაძეო, ოღონდ სეზონის ბოლომდე მისი კიევში დატოვების საკითხს ვერ გადავწყვეტთო. ასე რომ, იმედაძე „ტორპედოში“ გააგრძელებს თამაშს, სულ მცირე, მაისის ბოლომდე.

# მტრისას, როცა ჯანი გერჩის

ფოთი
22 მარტი
15 საათი
ფაზისი
1 500 (ტევადობა 6 000)

**კოლხეთი 0:0 ბათუმი**

პირველი მატჩი 0:3

**კოლხეთი:** ქვაჩახია, გ. ჩიტაია, ტორჩინავა, შალამბერიძე, კედელაშვილი, გოროზია, ტრაპაიძე, კიკლიაშვილი, ღლანიძე, შავგულიძე (ხუჭუა 46), ე. გვასალია
*სათადარიგონი:* მ. გვასალია, პაპავა, ქუნთელია, ანჯაფარიძე
**ბათუმი:** ჩლაიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიდამონიძე, თარგამაძე (შ. ხუჯაძე 46), თედორაძე, ქაცარავა, გელა ქორიძე, ხომერიკი (ა. მუჯირი 46), რომანაძე (მაჭუტაძე 57), აფხაზავა
*სათადარიგონი:* ბალაძე, სიხარულიძე, ღლონტი, დარჩიძე
**გაფრთხილება:** თარგამაძე (20), ჩიტაია (42), ხუჯაძე (48), ხუჭუა (50)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი), გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

გოჩა ჯანაშია ფოთიდან

პირველი ბათუმური მატჩის შემდეგ ვწერდით, საპასუხო თამაშმა ინტრიგა დაკარგაო. აბა, კაცი სხვას რას იფიქრებდი, „კოლხეთს“ ხომ კარნევალეს „ბათუმთან“ ჰქონდა საქმე. როგორი საქმეა საქართველოში ყველაზე ძლიერი დაცვისთვის სამი (უფრო მეტი) მშრალი გოლის გატანა? ასეთი რამ არც კი მახსოვს ბოლოს როდის მოხდა.

მიუხედავად ყველაფრისა, კოლხებს თითქოს იმედი მაინც ჰქონდათ, ყინჩად ეჭირათ თავი...

აჭარელთა შემადგენლობის შემხედვარე ადვილად მიხვდებოდა, რომ სინიორ ჯანის არაფრის ეშინოდა. ერთბაშად ძირითადის შვიდი ფეხბურთელი დაასვენა და საქმეში ახალგაზრდობა ჩართო. იმ შვიდიდან ოთხი სათადარიგოთა სკამზე იყო მოკალათებული, ხოლო სამი — მალხაზ მახარაძე, ტოგონიძე და ტულუში იქაც არ იყვნენ.

„კოლხეთს“ დასაკარგავი რაღა ჰქონდა და თავიდანვე შეუდგა საქმეს. ოღონდ მონდომებითა ერთითა პირველ ტაიმში ვერაფერს გამორჩა. უკვე მეხუთე წუთზე შეიქმნა ხიფათი სტუმართა კართან. ღლანიძის საჯარიმოდან დარტყმულზე ჩლაიძემ წამით დაკარგა ბურთზე კონტროლი და კინაღამ კედელაშვილმა დაასწრო. თემურმა მაინც შეძლო ბურთის მოხელთება. კოლხების უპირატესობა საგრძნობი გახლდათ, მაგრამ საჯარიმოში ვერაფერს ხეირობდნენ და შორი არტილერიის იმედად იყვნენ. დარტყმები იცოცხლე, ბევრი იყო (მარტო ღლანიძის ოთხი გასროლა რად ღირს) ოღონდ სიზუსტე აკლდა ყველას.

„ბათუმი“ თავს აუღელვებლად იცავდა და არც კონტრშეტევები ავიწყდებოდა, მაგრამ ხიფათი კოლხთა კართან შესვენებამდე მხოლოდ ერთხელ შეიქმნა, როცა აფხაზავას, მე-15 წუთზე შეეძლო ყველაფრის გადაწყვეტა. ხომერიკმა იგი გონივრული პასით ქვაჩახიას პირისპირ დატოვა, მაგრამ მოიერიშეს დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა.

შუა ტაიმში მასპინძელთა ენთუზიაზმი ოდნავ ჩაცხრა, ოღონდ სათამაშო უპირატესობა მაინც მათი იყო. კოლხებს ზედმეტი ფაცფუცი ეტყობოდათ და შეტევებიც უფრო ქაოსურ ხასიათს ატარებდა. აშკარად ვერ იყო თამაშის იშტაზე შავგულიძე, რომელიც უნიათოდ გამოიყურებოდა და ტყებუჩავამაც მეორე ტაიმის დასაწყისშივე ხუჭუა შეუნაცვლა.

თამაში ნაცნობი სცენარით განახლდა, ოღონდ ამირან მუჯირისა და პაატა მაჭუტაძის გამოჩენის შემდეგ „ბათუმი“ გაცილებით აგრესიულად ათამაშდა და კოლხთა შეტევებს ხშირ შემთხვევებში მწვავე პასუხიც მოჰყვა.

პირველი ასეთი მომენტი 58-ე წუთზე შეიქმნა. ქაცარავამ აფხაზავასთან კედელი გაითამაშა და ქვაჩახიას პირისპირ აღმოჩნდა. აი, დარტყმა მთლად კარგი ვერ გამოუვიდა და მეკარემ ჯერ ფეხით აულო, ხოლო მერე არც აფხაზავას დამატებულზე შერცხვა.

მეორედ „ბათუმს“ 70-ეზე მართებდა გატანა. შეტევაში გართულ კოლხებს მაჭუტაძე გაეპარათ. მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შესულმა მაჭუტაძემ ამირან მუჯირი მონახა, რომელმაც ახლოდან ბურთი ხარიხას გვარიანად გადააშორა.

დრო გადიოდა, „კოლხეთი“ კი თავისას არ იშლიდა და ბოლო 15 წუთი გამუდმებულ შეტევებში გაატარა. მთლად შტურმს ამას კაცი ვერ უწოდებდა, მაგრამ რაღაც ამის მაგვარი კი იყო. მომენტებიც მრავლად შეიქმნა „ბათუმის“ კართან, თუმცა მომენტი ერთია, შედეგი მეორე. სტუმრებმა ბოლო წუთებიც უდერტვინველად ჩაატარეს და შედეგსაც ისეთს მიაღწიეს, როგორიც ხელს აძლევდათ. „ბათუმი“ მეოთხედფინალში გავიდა. აი, „კოლხეთს“ წინ უამრავი პრობლემა აქვს. ცხადია, მისი თამაში კორექტივებს საჭიროებს. სეზონის განახლების შემდეგ ხუთ თამაშში ორი უგოლო ფრე ევროპისკენ მაცქერალი გუნდისთვის აბა, რა სასურველი შედეგია.

# დინამო თამაშგარეთ

გორი
22 მარტი
15 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

**დილა 1:4 დინამო**

პირველი მატჩი 0:4

0:1, 0:2 სახვაძე (13, 33), 1:2 მარეხაშვილი (35), 1:3 რუხაძე (63), 1:4 სახვაძე (90)
**დილა:** მდივანი, აკოფიანი, ვ. სამხარაძე (კარელიძე 46), გაგნიძე (ოლგესაშვილი 86), ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, მარეხაშვილი (ციცქიშვილი 63), საყვარელიძე, ფეზუაშვილი, ხორგუაშვილი, სულთანიშვილი
*სათადარიგო:* თ. ილურიძე
**დინამო:** ა. ჩიხრაძე, ვაშაკიძე (ჯინჭარაძე 46), შელია, ა. სახვაძე, რუხაძე, სიჭინავა, გ. შენგელია, ზირაქიშვილი, გუჩუა (ო. გველესიანი 56), ხუციშვილი, შაშიაშვილი
*სათადარიგო:* გრიშიკაშვილი
**გაძევება:** მდივანი (88)
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

პაატა კვანტალიანი გორიდან

„დილა“ რომ შინაურ სარბიელზე ნებისმიერი გუნდისთვის უხერხული მეტოქეა, ცნობილია, თუმც გუშინდელი მატჩის ოქმის გაცნობისას ყოველივე იქნებ არც კი ირწმუნოთ, რადგან, მეოთხედფინალის პირველი მატჩის მსგავსად, თბილისელებმა ოთხი გოლი გაუტანეს მეტოქეს და საერთო ჯამში სათასო ბატალიების ეს რაუნდი შთამბეჭდავი სხვაობით — 8:1 დაასრულეს, მაგრამ ქართლელებმა იომეს, იბრძოლეს, მეტოქეს არაფერი დაუთმეს, მიუხედავად ამისა „დინამომ“ იძალა, იჩემპიონა და დამსახურებულ გამარჯვებასაც გამოჰკრა ხელი.

მეოთხედფინალური პირველი მარცხის შემდეგ (0:4) „დილას“ ალბათ არავინ უწინასწარმეტყველებდა საბოლოო წარმატებას, მაგრამ, შინაურ სარბიელზე მასპინძლები დასაწყისშივე თავგამოდებით ეკვეთნენ რანგით მაღალ მეტოქეს. „დილამ“ დასაწყისშივე შეტევაზე გააკეთა აქცენტი და ამის გამო მეცამეტე წუთზე გოლიც გავიდა მის კარში — მარცხენა ფრთაზე სახვაძემ მიიღო ზირაქიშვილის პასი, საჯარიმოში ჩაწოდების იმიტაცია გააკეთა და უმალ ძლიერი დარტყმით გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში — 0:1. ასე რომ, სტუმრები დებიუტშივე დაწინაურდნენ. გოლს ვეტერანმა მურთაზ შელიამ (რომლის „დინამოში“ თამაში ჯერ კიდევ მოსამზადებელ პერიოდში გამორიცხა ოთარ კორღალიძემ), ჩამოსაწერი არ ვარო და 25 მეტრიდან ძლიერი დარტყმა მოაყოლა. მდივანმა სასწაულებრივ მოახერხა ბურთის კუთხურზე გადაგდება. კუთხურიდან ისევ შელია ცდილობდა თავით მეტოქის კარის აღებას, მაგრამ საბოლოო დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოუვიდა. 33-ე წუთზე კი ზირაქიშვილმა გაილაღა მარჯვენა ფრთაზე. მან ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნაზე გამოიჭირა მასპინძლები და სტუმართა მეკარეს პირისპირ შეატოვა სახვაძე, მანაც თანაგუნდელს მონდომება არ დაუკარგა და მეორედ აიღო მდივანის კარი — 0:2. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ „დინამო“ ამ მატჩსაც დიდი ანგარიშით გამარჯვებამდე მიიყვანდა. ასეც მოხდა, თუმც მანამდე მასპინძლებმა შეძლეს სრული უპირატესობის მოპოვება და არაერთი ხელსაყრელი მომენტი შექმნეს სტუმართა კართან. ერთ-ერთ ასეთ სიტუაციაში გოჩაშვილის ძლიერ დარტყმულზე და ჩიხრაძის მოგერიებულ ბურთზე ვეტერანმა ჯიმშერ მარეხაშვილმა იყოჩაღა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა — 1:2. გორელ გულშემატკივარსაც იმედი მოეცა. ტაიმი მასპინძელთა იერიშებით ჩამთავრდა, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა „დილას“ შემტევმა ნახევარმცველმა ალბერტ საყვარელიძემ, ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი თავისი გუნდის იერიშების სულისჩამდგმელი იყო და მისი მცდელობით სახელოვანი სტუმრები არაერთგზის გადარჩნენ ანგარიშის გათანაბრებას, მაგრამ პირველი ნახევარი დინამოელებმა დატოვეს გამარჯვებულებმა. მატჩის სურათი არც მეორე ნახევრის დებიუტში შეცვლილა. საყვარელიძეს, შეცვლაზე შესულ კარელიძეს და განსაკუთრებით ზურაბ ხორგუაშვილს არაერთგზის შეეძლოთ „დინამოს“ კარის დალაშქვრა, მაგრამ უაღრესად ხელსაყრელი მომენტები სუსტმა ქარმა წაიღო (ისე, არც მთლად ქარის ბრალი გახლდათ მასპინძელთა გაცუდებული მომენტები). მალე „დინამო“ ისევ ორბურთიანი სხვაობით გაიჭრა წინ — მასპინძელთა დაცვა კვლავ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნაში ჩაიჭრა და რუხაძემ 35-იოდე მეტრიდან კარმიტოვებული მდივანი დაამწუხრა. მასპინძლებმა ამის შემდეგ იერიშებში გალიეს დარჩენილი დრო, მეტოქეზე ბევრად ხელსაყრელი მომენტებიც შექმნეს, მაგრამ ამით ვერ იხეირეს, მატჩის ბოლო წუთებზე კი მეტად საინტერესოდ განვითარდა მოვლენები. სტუმრებმა კვლავაც ისარგებლეს მასპინძელთა შეცდომით და თორნიკე რუხაძე ისევ პირისპირ შეეჩეხა მდივანს. საჯარიმოდან გამოსულმა მეკარემ ხელით შეძლო მეტოქის დარტყმული ბურთის მოგერიება და ბოლო იმედის ჯარიმისთვის მსაჯისგან წითელი ბარათიც მიიღო. შეცვლისუფლებამოკლებულმა გორელებმა კარში მინდვრის მოთამაშე კარელიძე დააყენეს, ის კი ვერ გაუმკლავდა სახვაძის ტექნიკურად დარტყმულ საჯარიმოს და 1:4 სტუმართა სასარგებლოდ.

„დინამომ“ ღირსეულად გაიმარჯვა, მაგრამ დროა, წერილის სათაურსაც ვუპასუხოთ. ქვეყნის ათგზის ჩემპიონი და კვლავაც ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი მატჩის განმავლობაში 24-ჯერ არ უნდა რჩებოდეს „დილასთან“ შეხვედრაში თამაშგარედ, ეს რომ ასე იყო, შეგიძლიათ მერწმუნოთ, მატჩზე დამსწრე ათასხუთასამდე კაცში თქვენი მონამორჩილიც იმყოფებოდა.

საქართველოს ჩემპიონატი · მეორე ეტაპი

# 3 ტური

# გორდა პილესა

თბილისი
22 მარტი
15 საათი
ისანი
100 (ტევადობა 3 000)

**არსენალი 0:4 გორდა**

0:1 მიშველიძე (35), 0:2 ლაბაძე (37), 0:3, 0:4 ვ. კილასონია (70, 84)
**არსენალი:** კუპატაძე (დ. ქაცარავა 77), ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, ხარებავა, სულაძე (ი. კაპანაძე 64), შუკაკიძე, ა. ხმალაძე, კაკაშვილი, ქოიავა, გ. ტუღუში
*სათადარიგო:* ჩალაძე
**გორდა:** ბედიაშვილი, ბერიძე, ბურნაძე, გაბელაია, ვ. კილასონია, მელაძე (ბაჩილავა 87), გ. კილასონია (კიტეიშვილი 77), მიშველიძე (ა. ბუკია 79), კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე, სილაგაძე
*სათადარიგონი:* გონგაძე, მჭედლიძე, ბექაური, მ. სახვაძე
**გაფრთხილება:** ე. ალადაშვილი (25), გაბელაია (44), ბერიძე (73)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ლ. სილაგავა, ა. კრიჭაშვილი (ორივე თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ჯ. თანანაშვილი

ვანო ოქროპირიძე

შავ დღეშია თბილისის „არსენალი“, შავ დღეში. თუ სასწრაფოდ რამე არ ილონეს, მომავალ სეზონს რეგიონალლიგაში შეხვდებიან არმიელები. მაგრამ რა უნდა ილონონ? ეგაც საკითხავია. გუშინდელივით თუ გაირჯებიან დარჩენილ თერთმეტ შეხვედრაში პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებას ვინ ჩივის, ერთი თამაშის მოგებაც გაუჭირდებათ ჯონი ჯანელიძის შეგირდებს. სამი მატჩი, სამი წაგება, ერთი გატანილი და რვა გაშვებული გოლი — აი, ეს არის (ჯერჯერობით) „არსენალის“ საგაზაფხულო მონაგარი. ღმერთმა ქნას, ავლაბრელებს მალე გამოესწორებინოთ მდგომარეობა, მაგრამ...

მართალი ყოფილა რუსთაველთა მთავარი მწვრთნელი იასონ ალადაშვილი, მეორე ეტაპის პირველი ტურის გადადება რომ სთხოვა ფედერაციას. ალბათ გაგახსენდათ, „არსენალი“ — „გორდა“ ჯერ კიდევ 5 მარტს უნდა გამართულიყო. მაშინ რუსთაველთა ორი წამყვანი ფეხბურთელი — ძმები ვარლამ და გიორგი კილასონიები ხორვატიაში ახლდნენ ქვეყნის მინიფეხბურთელთა ნაკრებს. მწვრთნელმაც დებულების ის პუნქტი გამოიყენა, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ნაკრებში ორი ფეხბურთელის გამშვებ კლუბს მატჩის გადადების უფლება აქვს. ალადაშვილის ეს გადაწყვეტილება, როგორც გუშინდელმა შეხვედრამ დაგვანახვა, გამართლებული ყოფილა. კილასონიები, რა თქმა უნდა, „არსენალთანაც“ საუკეთესონი იყვნენ მინდორზე. ეს განსაკუთრებით ვარლამზე ითქმის, რომელმაც არმიელებს 90 წუთის მანძილზე სისხლი გაუშრო.

თამაშს თავისი დაღი სველმა მინდორმაც დაატყო. ტალახში გაგორებულ-გამოგორებული ბურთი მალე დამძიმდა და ხშირად არაზუსტი პასის მიზეზიც ეს ხდებოდა. მიუხედავად ამისა, პირველი ტაიმი ისეთი გამოდგა, ბევრი რომ არ ელოდა. განსაკუთრებული არაფერი გვინახავს, უბრალოდ, გუნდები სხვა მატჩებთან შედარებით საკმაოდ სწრაფ ტემპში თამაშობდნენ. ასე დაახლოებით მე-40 წუთამდე გაგრძელდა, მერე კი ყველაფერი ცხადი გახდა და თამაშმაც აზრი დაკარგა.

არმიელებმა თავიდანვე მონდომებით შეუტიეს მეტოქეს და პირველი სახიფათო მომენტიც შექმნეს. მე-10 წუთზე კაკაშვილმა თავისი ნახევრიდან გრძელი და უზუსტესი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ხმალაძე, რომელმაც ბურთი მაინცდამაინც ბედიაშვილს დაუმიზნა, მოგერიებული ისევ ხმალაძეს დაუბრუნდა, თუმცა მერე მცველი გადაელობა. ეს იყო და ეს, „გორდა“ გონს მოეგო და არმიელებს აქეთ შეუტია. რუსთაველებმა კარის მისადგომებიც საიმედოდ გადაკეტეს. მხოლოდ ერთხელ შეცდნენ მცველები, როცა ასპინძელაშვილი საჯარიმოში უყურადღებოდ მიატოვეს, მანაც კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ახლოდან თავური დარტყმა მოაყოლა, თუმცა ისევ ბედიაშვილმა იყოჩაღა. ეს 28-ე წუთზე მოხდა. მანამდე სტუმრებსაც შეეძლო რამდენჯერმე გატანა — ვერ ივარგეს. 31-ე წუთზე ლაბაძის პასით კუპატაძესთან ერთი ერთზე გასულმა ვარლამ კილასონიამ მეკარეც მოატყუა, მაგრამ დარტყმა დააგვიანა და მერე მცველებმა ჩამოუსწრეს. სამაგიეროდ, მომდევნო შანსი გამოიყენეს რუსთაველებმა — ვარლამ კილასონიამ მახვილი კუთხიდან არც ისე ძლიერად დაარტყა, ბურთი კარს სცდებოდა, თუმცა მიშველიძემ არ მისცა ამის საშუალება, მარჯვენა ძელთან დახვდა და ცარიელ კარში შეაგდო. ორ წუთსაც არ გაევლო, ლაბაძემ მასპინძელთა საჯარიმოში მიიღო ბურთი, მეურვეც ჩამოიშორა და მოჭრილი დარტყმით ეროვნულ ჩემპიონატში თავისი პირველი გოლი, თანაც საკმაოდ ლამაზი, გაიტანა. ამის შემდეგ „გორდა“ მოეშვა.



[illegible] ფოტო

კახა ალადაშვილი სამი არმიელის წინააღმდეგ

„არსენალმა“ ამით ვერ ისარგებლა. ეგ კი არა, მეორე ტაიმში კიდევ ორი ბურთი გაუშვა.

მეორე ნახევარში „გორდას“ ხუთჯერ მაინც შეეძლო გატანა და ხუთივეჯერ ვარლამ კილასონიას ჰქონდა ამის შესაძლებლობა. აქედან უფროსმა კილასონიამ ორი მომენტის გამოყენება შეძლო. 70-ე წუთზე ლაბაძემ ჩინებული პასით ერთბაშად ოთხი მცველი დატოვა ხახამშრალი, კილასონია კი მეკარეს შეატოვა, ვარლამმა კუპატაძეც მოატყუა, მაგრამ ბურთი წინ ძლიერად გაიგდო და კუთხურის ხაზთან ძლივს მიუსწრო, მერე კი ჩამოსწრებულ მცველებს სათითაოდ შემოუარა და კუპატაძეს იმ კუთხეში გაუტანა, სადაც მეკარე იდგა.

კილასონიამ არც კუპატაძის შემცვლელ ქაცარავას „აწყენინა“ და 84-ე წუთზე მასაც გამოატანინა ბურთი კარიდან.

„გორდამ“ დიდი ანგარიშით — 4:0 მოიგო. როდის გაიმარჯვეს სტუმრად ასეთი სხვაობით, რუსთაველებს, მგონი, აღარც ახსოვთ. ბოლოს ეს 1996 წლის 20 აპრილს მოხდა, როცა ყვარელში „დურუჯს“ 5:1 სძლიეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 16 |
| გორდა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:0 | 15 |
| მერანი | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 15 |
| თსუ | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 14 |
| თბილისი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 10 |
| ხობი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | 8 |
| სამგურალი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 7 |
| არსენალი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 5 |

# ციმბირელთა არაჩვეულებრივი თავგადასავალი მალთაყვაში

## ოქროს ტბაში რვა დღე 27 ფეხბურთელი შიმშილობდა

წავიდა დრო, როცა მოძმე რესპუბლიკების გუნდები საქართველოს ზღვისპირეთში ამჯობინებდნენ მომზადებას. ახლა იქ შეკრებებს ქართული გუნდებიც აღარ აწყობენ. ზოგი მეზობელ ანთალიას, ზოგიც შორეულ კვიპროსს არჩევს. თუმცა ერთეული გამონაკლისებიც არიან.

ასეთად ბოლო წლების განმავლობაში რუსეთის მეორედივიზიონელი ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცი“ იქცა. ამ გუნდს საქართველოსთან ის აკავშირებს, რომ მთავარი მწვრთნელი ეროვნებით ქართველი ჰყავს, გუნდის ღირსებას კი რამდენიმე წელია, ქუთაისელი ფეხბურთელები იცავენ. მათ შორისაა ქართული ფეხბურთის ვეტერანი, 44 წლის მერაბ მეგრელაძე.

„ჩკალოვეცს“ ქართულ ყოფასთან საერთო სხვაც ბევრი აქვს. გუნდში ორ წელზე მეტია, არ დარიგებულა ხელფასი, კლუბის თავკაცი სერგო ირომაშვილი მუდმივად სკანდალებშია გახვეული და ნოვოსიბირსკის პრესის კრიტიკის ქარცეცხლშიც ხშირად ექცევა.

ირომაშვილი საქართველოს წლეულსაც ეწვია თებერვლის შეკრების მოსამზადებლად, თანაც კიდევ რამდენიმე ქართველის აყვანის სურვილი გამოთქვა. ამ დროს კი რუსეთის საფეხბურთო კავშირმა უკვე მიიღო დადგენილება, რომელიც უცხოელებს მეორე დივიზიონში თამაშს უკრძალავს. ამის მიუხედავად, ირომაშვილმა „ჩკალოვეცში“ წასვლის მსურველს მაინც მიაგნო, ეს გურჯაანის „ალაზანის“ მეკარე, ოთარ გაბელიას ვაჟი გიორგი აღმოჩნდა.

თავად „ჩკალოვეცი“ კი მალთაყვას 21 თებერვალს ესტუმრა. მას 14-ში ელოდნენ, მაგრამ ნოვოსიბირსკ — ერევნის რეისი გადაიდო და გუნდმაც ერთი კვირა დაიგვიანა. ციმბირელები სერგო ირომაშვილის გარეშე ჩამოვიდნენ, რომელიც ნოვოსიბირსკში დარჩა და გუნდს აღუთქვა, 5 დღეში შემოგიერთდებით. ნოვოსიბირსკელები პირობებით კმაყოფილნი დარჩნენ, ისინი აჭარა-გურია-სამეგრელოში თხილის ბიზნესით დაკავებულ სააქციო საზოგადოება „არგოს“ სასტუმრო „ოქროს ტბაში“ დაბინავდნენ. ეს სწორედ ის „არგოა“, რომელშიც წილი თვით აშშ-ს პრეზიდენტის ცოლისძმებს, როდჰემებს აქვთ.

თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო — შუქიც იყო, წყალიც, საჭმელიც და სპარინგ-პარტნიორებიც. თუმცა არ ჩანდა ირომაშვილი. გუნდმა ქართულ კლუბებთან მეორე მწვრთნელის, პოკონინის ხელმძღვანელობით ითამაშა.

საქმე მას შემდეგ აირია, რაც ნოვოსიბირსკის მხარის გუბერნატორმა ვიქტორ ტოლოკონსკიმ ნოვოსიბირსკის ორივე საფეხბურთო გუნდის — „ჩკალოვეცისა“ და ახალშექმნილი „ოლიმპიკის“ შეფობა თავისთან დაიბარა და გაერთიანება უბრძანა. გუბერნატორმა ეს იმით ახსნა, რომ ერთი გუნდის შენახვა უფრო იოლია. ამან ირომაშვილი დააფრთხო, რადგან ახალი გუნდის მწვრთნელობას მას არავინ შესთავაზებდა. გუბერნატორი თურმე ამაოდ ცდილობდა ირომაშვილის მოძებნას. ამასობაში კი 8 მარტიც მოვიდა.

სწორედ იმ დღიდან დაიწყო ყველა ის უბედურება, რომლებიც „ჩკალოვეცს“ თანდათანობით დაატყდა თავს. საქმე ისაა, რომ გუნდს ფული სწორედ 8 მარტამდე ჰქონდა გადახდილი. შეკრების ვადა გავიდა. ირომაშვილი არ ჩანდა. „ოქროს ტბის“ ადმინისტრაციამ კი, მასპინძლობა მასპინძლობადო და... თავიდან ფეხბურთელებს ნომრებში ტელეფონები გამოურთო, მეორე დღეს — შუქი, მესამე დღეს პასპორტები ჩამოართვა, რათა მათ გამგზავრება ვერ მოეხერხებინათ. ბოლოს ციმბირელებს თავიანთი ფულიც გაუთავდათ და 15 მარტამდე მშივრები ისხდნენ ცივ და ბნელ ნომრებში.

15 მარტს ჯოჯოხეთი „ოქროს ტბაში“ მხოლოდ 7 ჩკალოვეცელისთვის დასრულდა. მათ როგორღაც მიაწვდინეს ხმა იმ დროს ანთალიაში მყოფ ნოვოსიბირსკის „ოლიმპიკს“, რომელმაც „ოქროს ტბას“ შვიდი კაცის ფული გადაუხადა, დანარჩენი ოცისთვის კი თანხა არ ეყო. ნოვოსიბირსკში დაბრუნებული ფეხბურთელები თურმე ამაოდ ეძებდნენ ირომაშვილს, განსაკუთრებით ფორვარდი იური შნირიუკი აქტიურობდა. მას ძალიან აინტერესებდა, როგორ ჩახედავდა მწვრთნელი თვალებში.

გასულ კვირას კი „ოლიმპიკმა“ დარჩენილი 20 კაციც დაიხსნა მალთაყვის ტყვეობიდან. მათ საქართველო-თურქეთის საზღვარი გადალახეს და ნოვოსიბირსკის ახალ გუნდს ანთალიაში შეუერთდნენ. ჯერჯერობით კი კვლავაც უცნობია, გაერთიანდება თუ არა „ოლიმპიკი“ და „ჩკალოვეცი“. ერთია, რომ ამას „ჩკალოვეცის“ ხელმძღვანელობა ეწინააღმდეგება, მეორეც, სეზონი მოახლოებულია და რუსეთის ფეხბურთის ასოციაციისთვის ამის შესახებ არავის უცნობებია.

რაც შეეხებათ „ჩკალოვეცის“ ქართველებს, ჯერაც შინ, საქართველოში, გაურკვევლობაში არიან.

სიმონ მენაბდე

# მოგწონს, გიორგი, ედინბურგი?

ინგლისურ „პორტსმუთთან“ და უკრაინულ „კრივბასთან“ პირობებზე ახლახან ვერშეთანხმებულმა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ, შოტლანდიას მიაშურა და იქაურ ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე მყოფ ედინბურგის „ჰიბერნიანთან“ ერთად ვარჯიშობს. მას გუშინ „ჰიბერნიანის“ ახალგაზრდულ გუნდშიც უნდა ეთამაშა.

„კმაყოფილი ვარ, ნემსაძე კარგი ფეხბურთელია, მისი რამდენიმე თამაშის ფირი ვნახე და ვფიქრობ, ჩვენს გუნდს მოერგება, გაგვაძლიერებს. ნემსაძე ფრანგ ფრანკ სოზეს შემცვლელად მეგულება, რომელიც სეზონის ბოლოს აპირებს გუნდიდან წასვლას.

ქართველმა ჩვენთან ორჯერ უკვე ივარჯიშა, მაგრამ მის ფიზიკურ მზადყოფნაში ვერ დავრწმუნდი. ახლა მეორე გუნდში ვათამაშებ და ფიზიკურ ფორმას შევუმოწმებ. ისე ნემსაძესაც ჰკითხეთ, მოსწონს თუ არა აქაურობა“ — ეს განაცხადა „ჰიბერნიანის“ მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა.

შოტლანდიელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ნემსაძე ქინქლაძეს, შოთა არველაძესა და ქეცბაიას კარგად იცნობს, ერთ გუნდში თამაშობდნენო. იმასაც წერენ, ქართველი ედინბურგში ჩასვლისთანავე „ჰიბერნიან“ — „კილმარნოკის“ დერბის დაესწროო.

თავად ნემსაძესთან შეხმიანება კი არ მოხერხდა, თუმცა შევიტყვეთ, რომ გიორგი შაბათს თბილისში ჩამოვა და „ჰიბერნიანის“ პასუხს დაელოდება.

კობა ინასარიძე



გიორგი ნემსაძე

# სომხებთან რაზდანზე, მექსიკელებთან იტალიაში

საქართველოს ნაკრები კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს — 26 აპრილს ჩვენებურები ერევანს ესტუმრებიან და „რაზდანის“ სტადიონზე სომხებს დაუპირისპირდებიან. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მომავალი მასპინძლებთან უკვე ყველაფერი შეათანხმა.

ეს მატჩი მეტოქეთათვის მესამე იქნება. შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრებს ყველაზე დიდი ანგარიშით სწორედ სომხები დაუმარცხებია, თბილისში, 7:0. მეორედ კი ჩვენებურებმა მეზობლები კვიპროსზე დაამარცხეს.

თითქმის გადაწყვეტილია ისიც, რომ საქართველოს ნაკრები ამხანაგურად მექსიკელებსაც გაეჯიბრებიან. ნუ გაიკვირვებთ, მაგრამ ეს მატჩი, იტალიის ქალაქ ფლორენციის მახლობლად მონტე კარლინი ტერნეში ჩატარდება. ფიფას ერთ-ერთი მატჩ-აგენტის ცნობით, მექსიკელები თანახმა არიან იტალიაში გვიმასპინძლონ, ხარჯებსაც, თურმე ისინი კისრულობენ.

კობა ინასარიძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ეროვნული ნაკრების ექიმს, დიმიტრი ზაალიშვილს მამის გარდაცვალების გამო.

# საქართველოს XI ჩემპიონატი

## რეგიონალური ლიგა

# მეორე წრის კალენდარი

### ვინ სად თამაშობს

| | |
|---|---|
| აკადემია<br>მრეტები<br>ცხუმი | მაუდკომბინატ „ივერიის" სტადიონზე |
| საუ | სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე |
| იბერია | მუხრანის სტადიონზე |
| ლოკომოტივი 2 | დიღომში „ლოკომოტივის" ბაზაზე |
| ხალიბი | „ფოლადის" სტადიონზე |
| სამგორი | გარდაბნის სტადიონზე |
| თბილისი 2 | დიღომში „დინამოს" ბაზაზე |
| ამირანი | „სინათლის" სტადიონზე |
| ალაზანი | ძველ ანაგაში „ლარწყალის" სტადიონზე |
| ზუგდიდი<br>ლაზიკა<br>მეგრი | ზუგდიდის ცენტალურ სტადიონზე, წვიმისას ბაზაზე |
| ბათუმი 2 | „დინამოს" ან ბნქ-ს სტადიონზე |
| კოლხეთი 2<br>ფაზისი | „ფაზისის", წვიმისას, მალანიას სახელობის სტადიონზე |
| გაგრა | გუმბრინში „სამგურალის" ბაზაზე |
| ინტერი | საღორიაზე ქუთაისის „ტორპედოს" ბაზაზე |
| მარგვეთი | თერჯოლის ცენტრალურ სტადიონზე |
| იბერია 2 | დიდ ჯიხაიშში „იბერიის" ბაზაზე |
| რწმენა | ქუთაისში „დინამოს" სტადიონზე |
| ოკეანე | კულაშის ტექნიკუმის სტადიონზე |

## აღმოსავლეთი

### «ა» ზონა

I ტური

25 მარტი, შაბათი

არაგვი : ცხინვალი

*დუშეთი ცხინვალი*

ვარძია : ივერია

*ასპინძა ხაშური*

მესხეთი : თორი

*ახალციხე ბორჯომი*

ს.ა. იბერია : ცხუმი

*თბილისი სოხუმი*

განთიადი : საუ

*კასპი თბილისი*

*თბილისის* მრეტები *ისვენებს*

II ტური

1 აპრილი, შაბათი

ცხუმი : ვარძია

საუ : მესხეთი

ივერია : არაგვი

2 აპრილი, კვირა

თორი : იბერია

ცხინვალი : მრეტები

III ტური

7 აპრილი, პარასკევი

არაგვი : ცხუმი

იბერია : საუ

ვარძია : თორი

მრეტები : ივერია

მესხეთი : განთიადი

IV ტური

13 აპრილი, ხუთშაბათი

განთიადი : იბერია

საუ : ვარძია

თორი : არაგვი

ცხუმი : მრეტები

ივერია : ცხინვალი

V ტური

21 აპრილი, პარასკევი

ცხინვალი : ცხუმი

მრეტები : თორი

არაგვი : საუ

ვარძია : განთიადი

იბერია : მესხეთი

VI ტური

27 აპრილი, ხუთშაბათი

ცხუმი : ივერია

28 აპრილი, პარასკევი

საუ : მრეტები

თორი : ცხინვალი

29 აპრილი, შაბათი

მესხეთი : ვარძია

განთიადი : არაგვი

VII ტური

5 მაისი, პარასკევი

ცხინვალი : საუ

ივერია : თორი

მრეტები : განთიადი

ვარძია : იბერია

6 მაისი, შაბათი

არაგვი : მესხეთი

VIII ტური

12 მაისი, პარასკევი

განთიადი : ცხინვალი

იბერია : არაგვი

საუ : ივერია

თორი : ცხუმი

მესხეთი : მრეტები

IX ტური

18 მაისი, ხუთშაბათი

ცხუმი : საუ

ივერია : განთიადი

ცხინვალი : მესხეთი

არაგვი : ვარძია

19 მაისი, პარასკევი

მრეტები : იბერია

X ტური

25 მაისი, ხუთშაბათი

მესხეთი : ივერია

იბერია : ცხინვალი

განთიადი : ცხუმი

საუ : თორი

ვარძია : მრეტები

XI ტური

31 მაისი, ოთხშაბათი

თორი : განთიადი

ცხუმი : მესხეთი

ივერია : იბერია

ცხინვალი : ვარძია

1 ივნისი, ხუთშაბათი

მრეტები : არაგვი

### «ბ» ზონა

I ტური

27 მარტი, ორშაბათი

აკადემია : სამგორი

*თბილისი გარდაბანი*

ამირანი : ლოკომოტივი 2

*ოჩამჩირე თბილისი*

ზოოვეტი : ხალიბი 97

*თბილისი რუსთავი*

არსენალი 2 : ჭაბუკიანი

*თბილისი ჭაბუკიანი*

თბილისი 2 : ყვარელი

*თბილისი ყვარელი*

*გურჯაანის* ალაზანი *ისვენებს*

II ტური

1 აპრილი, შაბათი

სამგორი ზოოვეტი

ყვარელი : არსენალი 2

ჭაბუკიანი : ამირანი

ხალიბი : თბილისი 2

ლოკომოტივი 2 : ალაზანი

III ტური

8 აპრილი, შაბათი

ალაზანი : ჭაბუკიანი

ამირანი : ყვარელი

არსენალი 2 : ხალიბი

თბილისი 2 : სამგორი

ზოოვეტი : აკადემია

IV ტური

14 აპრილი, პარასკევი

ჭაბუკიანი : ლოკომოტივი 2

15 აპრილი, შაბათი

ყვარელი : ალაზანი

სამგორი : არსენალი 2

ამირანი : სამგორი

თბილისი 2 : ზოოვეტი

VI ტური

27 აპრილი, ხუთშაბათი

ხალიბი : ლოკომოტივი 2

28 აპრილი, პარასკევი

ყვარელი : ჭაბუკიანი

აკადემია : ამირანი

ზოოვეტი : არსენალი 2

29 აპრილი, შაბათი

სამგორი : ალაზანი

VII ტური

7 მაისი, კვირა

ლოკომოტივი 2 : სამგორი

ალაზანი : აკადემია

ამირანი : ზოოვეტი

არსენალი 2 : თბილისი 2

ჭაბუკიანი : ხალიბი

VIII ტური

14 მაისი, კვირა

ზოოვეტი : ალაზანი

სამგორი : ჭაბუკიანი

აკადემია : ლოკომოტივი 2

თბილისი 2 : ამირანი

15 მაისი, ორშაბათი

ხალიბი : ყვარელი

IX ტური

18 მაისი, ხუთშაბათი

ამირანი : არსენალი 2

ლოკომოტივი 2 : ზოოვეტი

19 მაისი, პარასკევი

ყვარელი : სამგორი

ჭაბუკიანი : აკადემია

ალაზანი : თბილისი 2

X ტური

24 მაისი, ოთხშაბათი

არსენალი 2 : ალაზანი

თბილისი 2 : ლოკომოტივი 2

ზოოვეტი : ჭაბუკიანი

აკადემია : ყვარელი

სამგორი : ხალიბი

XI ტური

1 ივნისი, ხუთშაბათი

ყვარელი : ზოოვეტი

ხალიბი : აკადემია

ჭაბუკიანი : თბილისი 2

ლოკომოტივი 2 : არსენალი 2

ალაზანი : ამირანი

## დასავლეთი

### «ა» ზონა

I ტური

25 მარტი, შაბათი

მაღაროელი : ოკეანე

*ჭიათურა სამტრედია*

რწმენა : გურია

*ქუთაისი ლანჩხუთი*

მეტალურგი : სულორი

*ზესტაფონი ვანი*

რაჭა : მეშახტე

*ამბროლაური ტყიბული*

27 მარტი, ორშაბათი

ინტერი : დინამო

*ქუთაისი გაგრა*

იბერია 2 : მარგვეთი

*სამტრედია ზესტაფონი*

II ტური

1 აპრილი, შაბათი

გაგრა : მაღაროელი

სულორი : გურია

რაჭა : რწმენა

მარგვეთი : მეტალურგი

2 აპრილი, კვირა

მეშახტე : ინტერი

ოკეანე : იბერია 2

III ტური

7 აპრილი, პარასკევი

გურია : მარგვეთი

მეტალურგი : ოკეანე

რწმენა : სულორი

ინტერი : რაჭა

8 აპრილი, შაბათი

მაღაროელი : მეშახტე

იბერია 2 : გაგრა

IV ტური

15 აპრილი, შაბათი

რაჭა : მაღაროელი

მარგვეთი : სულორი

მეშახტე : იბერია 2

გაგრა : მეტალურგი

ოკეანე : გურია

ინტერი : რწმენა

V ტური

21 აპრილი, პარასკევი

გურია : დინამო

რწმენა : მარვგეთი

სულორი : ოკეანე

მეტალურგი : მეშახტე

23 აპრილი, კვირა

იბერია 2 : რაჭა

მაღაროელი : ინტერი

28 აპრილი, პარასკევი

რაჭა : მეტალურგი

გაგრა : სულორი

მაღაროელი : რწმენა

მეშახტე : გურია

ოკეანე : მარგვეთი

ინტერი : იბერია 2

VII ტური

5 მაისი, პარასკევი

რწმენა : ოკეანე

გურია : რაჭა

მარგვეთი : გაგრა

სულორი : მეშახტე

7 მაისი, კვირა

მეტალურგი : ინტერი

იბერია 2 : მაღაროელი

VIII ტური

12 მაისი, პარასკევი

მაღაროელი : მეტალურგი

მეშახტე : მარგვეთი

გაგრა : ოკეანე

რაჭა : სულორი

VIII ტური

14 მაისი, კვირა

ინტერი : გურია

იბერია 2 : რწმენა

18 მაისი, ხუთშაბათი

მარგვეთი : რაჭა

გურია : მაღაროელი

მეტალურგი : იბერია

რწმენა : დინამო

ოკეანე : მეშახტე

სულორი : ინტერი

X ტური

24 მაისი, ოთხშაბათი

მაღაროელი : სულორი

რაჭა : ოკეანე

მეშახტე : გაგრა

ინტერი : მარგვეთი

იბერია 2 : გურია

მეტალურგი : რწმენა

XI ტური

31 მაისი, ოთხშაბათი

გაგრა : რაჭა

მარგვეთი : მაღაროელი

გურია : მეტალურგი

სულორი : იბერია 2

ოკეანე : ინტერი

1 ივნისი, ხუთშაბათი

რწმენა : მეშახტე

### «ბ» ზონა

I ტური

24 მარტი, პარასკევი

სამეგრელო : ფაზისი

*ჩხოროწყუ ფოთი*

ბახმარო : ლაზიკა

*ჩოხატაური ზუგდიდი*

25 მარტი, შაბათი

სქური : დინამო

*წალენჯიხა ზუგდიდი*

მეგრი : მერცხალი

*ზუგდიდი ოზურგეთი*

ჩელა : შუქურა

*დარჩელი ქობულეთი*

კოლხეთი 2 : დინამო 2

*ფოთი ბათუმი*

II ტური

31 მარტი, პარასკევი

ბათუმი 2 : სქური

ფაზისი : ჩელა

ბახმარო : მეგრი

ლაზიკა : სამეგრელო

შუქურა : კოლხეთი 2

1 აპრილი, შაბათი

ზუგდიდი : მერცხალი

III ტური

7 აპრილი, პარასკევი

ჩელა : ლაზიკა

სამეგრელო : ბახმარო

მერცხალი : ბათუმი 2

კოლხეთი 2 : ფაზისი

8 აპრილი, შაბათი

სქური : შუქურა

მეგრი : ზუგდიდი

IV ტური

13 აპრილი, ხუთშაბათი

ლაზიკა : კოლხეთი 2

14 აპრილი, პარასკევი

ბახმარო : ჩელა

15 აპრილი, შაბათი

სამეგრელო : მეგრი

ფაზისი : სქური

შუქურა : მერცხალი

ბათუმი 2 : ზუგდიდი

V ტური

20 აპრილი, ხუთშაბათი

მეგრი : ბათუმი 2

21 აპრილი, პარასკევი

მერცხალი : ფაზისი

ჩელა : სამეგრელო

სქური : ლაზიკა

ზუგდიდი : შუქურა

კოლხეთი 2 : ბახმარო

VI ტური

28 აპრილი, პარასკევი

ფაზისი : ზუგდიდი

ჩელა : მეგრი

შუქურა : ბათუმი 2

სამეგრელო : კოლხეთი 2

ლაზიკა : მერცხალი

29 აპრილი, შაბათი

ბახმარო : სქური

VII ტური

5 მაისი, პარასკევი

ბათუმი 2 : ფაზისი

მეგრი : შუქურა

მერცხალი : ბახმარო

სქური : სამეგრელო

კოლხეთი 2 : ჩელა

6 მაისი, შაბათი

ზუგდიდი : ლაზიკა

VIII ტური

11 მაისი, ხუთშაბათი

ფაზისი : შუქურა

ლაზიკა : ბათუმი 2

ჩელა : სქური

12 მაისი, პარასკევი

სამეგრელო : მერცხალი

ბახმარო : ზუგდიდი

კოლხეთი 2 : მეგრი

IX ტური

18 მაისი, ხუთშაბათი

ბათუმი 2 : ბახმარო

მეგრი : ფაზისი

შუქურა : ლაზიკა

სქური : კოლხეთი 2

19 მაისი, პარასკევი

მერხცალი : ჩელა

ზუგდიდი : სამეგრელო

X ტური

25 მაისი, ხუთშაბათი

ჩელა : ზუგდიდი

ბახმარო : შუქურა

სამეგრელო : ბათუმი 2

ლაზიკა : ფაზისი

სქური : მეგრი

კოლხეთი 2 : მერცხალი

XI ტური

1 ივნისი, ხუთშაბათი

მეგრი : ლაზიკა

ფაზისი : ბახმარო

შუქურა : სამეგრელო

მერცხალი : სქური

ბათუმი 2 : ჩელა

ზუგდიდი : კოლხეთი 2

# რა მოხდება ფერგიუსონის შემდეგ?
## ლიდსის თავმჯდომარემ ბევრი იცინა



მარტინ ონილი



დევიდ ოლირი

ᲐᲘ, ასე: „მანჩესტერ იუნაიტედის“ ქომაგებს იმედი აქვთ, რომ ორი წლის შემდეგ, როდესაც მათი გუნდის მწვრთნელის თანამდებობიდან სერ ალექს ფერგიუსონი გადადგება, მის ადგილს ინგლისური პრემიერლიგის მისტერ X, „ლესტერ სიტის“ თავკაცი, მარტინ ონილი დაიკავებს.

აქ, თქვენი ნებართვით, თავს ერთი ჩართვის ნებას მივცემთ: ქართველებს (სხვათა შორის, პროფესიონალებს), კარგა ხანს ერეოდათ ერთმანეთში 80-იანი წლების ორი ინგლისელი ფეხბურთელი, გლენ ჰოდლი და კრის უოდლი. ერეოდათ კი არა, საწყლებმა კარიერა ისე ჩაამთავრეს, ჩვენში ერთი და იგივე ადამიანი ეგონათ და ამ მწარე გამოცდილების გათვალისწინებით გვსურს ხმამაღლა გამოვაცხადოთ, რომ „ლესტერ სიტის“ მწვრთნელი მარტინ ონილი სულ სხვა პიროვნებაა, ხოლო „ლიდს იუნაიტედის“ თავკაცი დევიდ ოლირი სხვა. მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდის სახელი ლ-ზე იწყება, ხოლო ორივე ი[…]ანდიელი მწვრთნელის გვარი ო-ზე და თან, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მომავალ ხელმძღვანელად ხან ერთს ასახე[…]ებენ, ხანაც მეორეს, მათი ერთ კაცად გამოცხადება ბი[…]ლოგიური შეცდომა იქნებოდა.

ახლა გან[…]აგრძოთ: გულშემატკივართა გამოკითხვა ინტერესით ჩატარდა. რესპოდენტთა პასუხები მნიშვნელოვნად ჰგავდა ერთმანეთს — თუკი ონილმა მცირებიუჯეტიან კლუბში შთამბეჭდავი სამუშაო ჩაატარა, მდიდარ „მანჩესტერ იუნაიტედში“ ფანტასტიკური შედეგების მიღწევა შეუძლია. გარდა ამისა, ქომაგები ბევრს წერდნენ ონილის მტკიცე ხასიათსა და უნარზე თავისადმი ყველა პატივისცემით განმსჭვალოს.

ონილის გარდა ფანებმა დაასახელეს ოლირი, „არსენალის“ ბოსი არსენ ვენგერი და „ქოვენთრის“ შეფი გორდონ სტრაჩანი.

მაგრამ არის სხვა მოსაზრებაც. კერძოდ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ახალგაზრდა, ნიჭიერ მწვრთნელს არ დასჯერდება, ის ცნობილი დიდოსტატის შეძენას შეეცდება. კი მაგრამ, ვინ არის ასეთი? ამ კითხვაზე ზოგი ასე პასუხობს: ნუ ეძებთ მხოლოდ ბრიტანელთა შორის.

მაშინ ვინ, ჯანლუკა ვიალი, იგივე ვენგერი ან ჟერარ ულიე? თუ ეს ხალხი მსუბუქ წონოსნებად მიგაჩნიათ, მაშინ მარჩელო ლიპი, ფაბიო კაპელო და ლუის ვან გაალი.

კი მაგრამ, ფერგიუსონის წასვლაზე საუბარი ჯერ ნაადრევი ხომ არ არის? გასაგებია, რომ ბევრის აზრით, თუ სერ ალექსი ჩემპიონთა თასს ამ სეზონშიც მოიგებს, ორ წელიწადს აღარ დაიცდის და გადადგება, მაგრამ რატომ? მისი გუნდის დღევანდელი მოთამაშეები საკმაოდ ახალგაზრდები გახლავან, ახალ ვარსკვლავთა შესაძენად „იუნაიტედს“ ფული არ აკლია და, შესაბამისად, ყველა წინაპირობაა საიმისოდ, რომ ფერგიუსონმა კიდევ კარგა ხანს იბატონოს ინგლისურ და თუნდაც კონტინენტურ ფეხბურთში — ასეთია კიდევ ერთი მოსაზრება.

ამ გამონათქვამების ფონზე თავად ალექს ფერგიუსონის შეხედულებაა საინტერესო.

„თუ ინგლისელი ახალგაზრდა მწვრთნელის მოძებნა გვსურს, მაშინ ერთ-ერთ საუკეთესო კანდიდატურად დევიდ ოლირი მიმაჩნია. მან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, თანამდებობაზე ჯორჯ გრემი შეცვალა და უმოკლეს დროში ძალიან ბევრი რამ ისწავლა. ჯერ კიდევ სეზონის წინ ვხვდებოდი, რომ „ლიდსი“ ძალიან ძლიერად ითამაშებდა და მართალიც აღმოვჩნდი, ოლირიმ არ გამაწბილა“ — განუცხადა სერ ალექსმა *News of the World*-ის კორესპონდენტს.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ფერგიუსონის ერთი შეხედვით თეორიულ მცდელობას „ლიდსის“ თავმჯდომარის, პიტერ რიდსდეილის მხრიდან ფრიად მწვავე რეაქცია მოჰყვა. მისტერ რიდსდეილმა ჩათვალა, რომ „ოლდ ტრეფორდის“ ბოსი ასეთი განცხადებით კონკურენტის სიფხიზლის მოდუნებას ცდილობს:

„გადავხედოთ განვლილ წლებს და ვნახავთ, რომ კონკურენტის სიტყვით დაბნევა სერ ალექსს ბრწყინვალედ აქვს შესისხლხორცებული. მისი კომენტარები ლიდსელთა ბანაკის ასარევადაა გამიზნული. ამ ხერხს ფერგიუსონი ყოველ წელიწადს მიმართავს, თუმცა დევიდი ჩვენთან თავს ბედნიერად გრძნობს და ამიტომ მანჩესტერელთა თავკაცის გამონათქვამებზე მხოლოდ მეცინება“.

**მიხეილ სურგულაძე**


**LEVON TRAVEL**

**ლევონ თრეველი გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე დასწრებას**

- გაატარეთ 6 დაუვიწყარი დღე პარიზში, 20-26 მაისს.
- ცხოვრება სამვარსკვლავიან სასტუმროში საუზმით, ექსკურსია პარიზსა და მის შემოგარენში.
- ავია და მატჩზე დასასწრები ბილეთები, დახვედრა-გაცილება.
- საგზურის ღირებულება 1190 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. საბუთების შემოტანის ბოლო ვადაა 29 მარტი.

ადგილები შეზღუდულია

მის: ჭავჭავაძის გამ. 20, ტელ. 25 00 10/25 00 60, მობ. 8 99 53 78 45


### ამხანაგური მატჩი

29 მარტი

**გერმანია — ხორვატია**

*ხორვატიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: სტიპე პლეტიკოშა (ჰაიდუკი), ჟელიკო პავლოვიჩი (ლინცერი, ავსტრია);*

*მცველები: დანიელ სარიჩი, სტეპან ტომაში (ორივე დინამო), ბორის ჟივკოვიჩი, რობერტ კოვაჩი (ორივე ბაიერი, ლევერკუზენი, გერმანია), იგორ შტიმაცი (ვესტ ჰემი, ინგლისი), დარიო სიმიჩი (ინტერი, იტალია);*

*ნახევარმცველები: რობერტ იარნი (ლას პალმასი, ესპანეთი), მარიო ცვიტანოვიჩი (დინამო), ზვონიმირ სოლდო (შტუტგარტი, გერმანია), ალიოშა ასანოვიჩი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), მარიო სტანიჩი (პარმა, იტალია), ნიკო კოვაჩი (ჰამბურგი, გერმანია), კრუნოსლავ იურჩიჩი (ტორინო, იტალია);*

*თავდამსხმელები: მილან რაპაიჩი (პერუჯა, იტალია), ალენ ბოკშიჩი (ლაციო, იტალია), დავორ შუკერი (არსენალი, ინგლისი), დავორ ვუგრინეცი (ტრაბზონსფორი, თურქეთი), ნინო ბულე (ზაგრები)*

### ფეხბურთის რუკასთან



ᲤᲠᲐᲜᲒᲘ თავდამსხმელის რობერ პირესის ცნობით, მას რამდენიმე წამყვანი ინგლისური კლუბი აკვირდება. „შევიტყვე, რომ „არსენალს“ და „ლივერპულს“ თვალი ჩემზე უჭირავთ — ამბობს პირესი — თუმცა ჯერჯერობით კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვი. თავად ესპანეთში თამაში მსურს, რადგან დედა ესპანელი მყავს. დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან პრიმერადივიზიონში გადავალ“. მარსელის „ოლიმპიკმა“ პირესს კიდევ ერთი სეზონით დარჩენა შესთავაზა. გუნდის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ თუ წამყვან ფეხბურთელთა უმეტესობას შეინარჩუნებს, გაისად წარმატებებს მიაღწევს. თუმცა პირესს კლუბის წინადადების თაობაზე ჯერჯერობით არაფერი დაუკონკრეტებია.

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲛᲐ „ასტონ ვილამ“ მცველი უგო ეჰიოგუ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ვერ დაიყოლია და მომავალი სეზონის ბოლოს ფეხბურთელი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს გუნდს. ეჰიოგუს ბირმინგემულ კლუბთან ხელშეკრულება 2001 წლის ზაფხულში უმთავრდება. მცველით რამდენიმე წამყვანი ინგლისური კლუბი, მათ შორის „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალია“ დაინტერესებული.**

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ მცველი გვიდო ლანზაატი გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ რვაკვირიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. მეორებუნდესლიგელი „მიონხენგლადბახის“ მოთამაშეს სისხლში ნარკოტიკების შემცველობა აღმოაჩნდა. ექსპერტიზის ცნობით, იგი მარიხუანას ეტანებოდა. დისკვალიფიკაცია ტესტირების დღიდან, 8 თებერვლიდან დაიწყო და 3 აპრილამდე გასტანს. კლუბმა ლანზაატი მაშინვე დასაჯა, ხოლო ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ დააგვიანა, რადგან ფეხბურთელს 8 კვირის ნაცვლად მხოლოდ ორი კვირის გამოტოვება მოუწევს.

**ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ნაკრების მწვრთნელმა ოტო ბარიჩმა მეკარე ალექს მანინგერს კლუბის გამოცვლა ურჩია. გოლკიპერი „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, ბარიჩი კი აცხადებს, მას პრაქტიკა სჭირდება და დროა, ახალი გუნდი ეძებოსო. „ალექსმა თუ არ ითამაშა, შესაძლოა ნაკრებში ადგილი დაკარგოს“ — ამბობს ბარიჩი. ავსტრიული ფეხბურთი ამჟამად კრიზისს განიცდის, ნაკრებიც საკმაოდ სუსტად გამოიყურება, თუმცა მისი თავკაცი იმედს არ კარგავს: „ასეთ დღეში ბევრი გუნდი ყოფილა, მაგრამ რთული ვითარებიდან თავი დაუღწევია. მწამს, რომ ჩვენც შევძლებთ“.**

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ „ინტერი“ სამხრეთ ამერიკის საფეხბურთო ბაზრის ათვისებას ცდილობს. მას შემდეგ, რაც კოლუმბიელი მცველის, ივან კორდობას კარგ ფეხბურთელობაში დარწმუნდნენ, მილანელებმა კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა პერსპექტიულ მოთამაშეს დაადგეს თვალი. სამხრეთ ამერიკიდან ევროპაში მოხვედრის ყველაზე რეალური კანდიდატი არგენტინელი ნახევარმცველი კლაუდიო ჰუსაინია, რომლის გადაბირებაშიც „ინტერს“ „ლაციო“ ეცილება. მილანელებს „ველეს სარსფილდის“ 22 წლის მცველის, სებასტიან მენდესის შეძენაც სურთ, არგენტინის ოლიმპიური ნაკრების წევრზე არც „ფიორენტინა“ ამბობს უარს.

**ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲛᲐ თავდამსხმელმა ერნან კრესპომ „პარმასთან“ ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, იგი გუნდში 2005 წლამდე დარჩება. ფორვარდის გადაბირებას ორი იტალიური გრანდი — „მილანი“ და „იუვენტუსი“ ცდილობდა, მაგრამ ახალმა შეთანხმებამ ყოველგვარი ვარაუდი გააქარწყლა. 23 წლის კრესპო მიმდინარე სეზონში საკმაოდ წარმატებულად ასპარეზობს და 17 გოლით სერია A-ს ერთ-ერთი ბომბარდირია. „პარმას“ ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ სულ მალე ლილიან ტურამთანაც გაახანგრძლივებს ხელშეკრულებას. იტალიური პრესის ცნობით, ფრანგი მცველით რამდენიმე წამყვანი ევროპული გუნდი დაინტერესდა.**

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲚᲘ ფორვარდი ფერნანდო მორიენტესი ჩემპიონთა ლიგაში „რუსენბორგთან“ მატჩის წინ ვარჯიშზე დაშავდა და სამ კვირას ვერ ითამაშებს. „რეალი“ საკმაოდ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, გუნდს ერთ-ერთი წამყვანი წევრი გამოაკლდა. მორიენტესი პრიმერადივიზიონის სამ ტურს გამოტოვებს, იტალიის ნაკრების წინააღმდეგ 29 მარტს დაგეგმილ ამხანაგურ შეხვედრაში ვერც ესპანეთის ნაკრებს შეეშველება. მადრიდელთა მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკეს თავდასხმაში პრობლემები შეექმნა — ნიკოლა ანელკა გუნდს, ალბათ, ერთი თვე ვერ დაეხმარება. მოსალოდნელია, რომ რაულის მხარდამხარ „რეალის“ სათადარიგო ფორვარდი ხუან ანტონიო მეკა ვიხილოთ.

**ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘ მცველი იგორ ტუდორი დათანხმდა, „იუვენტუსთან“ მიმდინარე კონტრაქტი კიდევ ხუთი წლით გაეხანგრძლივებინა. „ბებერი ქალბატონი“, ეტყობა, კმაყოფილია ფეხბურთელით, რაკი მისი დატოვება გადაწყვიტა. ტუდორი, მართალია, ყოველთვის ძირითადში ვერ ხვდება, კარლო ანჩელოტის იგი შეცვლებზე შეყავს, მაგრამ კლუბს პერსპექტიული მცველის ხელიდან გაშვება არ სურს.**

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ „ასტონ ვილას“ იტალიელი ფორვარდის, ბენიტო კარბონეს გადაბირებას „ფიორენტინა“ ცდილობს. „ნაპოლისა“ და მილანის „ინტერის“ ყოფილ ფეხბურთელს ლონდონის „ჩელსიმაც“ დაადგა თვალი, თუმცა ბირმინგემულ კლუბთან ოფიციალურად ჯერჯერობით არავინ შეთანხმებულა. იტალიური პრესის ცნობით, თუ კარბონემ „ასტონ ვილა“ დატოვა, იგი სწორედ „ფიორენტინაში“ გადაბარგდება.

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ მიუნხენის „ბაიერნის“ თავკაცს, ოტმარ ჰიცფელდს ბუნდესნაკრების მთავარი მწვრთნელობის იდეალურ კანდიდატად იუპ ჰაინკესი მიაჩნია. „ჰაინკესი გერმანიის ნაკრებისთვის იდეალური მწვრთნელია — ამბობს ჰიცფელდი — ჩემი კანდიდატურა ჯერჯერობით მოხსნილია, „ბაიერნთან“ ხელშეკრულება 2003 წლამდე მაკავშირებს. თუმცა ამის თაობაზე უკვე ალაპარაკდნენ. გერმანიის ნაკრების მწვრთნელობა საამაყოა, მაგრამ მე ახლა „ბაიერნში“ ვარ“. ნაკრების ამჟამინდელ ხელმძღვანელს, [...]იხ რიბეკს, რომელსაც ერთობ აკრიტიკებენ, კონტრაქტი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ უსრულდება. „არ გამოვრიცხავ, რიბეკის შემდეგ პოსტზე სწორედ ჰაინკესი მოვიდეს“ — აცხადებს ჰიცფელდი.**

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲛᲐ ნახევარმცველმა ზე რობერტომ „მილანის“ ყურადღება მიიპყრო. იტალიის ჩემპიონები იმედოვნებენ, რომ მოთამაშეს სეზონის ბოლოს გადაიბირებენ. თავად ზე რობერტო აცხადებს, რომ ლევერკუზენის „ბაიერში“ სავარაუდოდ ბოლო სეზონს ატარებს, გაისად იგი, ალბათ, იტალიაში გადავა, თუმცა სად, ჯერჯერობით არ გადაუწყვეტია. „მილანის“ გარდა ფეხბურთელის შეძენას „რომაც“ ლამობს.

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. A ჯგუფი

### სპარტა 1:2 ბარსელონა

1:0 სვობოდა (18), 1:1, 1:2 გაბრი (52, 89)
ჰაპალმა 88-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა
სპარტა: ბლაჟეკი, გაბრიელი, ნოვოტნი, ბოლფი, ფუკალი, იაროშიკი, სიონკო, სვობოდა (ჰაპალი 59), როსიცკი, ლოკვენცი, ობაიდინი (ფლახბარტი 71)
მწვრთნელი: ივან ჰაშეკი
ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, ფ. დე ბური, დეუ, ბოგარდი, გვარდიოლა (ხავი 60), კოკუ (ლიტმანენი 75), სიმაო, გაბრი, რივალდო (რ. დე ბური 46), დანი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
გაფრთხილება: რაიციგერი, ფ. დე ბური, სიონკო, გაბრი
მსაჯი: რ. პედერსენი (ნორვეგია)
20 224 მაყურებელი

ახლა ვიცით, „ჰერტა" — „პორტუს" მატჩის შედეგმა იმავე ჯგუფში პარალელურად მიმდინარე შეხვედრა ფორმალობად აქცია. თუმცა ეს წინასწარ ვის ეცოდინებოდა, ამიტომაც იმართება თამაშები ერთდროულად.

„სპარტას" აუცილებლად უნდა მოეგო. პრალის „ლეტნაზე" მისული 20 ათასი ქომაგიც იგივეს ითხოვდა. თან ეიმედებოდათ, „ბარსელონას" მეოთხედფინალში გასვლა განაღდებული აქვს და ნაკლებ მონდომებული იქნებაო. ვარაუდმა არ გაამართლა — ესპანელები (თუმცა „ბარსელონაში" ისინი სანთლით საძებარნი არიან) ჩეხეთს გასასეირნებლად არ სწვევიან.

პირველი ტაიმი სტუმრებისა იყო. ისინი ბურთსაც მეტხანს ფლობდნენ და შეტევებიც უფრო სახიფათო გამოსდიოდათ. გოლი კი მათ კარში გავიდა. მე-18 წუთზე ვრატისლავ ლოკვენცმა უმეთვალყურეოდ მიტოვებული ზდენეკ სვობოდა შენიშნა, ჩააწოდა და ამ უკანასკნელმა არცთუ ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა.

კატალონიელები ისედაც აქტიურობდნენ, გოლის გაშვების შემდეგ კი ერთიორად მოინდომეს. მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში „ბარსელონა" ერთადერთი გუნდია, დამარცხების სიმწარე რომ არ უგემია. ჰოდა, თავმოყვარეობის ამბავიც გახლდათ.

შესვენების შემდეგ ლიდერის ფუნქცია გაბრიელ გარსია დე ლა ტორემ, იმავე გაბრიმ იკისრა. ეს იმანაც განაპირობა, რომ პატრიკ კლუივერტი და ფიგუ არ თამაშობდნენ, ხოლო რივალდო პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს. გაბრიომაც დაიწყო და ჯერ 52-ე, შემდეგ 89-ე წუთებზე სპარტელებს ორი გოლი შეუგდო. არადა, მასპინძლებს არ გაუმართლათ. ხავის მეორე გოლამდე ერთი წუთით ადრე პაველ ჰაპაელმა, ვინაც პირველი ბურთის გამტანი სვობოდა შეცვალა, პენალტი გააფუჭა. ეს რომ არა, ეგებ გაბრის გოლი არც ყოფილიყო და „სპარტას" მოეგო.

„რთული თამაში გვქონდა — თქვა ლუის ვან გაალმა და განმარტა — როდესაც მატჩის შედეგს მნიშვნელობა არა აქვს, უმოტივაციო ფეხბურთელების დამოძლევა ძალიან ძნელია. მოხარული ვარ, რომ ეს შევძელი. მეტოქეს ურიგოდ არ უთამაშია, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, მაგრამ ჩვენი უპირატესობა მაინც აშკარა იყო".

„ჩემპიონთა ლიგა იმით დავიწყეთ და დავასრულეთ, რომ პენალტები ვერ გავიტანეთ — ეს უკვე ჩეხთა მწვრთნელის ივან ჰაშეკის სიტყვებია — მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. ჩვენებრ ახალგაზრდული გუნდისთვის მიღწეული შედეგი ურიგო არ გახლავთ. ლიგას თავაწეულები ვემშვიდობებით".

### ჰერტა 0:1 პორტუ

0:1 კლეიტონი (69)
ჰერტა: კირალი, ჰ. ჰერცოგი, ვან ბურიკი (კოსტანდინიდისი 46), სვერისონი, სანე, კოვიჩი, დაისლერი (დარდაი 46), მიხალკე, როი, დაეი, ალექს ალვეში (არაჩიჩი 56)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
პორტუ: ბაია, სეკრეტარიუ, ალოიზიო, ესკერდინია, დეკო (პეიშე 89), ჟორჟე კოშტა, ჩაინიო, ნუნო კაპუჩო (ანდრადე 76), დრულოვიჩი (კლეიტონი 68), ჟარდელი, პაულინიუ სანტოსი
მწვრთნელი: ფერნანდო სანტოსი
მსაჯი: პ. კოლინა (იტალია)
30 506 მაყურებელი

გეხსომებათ, „პორტუს" ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ შეეძლო მეოთხედფინალში გასვლა. თუმცა „სპარტა" კერკეტი კაკალი აღმოჩნდა და წაგებული მატჩის შემობრუნება შეძლო. პორტუგალიელებს გული დიდად არ დასწყვეტიათ — ბოლო ტურის წინ ისინი კვლავაც ფავორიტებად რჩებოდნენ.

ბერლინში ჩასულ პორტუგალიელებს არცთუ ძნელი ამოცანა ჰქონდათ — უმოტივაციო „ჰერტასთან" ფრეც ჰყოფნიდათ, თან „ბარსელონასიც" ეიმედებოდათ, მართალია, ჯგუფიდან გასულია, მაგრამ პრაღაში თავს არ შეირცხვენსო. ამ შემთხვევაში „პორტუ" წაგებაზეც ყაბულს იყო.

პირველ ტაიმში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. მეტოქეებმა თითო-ოროლა მეტ-ნაკლებად სერიოზული შეტევა განახორციელეს, ეგ იყო და ეგ. კარლოს სეკრეტარიოს დარტყმული გაბორ კირალიმ უხერხულად მოიგერია, მაგრამ დამატებაზე მარიო ჟარდელმა ვერ ივარგა. რამდენიმე წუთში მასპინძელთა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ალექს ალვეშმა მცირედით ააცილა კარს, ხოლო კოვიჩის საჯარიმოში ჩაწოდებულმა ბურთმა პატრონი ვერ იპოვა.

შესვენების შემდეგ გუნდები რამდენადმე გააქტიურდნენ. ტრიბუნებზე თავშეყრილი 30 ათასი გულშემატკივარიც გამოცოცხლდა, მაგრამ 69-ე წუთზე შეცვლაზე შესული ფერეირა კრუზ კლეიტონის გოლმა თამაშს კვლავ პირვანდელი სახე დაუბრუნა. გოლი კი ლამაზი იყო. კლეიტონი კარგ.ი სლალომისტივით გაძვრა გერმანელ მცველებს შორის და კირალის ახლო მანძილიდან შეუგდო. იმავდროულად მიმდინარე მატჩშიც საყაიმო ანგარიში იყო და პორტუელებმაც შეხვედრა მშვიდად ჩაამთავრეს, არც მასპინძლებს გამოუდიათ დიდად თავი. ერთადერთი მარიო ჟარდელი ცდილობდა ანგარიშის გაზრდას, თუმცა მას თავისი ანგარიში ჰქონდა — ბომბარდირობისთვის იბრძვის.

მატჩის შემდეგ ახალგამომცხვარ მეოთხედფინალისტთა მწვრთნელმა ფერნანდო სანტოსმა განაცხადა: „დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ცხადია, სანახაობრივად ვერაფერი თამაში გახლდათ, მაგრამ მთავარი ხომ მიზნის შესრულებაა. დამეთანხმებით, მთელი 90 წუთი მატჩის სადავეები ხელიდან არ გაგვიშვია და სანამ გოლი არ გავიტანეთ, ვიბრძოდით. აქვე აღვნიშნავ, რომ „პორტუს" მეოთხედფინალში გასვლა მთლიანად პორტუგალიური ფეხბურთის გამარჯვებაა".

უგუნებობა არც სანტოსის გერმანელ კოლეგას, იურგენ რიობერს ეტყობოდა. მერე რა, რომ „ჰერტამ" ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა. ბუნდესლიგაში 1997 წელს აღზევებული გუნდი ჩემპიონთა ლიგაში რომ მოხვდება, მეორე ეტაპზე გავა და გზადაგზა „ჩელსისა" და „მილანს" დაამარცხებს, მეტი რა მოეთხოვება. რიობერმა კი თქვა: „გვსურდა, ლიგაში ასპარეზობა „პორტუსთან" გამარჯვებით დაგვესრულებინა, მაგრამ ვერ შევძელით. არა უშავს. მთავარია, უზარმაზარი გამოცდილება შევიძინეთ. გაისად კვლავაც ვეცდებით ლიგაში დაბრუნებას. ვფიქრობ, ეს ძალგვიძს".



REUTERS პრაღიდან

სპარტა — ბარსელონა 1:2. ბარსელონელი დანი პრაღელების იაროMir ბლაჟეკსა (№96) და რენე ბოლფს შორის

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 4:2 | 5:0 | 3:1 | 17:5 | 16 |
| 2 | პორტუ | 0:2 | | 2:2 | 1:0 | 8:8 | 10 |
| 3 | სპარტა | 1:2 | 0:2 | | 1:0 | 5:12 | 5 |
| 4 | ჰერტა | 1:1 | 0:1 | 1:1 | | 3:8 | 2 |

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. B ჯგუფი

### ვალენსია 0:0 მანჩესტერი

ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, ჯუკიჩი, პელეგრინო, კარბონი, კილი გონსალესი, ანგულო, ფარინოსი, ხერარდი, ხუან სანჩესი (ილიე 70), კლაუდიო ლოპესი
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, სტამი, ბერგი, ირვინი, სქოულზი, კინი, ბათი, ფორჩუნი, შერინგემი, სოლსკიაერი (კრუიფი 67)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: სოლსკიაერი
მსაჯი: რ. მიხელი (სლოვაკეთი).
48 000 მაყურებელი

ნეტავ, რა მოხდებოდა, მობილური ტელეფონი და კომუნიკაციის სხვა უსწრაფესი საშუალებები რომ არ გამოეგონათ. თუმც მობილურზე საუბარი მაშინ გავაგრძელოთ, როდესაც შეხვედრის 87-ე წუთს მივადგებით. იქამდე კი აი, რა მოხდა:

„ფიორენტინას" უნდა მოეგო. წინააღმდეგ შემთხვევაში წლევანდელ ევროტურნირებზე იტალიელები კიდევ ერთ (მერამდენე) მარცხს იწვნევდნენ. თანაც ვალენსიური მატჩიც სასურველი შედეგით უნდა დასრულებულიყო.

თამაში დაიწყო, მაგრამ ვაი ასეთ დაწყებას. უკვე მე-5 წუთზე ვილტორდმა სტუმრები დააწინაურა. დაღონდნენ ფლორენციელები, თუმცა მატჩის გადასარჩენად დრო საკმარისი იყო. მათ თავი არ დაუზოგავთ, გოლი კი არ ჩანდა და ტაიმიც ასე დასრულდა.

შესვენების შემდეგ მასპინძლებს იმედი მიეცათ — ბორდოელთა საჯარიმოში შეჭრილი გაბრიელ ბატისტუტა ერვე ალიკარტემ წააქცია და მსაჯისგან წითელი ბარათიც მიიღო, ხოლო რამეს კარში პენალტი დაინიშნა. დარტყმის პატივი ბატისტუტამ ენრიკო კიეზას მიანდო და მანაც თავი არ შეირცხვინა.

ახლა დაწინაურებაზეც შეიძლებოდა ფიქრი. 61-ე წუთზე ასეც მოხდა. გოლის ავტორი კი ბატისტუტა გახდა. ფრთაშესხმულმა ფლორენციელებმა სამიოდე წუთში უპირატესობა კიდევ ურფო განიმტკიცეს, როდესაც რუი კოშტამ მესამე შეაგდო.

„ფიორენტინამ" თავისი გასაკეთებელი საქმე მოითავა. ახლა „მანჩესტერის" ჯერი იყო — იტალიელებს უნდა შეშველებოდნენ. აი, სად გაიხსენეს კომუნიკაციის უსწრაფესი საშუალებები. ფლორენციაში კიდევ რამდენიმე წუთი იყო სათამაშო, როდესაც „არტემიო ფრანიზე" ცნობა მოვიდა: „ვალენსია" — „ბარსელონა" 0:0. ყურები ჩამოყარეს იტალელებმა. ახლა მოგებას და წაგებას ერთი ფასი ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ საკუთარ კარში ორი ისეთი ბურთი გაუშვეს, სხვა დროს მეტოქეს არ გაატანინებდნენ.

რაღა დარჩენოდა მცხოვან ჯოვანი ტრაპატონის, „მანჩესტერს" მეგობრობა დაუწუნა. შემდეგ შეშინებულმა, თანამდებობა არ დამატოვებინონო, განაცხადა, „ფიორენტინა" გაისად უეფას თასზე უნდა მოვახვედრო და მხარდაჭერა მჭირდებაო.

### ფიორენტინა 3:3 ბორდო

0:1 ვილტორდი (5), 1:1 კიეზა (46პ), 2:1 ბატისტუტა (61), 3:1 რუი კოშტა (64), 3:2 ძანოტი (87), 3:3 ბატლე (90)
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, პიერინი, ფირიკანო, ტორიჩელი, ბრეშანი (ამორუზო 38), დი ლივიო, კოისი (ოკონი 73), რუი კოშტა, კიეზა, ბატისტუტა (ბალბო 80)
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
ბორდო: რამე, ზიანი (სანუ 59), რუვიერი (კოლუჩი 73), ბონისელი, ალიკარტე, ბატლე, დიაბატე, პავონი, მიკუ (ძანოტი 80), ლასლანდი, ვილტორდი
მწვრთნელი: ელი ბოპი
გაძევება: ალიკარტე (46)
გაფრთხილება: რეპკა, ბონისელი, პიერინი
მსაჯი: დ. შოხი (შვეიცარია)
25 000 მაყურებელი

ნეტავ, რა მოხდებოდა, მობილური ტელეფონი და კომუნიკაციის სხვა უსწრაფესი საშუალებები რომ არ გამოეგონათ. თუმც მობილურზე საუბარი მაშინ გავაგრძელოთ, როდესაც შეხვედრის 87-ე წუთს მივადგებით. იქამდე კი აი, რა მოხდა:

„ფიორენტინას" უნდა მოეგო. წინააღმდეგ შემთხვევაში წლევანდელ ევროტურნირებზე იტალიელები კიდევ ერთ (მერამდენე) მარცხს იწვნევდნენ. თანაც ვალენსიური მატჩიც სასურველი შედეგით უნდა დასრულებულიყო.

თამაში დაიწყო, მაგრამ ვაი ასეთ დაწყებას. უკვე მე-5 წუთზე ვილტორდმა სტუმრები დააწინაურა. დაღონდნენ ფლორენციელები, თუმცა მატჩის გადასარჩენად დრო საკმარისი იყო. მათ თავი არ დაუზოგავთ, გოლი კი არ ჩანდა და ტაიმიც ასე დასრულდა.

შესვენების შემდეგ მასპინძლებს იმედი მიეცათ — ბორდოელთა საჯარიმოში შეჭრილი გაბრიელ ბატისტუტა ერვე ალიკარტემ წააქცია და მსაჯისგან წითელი ბარათიც მიიღო, ხოლო რამეს კარში პენალტი დაინიშნა. დარტყმის პატივი ბატისტუტამ ენრიკო კიეზას მიანდო და მანაც თავი არ შეირცხვინა.

ახლა დაწინაურებაზეც შეიძლებოდა ფიქრი. 61-ე წუთზე ასეც მოხდა. გოლის ავტორი კი ბატისტუტა გახდა. ფრთაშესხმულმა ფლორენციელებმა სამიოდე წუთში უპირატესობა კიდევ ურფო განიმტკიცეს, როდესაც რუი კოშტამ მესამე შეაგდო.

„ფიორენტინამ" თავისი გასაკეთებელი საქმე მოითავა. ახლა „მანჩესტერის" ჯერი იყო — იტალიელებს უნდა შეშველებოდნენ. აი, სად გაიხსენეს კომუნიკაციის უსწრაფესი საშუალებები. ფლორენციაში კიდევ რამდენიმე წუთი იყო სათამაშო, როდესაც „არტემიო ფრანიზე" ცნობა მოვიდა: „ვალენსია" — „ბარსელონა" 0:0. ყურები ჩამოყარეს იტალელებმა. ახლა მოგებას და წაგებას ერთი ფასი ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ საკუთარ კარში ორი ისეთი ბურთი გაუშვეს, სხვა დროს მეტოქეს არ გაატანინებდნენ.

რაღა დარჩენოდა მცხოვან ჯოვანი ტრაპატონის, „მანჩესტერს" მეგობრობა დაუწუნა. შემდეგ შეშინებულმა, თანამდებობა არ დამატოვებინონო, განაცხადა, „ფიორენტინა" გაისად უეფას თასზე უნდა მოვახვედრო და მხარდაჭერა მჭირდებაო.



REUTERS ვალენსიიდან

ვალენსია — მანჩესტერი 0:0. მანჩესტერელ გარი ნევილს და ვალენსიელი კილი გონსალესი (№18) გადაეღობა

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 3:0 | 3:1 | 2:0 | 10:4 | 13 |
| 2 | ვალენსია | 0:0 | | 2:0 | 3:0 | 9:5 | 10 |
| 3 | ფიორენტინა | 2:0 | 1:0 | | 3:3 | 7:8 | 8 |
| 4 | ბორდო | 1:2 | 1:4 | 0:0 | | 5:14 | 2 |




ჯოდი მორისი

# მან არ იცის რატომ უკრავს საყვირზე

*ჯოდი მორისი „ჩელსის“ ინგლისელი ფეხბურთელია, რომელიც ამ ბოლო დროს გოლების გატანაშიც გამეცადინდა. დღეს მორისი უცხოელებით სავსე ლონდონური კლუბის ცხოვრების სასეირო მომენტებზე მოგვითხრობს*

**— ჯოდი, გავრცელებულია აზრი, რომ „ჩელსის“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებში მონაწილეობა ძალიან სიამოვნებს, რასაც, თითქოს, პრემიერლიგის მატჩებზე ვერ ვიტყვით...**

— ჩვენს გუნდში ბევრი კონტინენტელი ფეხბურთელია და რომელ შეჯიბრებაში სიამოვნებთ თამაში მათ უნდა კითხოთ, მე არ ვიცი. იქნებ იმიტომ უყვართ ლიგაში თამაში, რომ ამ შეჯიბრებაზე მეტი იწერება და ტელევიზიაც საგანგებო ყურადღებას უთმობს. მგონი ფაქტია, რომ მიმდინარე სეზონში, პრემიერლიგაში, ბევრი ქულა ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებში გადაღლის გამო დავკარგეთ. პირადად მე ყველა შეხვედრას, რომელშიც მათამაშებენ, ერთნაირად ვუდგები. სულერთია ლიგის თასზე „ჰადერსფილდს“ ვხვდებით თუ „სან სიროზე“ მილანს.

**— ლიგისა თუ ეროვნული პირველობის შეხვედრებს შორის არის რაიმე განსხვავება?**

— ერთი შეხედვით პრემიერლიგაში თამაში უფრო მეტ ფიზიკურ დატვირთვას ითხოვს, მაგრამ, ამასწინათ, მარსელში მეტოქემ უფრო მონდომებით იბრძოლა და დაგვამარცხა. ასე რომ, შედეგის მისაღწევად ერთგანაც და მეორეგანაც დიდი ოფლისღვრაა საჭირო.

**— თქვენს კარიერაზე ვინ ახდენს ყველაზე დიდ გავლენას?**

— რამდენიმე პიროვნებას მიუძღვის ჩემს ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი, მაგრამ მაინც გრემ რიქსს გამოვყოფდი. რაც „ჩელსიში“ ვარ რიქსი დიდებულად მუშაობს და მეპყრობა. გარდა ამისა საგანგებოდ დავასახელებდი ჯანლუკა ვიალისა და ჩემს ოჯახს. და მაინც, გრემს მინდა დავუბრუნდე. 13 წლისა რომ გახლდით, ის „ჩელსის“ ყმაწვილთა გუნდის მწვრთნელი იყო. მთელი წელიწადი მასთან ვმუშაობდი და აზროვნება ჩამომიყალიბა. იცით, მის საფეხბურთო ერუდიციას საზღვარი არ აქვს და ყოველდღიური მუშაობით ბევრს გასწავლის. ვარჯიშების შემდეგ გრემი მტოვებდა და ტაქტიკაზე მესაუბრებოდა, მიყალიბებდა დამოკიდებას ცხოვრებისადმი.

**— ყველაზე ცუდი რჩევა რა მოგისმენიათ?**

— ალბათ იღბლიანი კაცი ვარ, რომ ცუდი რჩევა ერთხელაც არ მომისმენია.

**— ვინ არის თქვენი ბავშვობისდროინდელი კერპი?**

— პოლ გესქოინი. ბავშვობისას გაზაზე ვგიჟდებოდი. ის „ტოტენჰემში“ იყო, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. აი, ვის მინდოდა დავმსგავსებოდი. დღემდე მიყვარს ეს ფეხბურთელი. ხალხმა რაც უნდა თქვას, მე კი ვთვლი, რომ ის ახლაც დიდი ფეხბურთელია. 1990-ში უდავოდ მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე გახლდათ. ბურთს რაც სურდა იმას აკეთებინებდა. მის გარდა კი ძალიან მომწონდა გლენ ჰოდლი, თუმცა მის სრულყოფილად შეფასებისთვის მაინც პატარა ვიყავი. მერე, როდესაც „ჩელსის“ მწვრთნელი გახდა, მივხვდი რა ფეხბურთელიც იქნებოდა.

**— ყოველთვის „ჩელსის“ ფანი იყავით?**

— დიახ. რვა წლისა „ჩელსის“ ბავშვთა გუნდში მივედი კიდეც. ჩემთვის სხვა გუნდი არასდროს არსებობდა.

**— ვიალი გარედან მშვიდ კაცად ჩანს. სინამდვილეში, კულისებში როგორია?**

— ტელეკამერასთან ის ყოველთვის ძალიან კარგია და ხალხსაც უყვარს, თუმცა ვარჯიშებზე ხშირად კარგავს წონასწორობას და ხალხს თავზე მეხს აყრის. მოკლედ, მშვიდი ყოველთვის ვერ არის, მაგრამ განა არსებობს მშვიდი მწვრთნელი? სტუმრად 3:0 რომც მოვიგოთ ვიალი აუცილებლად უკმაყოფილოა, რადგან იცის, რისი გაკეთება შეიძლებოდა უკეთ.

**— ხალხი თქვენზე ამბობს საძაგელ უცხოელებში ჩავარდნილი ინგლისელია, რომელიც შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად წვალობსო. ხომ არ მოგბეზრდათ ასეთი საუბრების მოსმენა?**

— მგონი ხალხს ესმის, რატომაც ცვლის „ჩელსი“ შემადგენლობას მატჩიდან მატჩამდე. მე და 10 მილიონ გირვანქად ნაყიდმა კრის სატონმა, მაგალითად, ერთი და იგივე რაოდენობის თამაშები ჩავატარეთ. იგივე შეიძლება ითქვას სხვებზეც. ცხადია, არის ოთხი-ხუთი მოთამაშე, რომელიც ხშირად გადის მოედანზე, მაგალითად დენის უაიზი, მაგრამ სხვას არაფერი აქვს გარანტირებული.

**— ხანდახან არ გაქვთ მომენტები, როდესაც ხვდებით, რომ თქვენს გარშემო უამრავი ვარსკვლავია?**

— ბოლოს ასეთი გრძნობა მაშინ დამეუფლა, როდესაც „ჩელსიმ“ ჟორჟ ვეა იყიდა. მახსოვს სკოლის მოსწავლე რომ ვიყავი და საკუთარ სიმბოლურ ნაკრებს ვადგენდი, ვეა აუცილებლად შემყავდა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მას მერე ასეთ რამეებზე აღარ მიფიქრია. თავიდან ვინმე მარსელ დესაის ნაირი რომ მოვიდოდა პატივისცემით ვიმსჭვალებოდი და მიხაროდა მის გვერდზე თამაში, ახლა კი ასეთი გრძნობა ფაქტობრივად აღარ მეუფლება.

**— „ჩელსის“ უცხოელთაგან რომელს აქვს ყველაზე კარგი და ყველაზე ცუდი ინგლისური აქცენტი?**

— ერთ-ერთი უარესთაგანი უეჭველად ჯანფრანკო ძოლაა. თათბირების დროს აზრის გამოთქმას აუტანლად დიდხანს უნდება. საუკეთესო კი ჟორჟ ვეა გახლავთ. იგი ჩვეულებრივად ლაპარაკობს ინგლისურად (მთარგმნელის შენიშვნა: ჟორჟ ვეასთვის ინგლისური მშობლიური ენაა). რობერტო დი მატეომ აშკარად უკეთ ისწავლა, რაც, ალბათ, ინგლისელი გელფრენდის დამსახურებაა.

**— უცხოელებს ინგლისურ ტრადიციათაგან ყველაზე მეტად რა აოცებთ?**

— დი მატეოს ყველაზე მეტად ის უყვირდა კვირას სადილზე ვინმე რად არ მპატიჟებსო. ლონდონში წელიწადნახევარი ცხოვრების შემდეგ ინგლისელ გელფრენდთან ატარებდა შუადღეებს, მერე კი მოდიოდა და კითხულობდა ისევ არავის დავუპატიჟებივარო?

**— „ჩელსის“ თავმჯდომარემ, კენ ბეიტსმა საკუთარი პროგრამა რომ შეადგინა, თქვენ გაგკიცხათ, როგორც ბურგერების ყველაზე მეტად მჭამელი. არ გაგიკვირდათ?**

— არ მწყენია. თუმცა ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ეს ამბავი ჟურნალისტებმა შეიტყვეს და ფრიად მაკრიტიკეს. მეორე დღეს ბეიტსმა დამირეკა და მითხრა საყვედური მხოლოდ იმიტომ გაკადრე, კარგად რომ თამაშობ და არ მინდა რამემ ხელი შეგიშალოსო.

**— კლუბში ყველაზე ხუმარა ვინ არის?**

— ალბათ, კრის სატონი. მე მასთან ჩინებული ურთიერთობა მაქვს, თუმცა თავიდან ბევრი ვერ უგებს. ალბათ, ჰგონიათ, რომ მათთან ურთიერთობას არ კადრულობს, სინამდვილეში კი ძალიან მორცხვია. შემდეგ, კარგად რომ გაიცნობენ ხვდებიან, რომ ის 24 საათის განმავლობაში ხუმრობაზე ფიქრობს. თან მასაც ყველაზე ხშირად აშაყირებენ. სატონი ჩაცმაშიც სხვებზე გემოვნებიანია, თუმცა ამ წელიწადს მის ბევრ კოსტუმზე ვიცინეთ.

**— იდეალური დასვენების დღეზე რას იტყვით?**

— ასეთი არ გვაქვს. ისე, მე მალე მბეზრდება უქმად ყოფნა და ამიტომ სულ მინდა დაკავებული ვიყო. ყველაფერს კი, ალბათ, გოლფის თამაში სჯობია.

**— თქვენი კარიერის ყველაზე ცუდი მომენტი რომელი იყო?**

— გულიტის მწვრთნელობისას ძირითადის ფეხბურთელი გავხდი და სწორედ მაშინ დამიჭირეს საჭესთან მთვრალი. ამის გამო ერთი კვირა ყმაწვილთა გუნდში დამაბრუნეს, რის შემდეგ ტრავმაც მივიღე. ფეხბურთელისთვის ტრავმა ყველაფერზე ცუდია.

**— ყოველთვის გოლი რომ გაგაქვთ, ხელები პირთან მიგაქვთ და თითქოს საყვირს უკრავთ...**

— ერთი ძმაკაცი მყავს, დი-ჯეია და ჩვევა აქვს ასეთი. სწორედ მან მთხოვა გოლს რომ გაიტან საყვირზე დაუკარიო. რას ნიშნავს არ ვიცი.

**365-დან თარგმნა**
**ბაბუნა ძედიამ**

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

ჟურნალ „პარადის ფუტბოლის“ ინტერვიუერმა, ყველა დროის საუკეთესო წამყვანმა, „ოქროს არგუმენტის“ პრემიის მუდმივმა ლაურეატმა, მიშელ დე გაბრიემ ვრცლად ისაუბრა ცნობილ ქართველ აწგარდაცვლილ ტაქტიკოსთან, ენგელბერტ პონტელავასთან. ქვემოთ საბედისწერო საუბრის შემოკლებულ ვარიანტს გთავაზობთ:

**— მუსიე პონტელავა, მიუხედავად ერთობ დელიკატური მდგომარეობისა, ალბათ, თვალ-ყურს ადევნებთ მსოფლიოში მიმდინარე საფეხბურთო შეჯიბრებებსა და იმ ტენდენციებს, რომელიც თქვენი ტრანზიტის შემდეგ გამოიკვეთა...**

— ნეტ-ნეტ, ვახერხებ, რა.

**— მაშ, თუ ასეა, რას იტყოდით ჩემპიონთა ლიგის დღევანდელ ფორმატზე? დღეს ხომ ჩემპიონთა ლიგაში ჩემპიონთა გარდა არაჩემპიონებიც თამაშობენ, ხოლო გასულ სეზონში სულაც არაჩემპიონთა ფინალი მივიღეთ, რამაც ჩემპიონების გულისწყრომა გამოიწვია. ჩემპიონთა ჩემპიონატის იდეა ხომ ჩემპიონთა ლიგის გაფართოებამ ფაქტობრივად იმსხვერპლა.**

— ვა...

**— სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩემპიონთა ჩემპიონატში არაჩემპიონთა შერევა ჩემპიონატის ჩემპიონურობას არღვევს.**

— კაროჩე, მე „ბარსელონა“ მევასება და რატო იცი? პადსებიები იციან. ბურთთან როგორ არიან, იცი? შეჭამენ და როცა უნდათ გადმოაფურთხებენ. „მანჩესტერი“ კიდე ნავესის გუნდია. გამოუვა ნავესი და ეგ არი, რა. ნახე, „ბავარიამ“ „რეალს“ რამდენი გოლი შეულიგა?

**— კი მაგრამ, არსი?**

— ახლა, ამასწინათ ჰოდლს ველაპარაკე, ღამე დავესიზმრე რა და ვუთხარი, რომ „საუთჰემპტონში“ არ უნდა წასულიყო იმიტომ, რომ ეგ სხვა ბიჭია, სხვა სიყვარულია, გაგება აქვს სხვანაირი, ფუტბოლი შიგნიდან იცის, ბურთი გაუგორებია, პადსებია გაუკეთებია, ამბავში ყოფილა და რამე. მე მაგისთვის „არსენალი“ მინდოდა.

**— „არსენალი“ ლიგის გათამაშებას რომ გამოეთიშა?**

— იცი რატო? იმიტომ, რომ ეგ ვენგერი პიდაგოგია, ტრენერი არ არი.

**— მე კი არსზე გეკითხებით. მუსიე, ფორმატზე მსურს გაგესაუბროთ.**

— ფორმა „იუვენტუსის“ მევასება, ჩორნაბელი, დაჟე თეთრი უხდება.

**— მუსიე პონტლავა, ვინძლო სიტყვა ფორმატის მნიშვნელობა არ იცოდეთ. სხვაგვარად გეტყვით, უნდა თამაშობდნენ თუ არა ჩემპიონთა ლიგაში ეროვნულ ჩემპიონატებში მეორე, მესამე და მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები, ანუ ლიგა ჩემპიონატია თუ ჩემპიონთა თასის გათამაშება?**

— ჩემი დედა...

**— მუსიე, თქვენი დედა აქ არაფერ შუაშია. იგი დიდი ხნის უნახავი გყავდათ და ამასწინათ შეგახვედრეთ. მე შეჯიბრების არქიტექტონიკასა და პრინციპთა გამაზე გესაუბრებით.**

— გამაზე?

**— დიახ.**

— არ გამაზო, ტო, ათიდან რვა თამაში გაკეთებულია. ახლა ნახე, უეფას თასზე ხო გამოყარეს იტალიელები, ზნაჩიტ ლიგაში უნდა გაქაჩონ, რა.

**— როგორ გეკადრებათ.**

— არა, ბიჭო, ნაღდს გეუბნები. შენ რა გგონია, ფირმაში საქმე არ კეთდება?

**— მუსიე, რომელ ფირმაში, რომელ კომერსანტზე გაქვთ ეჭვი?**

— ე, ბიჭო, შენ მე ჩამშვები ხო არ გგონივარ.

**— ო, კეთილი! ყველაფერი ნათელია. მაშ წამოდექით და მისმინეთ: თქვენთან გასაუბრებამ თვალნათლივ გვაჩვენა, რომ აქ, ამ გარემოში საცხოვრებლად მზად არ ხართ. ამიტომაც გსჯით და გაბრუნებთ იქ, საიდანაც მობრძანებულხართ. თბილისში!**

**ბაბუნა ძედია**

**ავტორს უნდა დენი...**
**ავტორს უნდა თანამედროვე მუსიკალური ცენტრი...**
**ავტორს უნდა ახალი ტელევიზორი...**
**ავტორს უნდა იყოს მხოლოდ ავტორი**



ვა, „ბარსელონა“?

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

„კროკოს" მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე
(კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში)
$11^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე მუშაობს

### ინგლისი. პირველი დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 36 | 24 | 6 | 6 | 66:33 | 78 | 13 | 2 | 3 | 29:12 | 11 | 4 | 3 | 37:21 |
| სიტი | 37 | 19 | 9 | 9 | 58:35 | 66 | 12 | 2 | 4 | 37:16 | 7 | 7 | 5 | 21:19 |
| იფსვიჩი | 37 | 18 | 11 | 8 | 56:37 | 65 | 12 | 3 | 4 | 32:17 | 6 | 8 | 4 | 24:20 |
| ბარნსლი | 37 | 19 | 8 | 10 | 70:55 | 65 | 13 | 3 | 3 | 41:19 | 6 | 5 | 7 | 29:36 |
| ბირმინგემი | 37 | 18 | 9 | 10 | 58:40 | 63 | 13 | 4 | 2 | 34:15 | 5 | 5 | 8 | 24:25 |
| ჰადერსფილდი | 38 | 18 | 9 | 11 | 56:40 | 63 | 13 | 4 | 2 | 40:16 | 5 | 5 | 9 | 16:24 |
| ვულვზი | 38 | 17 | 10 | 11 | 53:41 | 61 | 12 | 4 | 3 | 36:17 | 5 | 6 | 8 | 17:24 |
| ბოლტონი | 38 | 15 | 12 | 11 | 50:38 | 57 | 10 | 5 | 4 | 34:21 | 5 | 7 | 7 | 16:17 |
| ფულემი | 38 | 14 | 14 | 10 | 39:34 | 56 | 10 | 6 | 3 | 24:12 | 4 | 8 | 7 | 15:22 |
| ქუინზ პარკი | 37 | 13 | 15 | 9 | 49:42 | 54 | 7 | 10 | 1 | 23:15 | 6 | 5 | 8 | 26:27 |
| ბლექბერნი | 37 | 12 | 14 | 11 | 43:41 | 50 | 8 | 7 | 3 | 24:14 | 4 | 7 | 8 | 19:27 |
| შეფილდ იუნ. | 38 | 13 | 11 | 14 | 54:55 | 50 | 10 | 5 | 4 | 34:19 | 3 | 6 | 10 | 20:36 |
| ნორვიჩი | 37 | 12 | 12 | 13 | 37:39 | 48 | 9 | 4 | 5 | 22:18 | 3 | 8 | 8 | 15:21 |
| სტოკპორტი | 38 | 11 | 13 | 14 | 40:52 | 46 | 7 | 8 | 4 | 27:24 | 4 | 5 | 10 | 13:28 |
| გრიმსბი | 37 | 13 | 7 | 17 | 38:55 | 46 | 10 | 5 | 4 | 25:22 | 3 | 2 | 13 | 13:33 |
| ტრანმერი | 35 | 12 | 8 | 15 | 45:52 | 44 | 9 | 5 | 3 | 29:19 | 3 | 3 | 12 | 16:33 |
| კრ. პალასი | 37 | 10 | 13 | 14 | 47:55 | 43 | 6 | 10 | 3 | 28:19 | 4 | 3 | 11 | 19:36 |
| პორტსმუთი | 37 | 11 | 9 | 17 | 43:52 | 42 | 7 | 5 | 6 | 26:18 | 4 | 4 | 11 | 17:34 |
| ნოტინგემი | 38 | 10 | 11 | 17 | 42:50 | 41 | 8 | 8 | 3 | 26:16 | 2 | 3 | 14 | 16:34 |
| ქრიუ | 38 | 11 | 8 | 19 | 40:51 | 41 | 7 | 5 | 7 | 21:22 | 4 | 3 | 12 | 16:28 |
| ვესტ ბრომი | 38 | 8 | 15 | 15 | 30:48 | 39 | 5 | 9 | 6 | 18:21 | 3 | 6 | 9 | 12:27 |
| უოლსოლი | 38 | 9 | 11 | 18 | 42:61 | 38 | 5 | 5 | 9 | 20:27 | 4 | 6 | 9 | 22:34 |
| პორტვეილი | 36 | 6 | 12 | 18 | 39:53 | 30 | 5 | 4 | 9 | 20:23 | 1 | 8 | 9 | 19:30 |
| სუინდონი | 37 | 5 | 11 | 21 | 27:61 | 26 | 3 | 6 | 10 | 18:32 | 2 | 5 | 11 | 9:29 |

### ინგლისი. მეორე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პრესტონი | 37 | 22 | 9 | 6 | 64:33 | 75 | 12 | 3 | 4 | 32:21 | 10 | 6 | 2 | 32:12 |
| როვერსი | 36 | 22 | 8 | 6 | 60:28 | 74 | 12 | 5 | 1 | 27:11 | 10 | 3 | 5 | 33:17 |
| უიგანი | 36 | 18 | 15 | 3 | 60:29 | 69 | 12 | 3 | 3 | 32:12 | 6 | 12 | 0 | 28:17 |
| მილუოლი | 38 | 19 | 11 | 8 | 58:39 | 68 | 11 | 6 | 2 | 32:16 | 8 | 5 | 6 | 26:23 |
| ბარნეტი | 37 | 18 | 12 | 7 | 50:33 | 66 | 13 | 2 | 3 | 32:14 | 5 | 10 | 4 | 18:19 |
| ჯილინგემი | 35 | 19 | 8 | 8 | 60:38 | 65 | 11 | 3 | 4 | 35:19 | 8 | 5 | 4 | 25:19 |
| ნოტსი | 38 | 18 | 9 | 11 | 55:41 | 63 | 9 | 4 | 6 | 28:21 | 9 | 5 | 5 | 27:20 |
| სტოკი | 36 | 16 | 11 | 9 | 50:35 | 59 | 8 | 7 | 3 | 27:17 | 8 | 4 | 6 | 23:18 |
| ბრენტფორდი | 38 | 13 | 11 | 14 | 43:48 | 50 | 8 | 5 | 6 | 24:23 | 5 | 6 | 8 | 19:25 |
| ბორნმუთი | 38 | 14 | 6 | 18 | 49:54 | 48 | 9 | 4 | 6 | 29:16 | 5 | 2 | 12 | 20:38 |
| ბრისტოლი | 37 | 10 | 17 | 10 | 42:44 | 47 | 5 | 12 | 1 | 22:12 | 5 | 5 | 9 | 20:32 |
| ლუთონი | 38 | 13 | 8 | 17 | 49:55 | 47 | 9 | 5 | 5 | 35:29 | 4 | 3 | 12 | 14:26 |
| უიკომბი | 37 | 11 | 13 | 13 | 44:44 | 46 | 8 | 4 | 6 | 25:21 | 3 | 9 | 7 | 19:23 |
| ოლდემი | 36 | 12 | 10 | 14 | 40:43 | 46 | 6 | 4 | 7 | 21:21 | 6 | 6 | 7 | 19:22 |
| რექსჰემი | 37 | 11 | 11 | 15 | 41:54 | 44 | 5 | 6 | 7 | 17:22 | 6 | 5 | 8 | 25:32 |
| კოლჩესტერი | 38 | 12 | 8 | 18 | 48:68 | 44 | 8 | 3 | 8 | 27:33 | 5 | 5 | 9 | 21:35 |
| რედინგი | 36 | 10 | 12 | 14 | 43:56 | 42 | 7 | 8 | 3 | 21:14 | 3 | 4 | 11 | 24:42 |
| ბერი | 35 | 9 | 14 | 12 | 46:47 | 41 | 6 | 8 | 5 | 30:29 | 3 | 6 | 7 | 16:18 |
| ოქსფორდი | 38 | 10 | 7 | 21 | 36:63 | 37 | 4 | 4 | 11 | 19:35 | 6 | 3 | 10 | 17:28 |
| სკანთორპი | 37 | 8 | 12 | 17 | 34:57 | 36 | 4 | 6 | 9 | 13:26 | 4 | 6 | 8 | 21:31 |
| კემბრიჯი | 37 | 8 | 11 | 18 | 50:56 | 35 | 5 | 5 | 8 | 29:30 | 3 | 6 | 10 | 21:26 |
| კარდიფი | 37 | 6 | 16 | 15 | 38:52 | 34 | 4 | 10 | 5 | 21:26 | 2 | 6 | 10 | 17:26 |
| ბლექპული | 38 | 7 | 13 | 18 | 41:64 | 34 | 3 | 8 | 8 | 22:32 | 4 | 5 | 10 | 19:32 |
| ჩესტერფილდი | 36 | 5 | 12 | 19 | 24:47 | 27 | 4 | 7 | 7 | 13:15 | 1 | 5 | 12 | 11:32 |

### ინგლისი. მესამე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| როტერჰემი | 38 | 22 | 7 | 9 | 63:29 | 73 | 12 | 2 | 5 | 39:15 | 10 | 5 | 4 | 24:14 |
| სუონსი | 37 | 21 | 9 | 7 | 43:24 | 72 | 13 | 4 | 2 | 27:10 | 8 | 5 | 5 | 16:14 |
| დარლინგტონი | 37 | 19 | 10 | 8 | 57:29 | 67 | 12 | 6 | 0 | 36:9 | 7 | 4 | 8 | 21:20 |
| პიტერბრო | 37 | 18 | 8 | 11 | 51:45 | 62 | 12 | 3 | 4 | 31:23 | 6 | 5 | 7 | 20:22 |
| ნორთჰემპტონი | 37 | 18 | 7 | 12 | 48:38 | 61 | 13 | 2 | 4 | 29:14 | 5 | 5 | 8 | 19:24 |
| ბარნეტი | 38 | 17 | 9 | 12 | 48:46 | 60 | 11 | 4 | 4 | 32:20 | 6 | 5 | 8 | 16:26 |
| ჰარტლპული | 38 | 18 | 8 | 12 | 50:40 | 59 | 13 | 1 | 5 | 26:14 | 4 | 7 | 8 | 23:27 |
| ტორკი | 37 | 15 | 11 | 11 | 48:39 | 56 | 10 | 6 | 3 | 27:12 | 5 | 5 | 8 | 21:27 |
| ჩელტენემი | 37 | 16 | 8 | 13 | 41:34 | 56 | 11 | 3 | 5 | 25:16 | 5 | 5 | 8 | 16:18 |
| პლიმუთი | 38 | 13 | 16 | 9 | 44:39 | 55 | 10 | 9 | 0 | 34:15 | 3 | 7 | 9 | 10:24 |
| მენსფილდი | 37 | 16 | 6 | 15 | 48:49 | 54 | 9 | 4 | 5 | 31:21 | 7 | 2 | 10 | 17:28 |
| ბრაიტონი | 37 | 14 | 11 | 13 | 58:43 | 53 | 9 | 4 | 6 | 35:23 | 5 | 7 | 7 | 23:20 |
| ლინკოლნი | 38 | 13 | 12 | 13 | 62:58 | 51 | 10 | 4 | 5 | 35:20 | 3 | 8 | 8 | 27:38 |
| როჩდეილი | 35 | 14 | 9 | 12 | 39:38 | 51 | 6 | 5 | 6 | 13:16 | 8 | 4 | 6 | 26:22 |
| მაკლსფილდი | 38 | 14 | 9 | 15 | 52:52 | 51 | 7 | 6 | 6 | 26:24 | 7 | 3 | 9 | 26:28 |
| საუთენდი | 38 | 13 | 9 | 16 | 48:53 | 48 | 9 | 4 | 6 | 33:28 | 4 | 5 | 10 | 15:25 |
| ჰალი | 38 | 11 | 14 | 13 | 34:35 | 47 | 6 | 8 | 5 | 23:16 | 5 | 6 | 8 | 11:19 |
| ჰალიფაქსი | 38 | 13 | 8 | 17 | 35:45 | 47 | 6 | 5 | 8 | 19:19 | 7 | 3 | 9 | 16:26 |
| ლეიტონი | 38 | 12 | 8 | 18 | 39:46 | 44 | 6 | 5 | 8 | 18:20 | 6 | 3 | 10 | 23:26 |
| იორკი | 38 | 9 | 12 | 17 | 34:50 | 39 | 5 | 8 | 6 | 17:20 | 4 | 4 | 11 | 17:30 |
| ექსეტერი | 38 | 10 | 9 | 19 | 39:60 | 39 | 7 | 5 | 7 | 22:26 | 3 | 4 | 12 | 17:34 |
| შრიუსბერი | 37 | 7 | 11 | 19 | 26:48 | 32 | 4 | 6 | 9 | 14:18 | 3 | 5 | 10 | 12:30 |
| კარლაისლი | 35 | 7 | 9 | 19 | 35:61 | 30 | 5 | 5 | 6 | 19:19 | 2 | 4 | 13 | 16:42 |
| ჩესტერი | 38 | 6 | 8 | 24 | 33:74 | 26 | 3 | 5 | 11 | 13:34 | 3 | 3 | 13 | 20:40 |

### საბერძნეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 24 | 22 | 0 | 2 | 67:14 | 66 | 12 | 0 | 0 | 42:6 | 10 | 0 | 2 | 25:8 |
| პანათინაიკოსი | 24 | 20 | 3 | 1 | 62:16 | 63 | 11 | 1 | 0 | 36:4 | 9 | 2 | 1 | 26:12 |
| ოფი | 24 | 14 | 7 | 3 | 41:28 | 49 | 8 | 3 | 2 | 26:19 | 6 | 4 | 1 | 15:9 |
| აეკ | 24 | 12 | 4 | 8 | 43:31 | 40 | 8 | 0 | 4 | 23:11 | 4 | 4 | 4 | 20:20 |
| არისი | 24 | 11 | 6 | 7 | 36:28 | 39 | 7 | 4 | 1 | 25:11 | 4 | 2 | 6 | 11:17 |
| ირაკლისი | 24 | 11 | 3 | 10 | 41:41 | 36 | 9 | 0 | 3 | 27:15 | 2 | 3 | 7 | 14:26 |
| პაოკ | 24 | 9 | 8 | 7 | 40:30 | 35 | 7 | 2 | 3 | 27:13 | 2 | 6 | 4 | 13:17 |
| ქსანტი | 24 | 9 | 8 | 7 | 26:28 | 35 | 8 | 4 | 1 | 19:8 | 1 | 4 | 6 | 7:20 |
| პანიონიოსი | 24 | 11 | 1 | 12 | 37:43 | 34 | 6 | 1 | 4 | 20:14 | 5 | 0 | 8 | 17:29 |
| იონიკოსი | 24 | 7 | 10 | 7 | 30:31 | 31 | 5 | 5 | 2 | 18:9 | 2 | 5 | 5 | 12:22 |
| პანილიაკოსი | 24 | 8 | 4 | 12 | 29:33 | 28 | 6 | 1 | 5 | 19:16 | 2 | 3 | 7 | 10:17 |
| ეთნიკოსი | 24 | 8 | 3 | 13 | 22:35 | 27 | 7 | 1 | 4 | 18:12 | 1 | 2 | 9 | 4:23 |
| კალამატა | 24 | 6 | 7 | 11 | 24:42 | 25 | 3 | 7 | 2 | 11:10 | 3 | 0 | 9 | 13:32 |
| პანაჰაიკი | 24 | 5 | 8 | 11 | 24:34 | 23 | 5 | 2 | 6 | 17:14 | 0 | 6 | 5 | 7:20 |
| კავალა | 24 | 6 | 5 | 13 | 24:43 | 23 | 5 | 3 | 3 | 16:17 | 1 | 2 | 10 | 8:26 |
| ტრიკალა | 24 | 4 | 5 | 15 | 23:50 | 17 | 2 | 4 | 5 | 11:16 | 2 | 1 | 10 | 12:34 |
| პრუდეფტიკი | 24 | 3 | 7 | 14 | 17:37 | 16 | 2 | 6 | 5 | 10:17 | 1 | 1 | 9 | 7:20 |
| აპოლონი | 24 | 3 | 5 | 16 | 16:38 | 14 | 2 | 3 | 6 | 8:17 | 1 | 2 | 10 | 8:21 |

### იტალია. სერია B

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 27 | 14 | 6 | 7 | 47:28 | 48 | 10 | 2 | 1 | 30:10 | 4 | 4 | 6 | 17:18 |
| ბრეშა | 27 | 12 | 10 | 5 | 35:22 | 46 | 7 | 4 | 3 | 20:8 | 5 | 6 | 2 | 14:13 |
| სამპდორია | 27 | 12 | 10 | 5 | 29:20 | 46 | 6 | 6 | 1 | 15:8 | 6 | 4 | 4 | 14:12 |
| ატალანტა | 27 | 12 | 7 | 8 | 35:26 | 43 | 9 | 2 | 2 | 24:12 | 3 | 5 | 6 | 11:14 |
| ნაპოლი | 27 | 11 | 9 | 7 | 37:32 | 42 | 7 | 5 | 1 | 22:12 | 4 | 4 | 6 | 15:20 |
| ტრევიზო | 27 | 11 | 6 | 10 | 38:34 | 39 | 10 | 2 | 1 | 29:12 | 1 | 4 | 9 | 9:22 |
| სალერნიტანა | 27 | 10 | 9 | 8 | 38:36 | 39 | 9 | 4 | 0 | 26:9 | 1 | 5 | 8 | 12:27 |
| ჯენოა | 27 | 10 | 6 | 11 | 33:30 | 36 | 8 | 4 | 2 | 25:12 | 2 | 2 | 9 | 8:18 |
| რავენა | 27 | 9 | 9 | 9 | 27:25 | 36 | 7 | 4 | 2 | 15:5 | 2 | 5 | 7 | 12:20 |
| კოზენცა | 27 | 8 | 12 | 7 | 23:23 | 36 | 7 | 4 | 3 | 14:9 | 1 | 8 | 4 | 9:14 |
| პესკარა | 27 | 7 | 14 | 6 | 40:31 | 35 | 5 | 4 | 4 | 24:16 | 2 | 10 | 2 | 16:15 |
| კიევო | 27 | 9 | 8 | 10 | 31:33 | 35 | 6 | 6 | 2 | 18:12 | 3 | 2 | 8 | 13:21 |
| ალძანო | 27 | 9 | 8 | 10 | 26:33 | 35 | 8 | 2 | 4 | 18:17 | 1 | 6 | 6 | 8:16 |
| ჩეზენა | 27 | 7 | 13 | 7 | 34:32 | 34 | 6 | 8 | 0 | 22:10 | 1 | 5 | 7 | 12:22 |
| ტერნანა | 27 | 6 | 13 | 8 | 28:35 | 31 | 3 | 8 | 2 | 16:16 | 3 | 5 | 6 | 12:19 |
| ემპოლი | 27 | 8 | 7 | 12 | 24:41 | 31 | 8 | 3 | 2 | 16:13 | 0 | 4 | 10 | 8:28 |
| მონცა | 27 | 4 | 16 | 7 | 25:30 | 28 | 3 | 11 | 0 | 12:9 | 1 | 5 | 7 | 13:21 |
| პისტოიეზე | 27 | 8 | 8 | 11 | 23:28 | 28 | 7 | 4 | 3 | 14:9 | 1 | 4 | 8 | 9:19 |
| სავოია | 27 | 5 | 8 | 14 | 23:40 | 23 | 5 | 6 | 3 | 16:13 | 0 | 2 | 11 | 7:27 |
| ფერმანა | 27 | 4 | 9 | 14 | 25:42 | 21 | 4 | 5 | 5 | 14:17 | 0 | 4 | 9 | 10:24 |

### იტალია. სერია C1/a

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 27 | 14 | 9 | 4 | 34:15 | 51 | 10 | 2 | 2 | 23:7 | 4 | 7 | 2 | 11:8 |
| ვარეზე | 27 | 10 | 12 | 5 | 32:23 | 42 | 7 | 5 | 2 | 20:11 | 3 | 7 | 3 | 12:12 |
| ლუკეზე | 27 | 10 | 11 | 6 | 31:26 | 41 | 8 | 4 | 2 | 18:10 | 2 | 7 | 4 | 13:116 |
| ალბინოლეფე | 27 | 10 | 11 | 6 | 28:23 | 41 | 7 | 4 | 2 | 19:10 | 3 | 7 | 4 | 9:13 |
| პიზა | 27 | 10 | 10 | 7 | 26:21 | 40 | 5 | 4 | 4 | 15:14 | 5 | 6 | 3 | 11:7 |
| ლივორნო | 27 | 8 | 13 | 6 | 31:27 | 37 | 5 | 6 | 3 | 18:13 | 3 | 7 | 3 | 13:14 |
| სპალ | 27 | 9 | 9 | 9 | 26:25 | 36 | 5 | 5 | 3 | 11:7 | 4 | 4 | 6 | 15:18 |
| ჩიტადელა | 27 | 8 | 12 | 7 | 23:22 | 35 | 6 | 5 | 3 | 14:9 | 2 | 7 | 4 | 9:13 |
| კარარეზე | 27 | 8 | 11 | 8 | 25:26 | 35 | 4 | 8 | 1 | 15:10 | 4 | 3 | 7 | 10:16 |
| ბრეშელო | 26 | 8 | 10 | 8 | 24:26 | 34 | 5 | 6 | 3 | 14:12 | 3 | 4 | 5 | 10:14 |
| კომო | 27 | 6 | 15 | 6 | 18:19 | 33 | 2 | 10 | 2 | 6:9 | 4 | 5 | 4 | 12:10 |
| მოდენა | 27 | 7 | 12 | 8 | 20:25 | 33 | 3 | 8 | 3 | 9:11 | 4 | 4 | 5 | 11:14 |
| რეჯანა | 27 | 8 | 8 | 11 | 26:28 | 32 | 6 | 3 | 4 | 15:13 | 2 | 5 | 7 | 11:15 |
| კრემონეზე | 26 | 4 | 15 | 7 | 22:26 | 27 | 2 | 9 | 2 | 13:13 | 2 | 6 | 5 | 9:13 |
| ლუმეცანე | 27 | 5 | 12 | 10 | 21:28 | 27 | 3 | 5 | 5 | 11:12 | 2 | 7 | 5 | 10:16 |
| ლეკო | 27 | 5 | 12 | 10 | 21:30 | 27 | 2 | 8 | 3 | 8:9 | 3 | 4 | 7 | 13:21 |
| მონტევარკი | 27 | 5 | 11 | 11 | 20:28 | 26 | 4 | 5 | 4 | 11:12 | 1 | 6 | 7 | 9:16 |
| სანდონა | 27 | 3 | 15 | 9 | 20:30 | 24 | 2 | 7 | 4 | 12:14 | 1 | 8 | 5 | 8:16 |

### იტალია. სერია C1/b

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კროტონე | 27 | 16 | 9 | 2 | 50:18 | 57 | 10 | 3 | 0 | 30:6 | 7 | 5 | 2 | 20:11 |
| ანკონა | 26 | 15 | 7 | 4 | 39:17 | 52 | 9 | 4 | 0 | 26:9 | 6 | 3 | 4 | 13:8 |
| ასკოლი | 27 | 10 | 14 | 3 | 40:21 | 44 | 4 | 7 | 2 | 22:11 | 6 | 7 | 1 | 18:10 |
| პალერმო | 27 | 11 | 10 | 6 | 24:19 | 43 | 7 | 5 | 2 | 16:7 | 4 | 5 | 4 | 8:12 |
| კატანია | 27 | 10 | 12 | 5 | 31:20 | 42 | 7 | 5 | 1 | 18:7 | 3 | 6 | 5 | 12:13 |
| არეცო | 27 | 11 | 9 | 7 | 39:32 | 42 | 7 | 5 | 1 | 25:14 | 5 | 3 | 6 | 14:17 |
| ვიტერბეზე | 26 | 11 | 9 | 6 | 36:30 | 42 | 6 | 7 | 1 | 22:12 | 5 | 2 | 5 | 14:18 |
| სტაბია | 27 | 9 | 12 | 6 | 34:26 | 39 | 7 | 4 | 3 | 22:12 | 2 | 8 | 3 | 12:14 |
| ნოჩერინა | 27 | 7 | 14 | 6 | 22:18 | 35 | 6 | 7 | 1 | 15:6 | 1 | 7 | 5 | 7:12 |
| აველინო | 27 | 8 | 7 | 12 | 24:29 | 31 | 7 | 2 | 4 | 17:10 | 1 | 4 | 9 | 6:19 |
| ჯულიანოვა | 27 | 8 | 7 | 12 | 28:39 | 31 | 6 | 3 | 4 | 15:11 | 2 | 4 | 8 | 13:28 |
| ბენევენტო | 27 | 6 | 12 | 9 | 20:28 | 30 | 5 | 5 | 3 | 13:10 | 1 | 7 | 6 | 7:18 |
| დი სანგრო | 27 | 7 | 9 | 11 | 23:32 | 30 | 5 | 3 | 6 | 14:16 | 2 | 6 | 5 | 9:16 |
| გუალდო | 27 | 6 | 11 | 10 | 25:33 | 29 | 5 | 7 | 2 | 15:11 | 1 | 4 | 8 | 10:22 |
| ლოდიჯანი | 27 | 6 | 11 | 10 | 29:39 | 29 | 5 | 4 | 4 | 16:15 | 1 | 7 | 6 | 13:24 |
| ატლეტიკო | 27 | 4 | 9 | 14 | 20:36 | 21 | 3 | 5 | 6 | 12:18 | 1 | 4 | 8 | 8:18 |
| ფ. ანდრია | 27 | 3 | 11 | 13 | 18:33 | 20 | 2 | 8 | 4 | 9:12 | 1 | 3 | 9 | 9:21 |
| მარსალა | 27 | 5 | 5 | 17 | 19:51 | 20 | 2 | 3 | 8 | 8:17 | 3 | 2 | 9 | 11:34 |

### გერმანია. მეორე ბუნდესლიგა

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 23 | 14 | 6 | 3 | 47:19 | 48 | 9 | 3 | 0 | 35:8 | 5 | 3 | 3 | 12:11 |
| ბოხუმი | 23 | 12 | 4 | 7 | 38:32 | 40 | 8 | 0 | 4 | 26:18 | 4 | 4 | 3 | 12:14 |
| კოტბუსი | 23 | 12 | 2 | 9 | 43:28 | 38 | 9 | 0 | 2 | 27:10 | 3 | 2 | 7 | 16:18 |
| გლადბახი | 23 | 9 | 8 | 6 | 35:27 | 35 | 7 | 2 | 3 | 23:11 | 2 | 6 | 3 | 12:16 |
| ალემანია | 23 | 9 | 8 | 6 | 34:37 | 35 | 5 | 4 | 2 | 19:12 | 4 | 4 | 4 | 15:25 |
| ბერლინი | 23 | 8 | 10 | 5 | 30:26 | 34 | 6 | 4 | 2 | 17:11 | 2 | 6 | 3 | 13:15 |
| ნიურნბერგი | 22 | 9 | 6 | 7 | 33:36 | 33 | 8 | 3 | 0 | 23:11 | 1 | 3 | 7 | 10:25 |
| ვალდჰოფი | 23 | 7 | 10 | 6 | 32:31 | 31 | 6 | 4 | 1 | 21:13 | 1 | 6 | 5 | 11:18 |
| მაინცი | 23 | 7 | 9 | 7 | 29:27 | 30 | 5 | 5 | 1 | 14:5 | 2 | 4 | 6 | 15:22 |
| ობერჰაუზენი | 23 | 7 | 9 | 7 | 23:23 | 30 | 5 | 5 | 2 | 17:13 | 2 | 4 | 5 | 6:10 |
| ფიურტი | 23 | 6 | 11 | 6 | 23:25 | 29 | 2 | 9 | 1 | 7:5 | 4 | 2 | 5 | 16:20 |
| ჰანოვერი | 23 | 7 | 7 | 9 | 33:33 | 28 | 4 | 4 | 3 | 19:16 | 3 | 3 | 6 | 14:17 |
| ქემნიცი | 22 | 7 | 7 | 8 | 29:31 | 28 | 5 | 4 | 1 | 21:11 | 2 | 3 | 7 | 8:20 |
| ზტ. პაული | 23 | 5 | 10 | 8 | 24:30 | 25 | 3 | 7 | 2 | 12:11 | 2 | 3 | 6 | 12:19 |
| ოფენბახი | 23 | 5 | 9 | 9 | 23:34 | 24 | 5 | 3 | 4 | 16:16 | 0 | 6 | 5 | 7:18 |
| ფორტუნა | 23 | 4 | 9 | 10 | 21:34 | 21 | 4 | 5 | 2 | 13:12 | 0 | 4 | 8 | 8:22 |
| კიკერსი | 23 | 5 | 6 | 12 | 32:46 | 21 | 5 | 3 | 4 | 20:21 | 0 | 3 | 8 | 12:25 |
| კარლსრუე | 23 | 3 | 9 | 11 | 26:36 | 18 | 2 | 5 | 4 | 10:11 | 1 | 4 | 7 | 16:25 |

### ჩეხეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 21 | 17 | 4 | 0 | 38:10 | 55 | 10 | 1 | 0 | 25:5 | 7 | 3 | 0 | 13:5 |
| სპარტა | 21 | 15 | 4 | 2 | 55:19 | 49 | 8 | 2 | 0 | 32:6 | 7 | 2 | 2 | 23:13 |
| დრნოვიცე | 21 | 11 | 4 | 6 | 28:19 | 37 | 7 | 1 | 2 | 14:3 | 4 | 3 | 4 | 14:16 |
| ბოჰემიანსი | 21 | 8 | 8 | 5 | 20:17 | 32 | 6 | 2 | 3 | 12:6 | 2 | 6 | 2 | 8:11 |
| ბლშანი | 21 | 8 | 4 | 9 | 22:33 | 28 | 7 | 1 | 3 | 13:11 | 1 | 3 | 6 | 9:22 |
| ტეპლიცე | 21 | 7 | 6 | 8 | 29:31 | 27 | 6 | 3 | 1 | 18:9 | 1 | 3 | 7 | 11:22 |
| ბუდეიოვიცე | 21 | 8 | 3 | 10 | 26:32 | 27 | 7 | 1 | 3 | 18:9 | 1 | 2 | 7 | 8:23 |
| ბრნო | 21 | 7 | 5 | 9 | 23:24 | 26 | 6 | 3 | 2 | 18:10 | 1 | 2 | 7 | 5:14 |
| ბანიკი | 21 | 6 | 7 | 8 | 30:32 | 25 | 4 | 5 | 2 | 21:16 | 2 | 2 | 6 | 9:16 |
| ლიბერეცი | 21 | 5 | 9 | 7 | 13:16 | 24 | 3 | 5 | 3 | 5:5 | 2 | 4 | 4 | 8:11 |
| დუკლა | 21 | 6 | 6 | 9 | 22:30 | 24 | 5 | 3 | 2 | 16:11 | 1 | 3 | 7 | 6:19 |
| სიგმა | 21 | 4 | 11 | 6 | 24:28 | 23 | 2 | 6 | 2 | 14:12 | 2 | 5 | 4 | 10:16 |
| ოპავა | 21 | 5 | 7 | 9 | 26:28 | 22 | 5 | 4 | 1 | 18:9 | 0 | 3 | 8 | 8:19 |
| ვიკტორია | 21 | 5 | 7 | 9 | 28:36 | 22 | 5 | 4 | 1 | 21:15 | 0 | 3 | 8 | 7:21 |
| ჰ. კრალოვე | 21 | 3 | 8 | 10 | 17:28 | 17 | 2 | 5 | 4 | 9:12 | 1 | 3 | 6 | 8:16 |
| იაბლონეცი | 21 | 4 | 5 | 12 | 15:33 | 17 | 4 | 3 | 3 | 13:10 | 0 | 2 | 9 | 2:23 |

### ესპანეთი. მეორე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 31 | 14 | 8 | 9 | 43:33 | 50 | 8 | 3 | 4 | 23:12 | 6 | 5 | 5 | 20:21 |
| ლას პალმასი | 31 | 13 | 10 | 8 | 42:31 | 49 | 6 | 6 | 3 | 21:13 | 7 | 4 | 5 | 21:18 |
| ლევანტე | 31 | 12 | 12 | 7 | 43:38 | 48 | 9 | 6 | 1 | 27:11 | 3 | 6 | 6 | 16:27 |
| ესტრემადურა | 31 | 13 | 9 | 9 | 36:32 | 48 | 11 | 5 | 0 | 27:7 | 2 | 4 | 9 | 9:25 |
| ტენერიფე | 31 | 13 | 8 | 10 | 41:35 | 47 | 9 | 5 | 2 | 29:14 | 4 | 3 | 8 | 12:21 |
| ლეიდა | 31 | 13 | 7 | 11 | 49:39 | 46 | 8 | 4 | 3 | 27:13 | 5 | 3 | 8 | 22:26 |
| კორდობა | 31 | 12 | 10 | 9 | 38:32 | 46 | 9 | 1 | 5 | 23:18 | 3 | 9 | 4 | 15:14 |
| ოსასუნა | 31 | 14 | 4 | 13 | 31:28 | 46 | 8 | 2 | 5 | 18:10 | 6 | 2 | 8 | 13:18 |
| ვილიარეალი | 31 | 12 | 9 | 10 | 41:34 | 45 | 8 | 4 | 4 | 22:16 | 4 | 5 | 6 | 19:18 |
| სპორტინგი | 31 | 13 | 6 | 12 | 40:37 | 45 | 8 | 3 | 5 | 23:16 | 5 | 3 | 7 | 17:21 |
| ლეგანესი | 31 | 12 | 9 | 10 | 35:36 | 42 | 7 | 5 | 3 | 17:8 | 5 | 4 | 7 | 18:28 |
| მერიდა | 31 | 10 | 11 | 10 | 31:31 | 41 | 5 | 6 | 4 | 17:13 | 5 | 5 | 6 | 14:18 |
| ბადახოსი | 31 | 8 | 17 | 6 | 26:26 | 41 | 4 | 8 | 4 | 15:17 | 4 | 9 | 2 | 11:9 |
| ეიბარი | 31 | 10 | 11 | 10 | 37:40 | 41 | 7 | 5 | 4 | 21:16 | 3 | 6 | 6 | 16:24 |
| ალბასეტე | 31 | 10 | 11 | 10 | 36:41 | 41 | 5 | 6 | 4 | 17:16 | 5 | 5 | 6 | 19:25 |
| ხეტაფე | 31 | 11 | 6 | 14 | 31:36 | 39 | 7 | 3 | 6 | 19:17 | 4 | 3 | 8 | 12:19 |
| ელჩე | 31 | 8 | 13 | 10 | 34:40 | 37 | 5 | 8 | 3 | 20:20 | 3 | 5 | 7 | 14:20 |
| ატლეტიკო B | 31 | 10 | 7 | 14 | 34:42 | 37 | 5 | 3 | 7 | 21:22 | 5 | 4 | 7 | 13:20 |
| ლოგრონიესი | 31 | 9 | 8 | 14 | 42:45 | 35 | 6 | 5 | 4 | 25:21 | 3 | 3 | 10 | 17:24 |
| კომპოსტელა | 31 | 8 | 11 | 12 | 36:42 | 35 | 5 | 5 | 5 | 19:16 | 3 | 6 | 7 | 17:26 |
| უელვა | 31 | 8 | 8 | 15 | 31:42 | 32 | 4 | 5 | 7 | 20:22 | 4 | 3 | 8 | 11:20 |
| ტოლედო | 31 | 7 | 7 | 17 | 24:41 | 28 | 6 | 3 | 7 | 16:16 | 1 | 4 | 10 | 8:25 |

### საფრანგეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 28 | 18 | 4 | 6 | 56:25 | 58 | 11 | 3 | 0 | 28:7 | 7 | 1 | 6 | 28:18 |
| ლიონი | 28 | 13 | 6 | 9 | 35:35 | 45 | 8 | 4 | 2 | 20:10 | 5 | 2 | 7 | 15:25 |
| პსჟ | 28 | 12 | 8 | 8 | 40:34 | 44 | 8 | 4 | 2 | 21:15 | 4 | 4 | 6 | 19:19 |
| სედანი | 28 | 12 | 7 | 9 | 38:36 | 43 | 8 | 4 | 2 | 20:12 | 4 | 3 | 7 | 18:24 |
| ოსერი | 28 | 12 | 6 | 10 | 30:30 | 42 | 10 | 1 | 3 | 22:13 | 2 | 5 | 7 | 8:17 |
| ბორდო | 28 | 11 | 8 | 9 | 42:35 | 41 | 9 | 3 | 2 | 26:12 | 2 | 5 | 7 | 16:23 |
| ბასტია | 28 | 10 | 10 | 8 | 35:30 | 40 | 10 | 4 | 0 | 26:3 | 0 | 6 | 8 | 9:27 |
| სენტ ეტიენი | 28 | 11 | 6 | 11 | 39:42 | 39 | 6 | 4 | 4 | 23:19 | 5 | 2 | 7 | 16:23 |
| ლანსი | 28 | 10 | 7 | 11 | 31:30 | 37 | 6 | 3 | 5 | 20:16 | 4 | 4 | 6 | 11:14 |
| რენი | 28 | 10 | 7 | 11 | 36:36 | 37 | 8 | 3 | 3 | 26:15 | 2 | 4 | 8 | 10:21 |
| მეცი | 28 | 7 | 15 | 6 | 32:27 | 36 | 5 | 7 | 2 | 19:12 | 2 | 8 | 4 | 13:15 |
| სტრასბური | 28 | 10 | 6 | 12 | 34:44 | 36 | 8 | 3 | 3 | 24:17 | 2 | 3 | 9 | 10:27 |
| ნანტი | 28 | 10 | 5 | 13 | 35:35 | 35 | 8 | 1 | 6 | 26:17 | 2 | 4 | 7 | 9:18 |
| მარსელი | 28 | 8 | 11 | 9 | 34:34 | 35 | 5 | 6 | 4 | 22:15 | 3 | 5 | 5 | 12:19 |
| ნანსი | 28 | 9 | 7 | 12 | 32:35 | 34 | 6 | 4 | 4 | 19:14 | 3 | 3 | 8 | 13:21 |
| ლე ავრი | 28 | 9 | 7 | 12 | 27:39 | 34 | 7 | 4 | 3 | 18:12 | 2 | 3 | 9 | 9:27 |
| ტრუა | 28 | 10 | 2 | 16 | 27:45 | 32 | 6 | 1 | 6 | 17:17 | 4 | 1 | 10 | 10:28 |
| მონპელიე | 28 | 5 | 8 | 15 | 30:41 | 23 | 3 | 6 | 4 | 16:14 | 2 | 2 | 11 | 14:27 |

### ბელგია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 27 | 19 | 7 | 1 | 71:25 | 64 | 10 | 3 | 1 | 40:15 | 9 | 4 | 0 | 31:10 |
| სტანდარდი | 27 | 17 | 2 | 8 | 61:39 | 53 | 10 | 1 | 2 | 30:11 | 7 | 1 | 6 | 31:28 |
| გენტი | 27 | 16 | 2 | 9 | 63:45 | 50 | 7 | 1 | 5 | 32:25 | 9 | 1 | 4 | 31:20 |
| ბრიუგე | 27 | 15 | 4 | 8 | 56:27 | 49 | 10 | 0 | 4 | 38:12 | 5 | 4 | 4 | 18:15 |
| ლიერსი | 27 | 14 | 5 | 8 | 56:34 | 47 | 11 | 1 | 1 | 37:8 | 3 | 4 | 7 | 19:26 |
| მუსკრონი | 27 | 14 | 5 | 8 | 57:39 | 47 | 9 | 2 | 2 | 31:14 | 5 | 3 | 6 | 26:25 |
| ბეერსხოტი | 27 | 12 | 7 | 8 | 43:37 | 43 | 9 | 3 | 1 | 29:14 | 3 | 4 | 7 | 14:23 |
| გენკი | 27 | 12 | 6 | 9 | 52:46 | 42 | 7 | 4 | 3 | 28:16 | 5 | 2 | 6 | 24:30 |
| ვესტერლო | 27 | 11 | 7 | 9 | 48:57 | 40 | 9 | 3 | 1 | 34:22 | 2 | 4 | 8 | 14:35 |
| აალსტი | 27 | 11 | 2 | 14 | 49:55 | 35 | 7 | 0 | 7 | 26:24 | 4 | 2 | 7 | 23:31 |
| ლოკერენი | 27 | 9 | 8 | 10 | 44:50 | 35 | 7 | 3 | 4 | 30:23 | 2 | 5 | 6 | 14:27 |
| მეხელენი | 27 | 10 | 5 | 12 | 40:56 | 35 | 7 | 4 | 3 | 25:22 | 3 | 1 | 9 | 15:34 |
| ჰარელბეკე | 27 | 8 | 4 | 15 | 43:55 | 28 | 6 | 3 | 5 | 30:26 | 2 | 1 | 10 | 13:29 |
| ბევერენი | 27 | 7 | 7 | 13 | 39:51 | 28 | 3 | 5 | 5 | 16:19 | 4 | 2 | 8 | 23:32 |
| სტ. ტრუიდენი | 27 | 6 | 5 | 16 | 29:56 | 23 | 5 | 4 | 5 | 16:23 | 1 | 1 | 11 | 13:33 |
| შარლერუა | 27 | 5 | 6 | 16 | 31:55 | 21 | 3 | 1 | 9 | 16:29 | 2 | 5 | 7 | 15:26 |
| გეელი | 27 | 3 | 10 | 14 | 21:48 | 19 | 2 | 6 | 6 | 13:21 | 1 | 4 | 8 | 8:27 |
| ლომელი | 27 | 3 | 10 | 14 | 27:55 | 19 | 2 | 7 | 4 | 15:20 | 1 | 3 | 10 | 12:35 |

### ჰოლანდია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 26 | 20 | 2 | 4 | 81:21 | 62 | 10 | 1 | 2 | 45:10 | 10 | 1 | 2 | 36:11 |
| ფეიენოორდი | 26 | 15 | 7 | 4 | 52:31 | 52 | 9 | 2 | 1 | 21:5 | 6 | 5 | 3 | 31:26 |
| ტვენტე | 26 | 14 | 10 | 2 | 42:21 | 52 | 10 | 3 | 0 | 28:11 | 4 | 7 | 2 | 14:10 |
| ჰერენვენი | 26 | 16 | 3 | 7 | 50:30 | 51 | 8 | 2 | 3 | 27:15 | 8 | 1 | 4 | 23:15 |
| აიაქსი | 25 | 14 | 5 | 6 | 56:35 | 47 | 8 | 1 | 4 | 31:18 | 6 | 4 | 2 | 25:17 |
| ალკმარი | 26 | 14 | 4 | 8 | 56:41 | 46 | 5 | 3 | 5 | 21:13 | 9 | 1 | 3 | 35:28 |
| ვიტესი | 26 | 12 | 8 | 6 | 48:38 | 44 | 10 | 1 | 2 | 32:19 | 2 | 7 | 4 | 16:19 |
| როდა | 26 | 12 | 5 | 9 | 45:37 | 41 | 8 | 0 | 5 | 29:19 | 4 | 5 | 4 | 16:18 |
| ტილბურგი | 26 | 11 | 5 | 10 | 42:48 | 38 | 7 | 4 | 2 | 27:22 | 4 | 1 | 8 | 15:26 |
| უტრეხტი | 26 | 11 | 3 | 12 | 43:46 | 36 | 8 | 3 | 2 | 26:16 | 3 | 0 | 10 | 17:30 |
| ვალვაიკი | 26 | 10 | 4 | 12 | 36:52 | 34 | 5 | 4 | 4 | 19:26 | 5 | 0 | 8 | 17:26 |
| სპარტა | 26 | 9 | 3 | 14 | 38:54 | 30 | 7 | 1 | 6 | 26:24 | 2 | 2 | 8 | 12:30 |
| სიტარდი | 26 | 7 | 7 | 12 | 36:41 | 28 | 4 | 5 | 4 | 23:20 | 3 | 2 | 8 | 13:21 |
| გრააფსხაპი | 26 | 6 | 8 | 12 | 32:44 | 26 | 3 | 5 | 4 | 17:18 | 3 | 3 | 8 | 15:26 |
| ნაიმეგენი | 26 | 6 | 4 | 16 | 31:49 | 22 | 6 | 0 | 8 | 16:20 | 0 | 4 | 8 | 15:29 |
| მაასტრიხტი | 26 | 4 | 6 | 16 | 32:57 | 18 | 3 | 4 | 6 | 19:26 | 1 | 2 | 10 | 13:31 |
| კამბური | 26 | 2 | 6 | 18 | 22:55 | 12 | 2 | 4 | 7 | 13:22 | 0 | 2 | 11 | 9:33 |
| დენ ბოსხი | 25 | 2 | 6 | 17 | 22:64 | 12 | 2 | 5 | 5 | 14:26 | 0 | 1 | 12 | 8:38 |

### საფრანგეთი. მეორე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 29 | 21 | 4 | 4 | 43:18 | 67 | 13 | 0 | 1 | 22:5 | 8 | 4 | 3 | 21:13 |
| გენგამი | 29 | 14 | 9 | 6 | 51:35 | 51 | 8 | 4 | 3 | 31:18 | 6 | 5 | 3 | 20:17 |
| ტულუზი | 29 | 14 | 6 | 9 | 41:24 | 48 | 8 | 2 | 5 | 25:12 | 6 | 4 | 4 | 16:12 |
| აიაჩო | 29 | 13 | 5 | 11 | 29:29 | 44 | 9 | 1 | 5 | 15:10 | 4 | 4 | 6 | 14:19 |
| ლავალი | 29 | 11 | 10 | 8 | 32:28 | 43 | 8 | 3 | 4 | 19:14 | 3 | 7 | 4 | 13:14 |
| ლე მანი | 29 | 10 | 12 | 7 | 35:32 | 42 | 6 | 8 | 0 | 20:10 | 4 | 4 | 7 | 15:22 |
| სოშო | 29 | 12 | 6 | 11 | 35:34 | 42 | 7 | 1 | 6 | 18:17 | 5 | 5 | 5 | 17:17 |
| კაენი | 29 | 9 | 13 | 7 | 35:28 | 40 | 5 | 6 | 3 | 22:15 | 4 | 7 | 4 | 13:13 |
| ლორიანი | 29 | 11 | 7 | 11 | 28:28 | 40 | 5 | 7 | 2 | 19:8 | 6 | 0 | 9 | 9:20 |
| გენიონი | 29 | 8 | 15 | 6 | 34:26 | 39 | 4 | 8 | 2 | 20:12 | 4 | 7 | 4 | 15:14 |
| ნიმი | 29 | 10 | 9 | 10 | 36:32 | 39 | 6 | 6 | 3 | 23:17 | 4 | 3 | 7 | 13:15 |
| კანი | 29 | 8 | 11 | 10 | 22:26 | 35 | 6 | 4 | 4 | 10:10 | 2 | 7 | 6 | 12:16 |
| ამიენი | 29 | 7 | 13 | 9 | 28:30 | 34 | 4 | 7 | 3 | 15:12 | 3 | 6 | 6 | 13:18 |
| შატორუ | 29 | 8 | 10 | 11 | 29:34 | 34 | 5 | 4 | 5 | 14:14 | 3 | 5 | 6 | 12:17 |
| ნიცა | 29 | 6 | 16 | 7 | 20:26 | 34 | 4 | 10 | 1 | 12:6 | 2 | 6 | 6 | 8:20 |
| კრეტეი | 29 | 8 | 9 | 12 | 26:36 | 33 | 6 | 7 | 3 | 21:19 | 2 | 3 | 9 | 8:20 |
| ნიორი | 29 | 6 | 13 | 10 | 26:34 | 31 | 6 | 5 | 3 | 16:15 | 0 | 8 | 7 | 10:19 |
| ვასკეალი | 29 | 6 | 11 | 12 | 23:34 | 29 | 4 | 6 | 5 | 14:17 | 2 | 5 | 7 | 9:17 |
| ლუანი | 29 | 5 | 8 | 16 | 22:46 | 23 | 4 | 5 | 6 | 14:16 | 1 | 3 | 10 | 8:30 |
| ვალანსი | 29 | 3 | 13 | 13 | 24:40 | 22 | 3 | 6 | 5 | 11:12 | 0 | 7 | 8 | 13:28 |

### ავსტრია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 25 | 15 | 5 | 5 | 38:21 | 50 | 9 | 2 | 1 | 21:4 | 6 | 3 | 4 | 17:17 |
| რაპიდი | 25 | 15 | 4 | 6 | 44:19 | 49 | 10 | 2 | 1 | 29:6 | 5 | 2 | 5 | 15:13 |
| შტურმი | 25 | 13 | 7 | 5 | 46:20 | 46 | 8 | 2 | 2 | 31:10 | 5 | 5 | 3 | 15:10 |
| აუსტრია | 25 | 11 | 6 | 8 | 33:29 | 39 | 7 | 1 | 4 | 21:17 | 4 | 5 | 4 | 12:12 |
| გრაცერი | 25 | 11 | 4 | 10 | 32:34 | 37 | 7 | 3 | 3 | 18:9 | 4 | 1 | 7 | 14:25 |
| რიდი | 25 | 10 | 6 | 9 | 37:27 | 36 | 7 | 2 | 4 | 25:11 | 3 | 4 | 5 | 12:16 |
| ზალცბურგი | 25 | 8 | 8 | 9 | 24:29 | 32 | 6 | 4 | 3 | 16:11 | 2 | 4 | 6 | 8:18 |
| ლინცერი | 25 | 6 | 5 | 14 | 26:38 | 23 | 4 | 3 | 5 | 16:14 | 2 | 2 | 9 | 10:24 |
| ლუსტენაუ | 25 | 4 | 6 | 15 | 17:42 | 18 | 3 | 4 | 6 | 11:15 | 1 | 2 | 9 | 6:27 |
| ბრეგენცი | 25 | 4 | 5 | 16 | 16:54 | 17 | 2 | 5 | 5 | 10:18 | 2 | 0 | 11 | 6:36 |

# კეშს ქეში შემოაკლდა


მარკ ფილიპუსისი

უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონის, პეტ კეშისა და მისი შეგირდის, მარკ ფილიპუსისის შეხმატკბილებულ ურთიერთობას, როგორც ეტყობა, ბოლო მოეღება. მიზეზი მარტივი, მაგრამ მნიშვნელოვანია — ფული.

„მე იმის 50 პროცენტზე ნაკლები შემომთავაზეს, რასაც შარშან მიხდიდნენ. შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს და ვუთხარი კიდეც მათ, რომ ეს წინადადება ჩემთვის მიუღებელი იყო“ — განუცხადა კეშმა სიდნეის „დეილი ტელიგრაფს“.

არადა, ფილიპუსისი და კეში თავიდანვე შესანიშნავად მოერგნენ ერთიმეორეს. ხისთავიან, ტაქტიკა-სტრატეგიაში სულ უმეცარ „სკადს“, უფროსმა კოლეგამ კორტზე ფიქრი, მოთმინება და თავისი პირუტყვული ძალის უკეთ გამოყენება შეასწავლა.

კეში ფილიპუსისის მწვრთნელად 1998 წლის ზაფხულში დაინიშნა და სულ მალე ჩინებულ შედეგებსაც მიაღწია — ზორბა ოზი ჯერ უიმბლდონის მეოხედფინალში გავიდა, მერე აშშ-ის ღია პირველობის ფინალში და კარიერაში პირველად საუკეთესოთა ათეულშიც შეაღწია.

იმავე კეშის დაჟინებული მოთხოვნით, „სკადი“ ავსტრალიის დევისის თასის კაპიტანს, ჯონ ნიუკომბსაც შეურიგდა, ნაკრებში დაბრუნდა და შარშან ფინალში ფრანგთა დამარცხებაში ლომის წილიც დაიდო.

„ეს ძალიან იმედგამაცრუებელია, განსაკუთრებით იმ მძიმე შრომისა და კარგი შედეგების გათვალისწინებით, რაც მარკის თამაშის გაუმჯობესებას დავახარჯეთ“ — აღნიშნა კეშმა, რომელმაც ზუსტი თანხების დასახელებისგან თავი შეიკავა — „წარმოდგენა არ მაქვს, რა მოხდა. მან ძალიან მოუმატა, შეიძლება ჩათვალეს, რომ უკვე საჭირო აღარ ვარ.“

უიმბლდონის 1987 წლის ჩემპიონის თქმით, ჰონორარის ასე მოულოდნელად შემცირების მიზეზი მისთვის არავის შეუტყობინებია: „თავადაც მსურს, გავიგო, ეს რატომ მოხდა, ჩემთვის არაფერი უთქვამთ. ახლა პასუხს ველი, თუმცა, ჯერ კიდევ ვმუშაობ მათთან.“

თავად ფილიპუსისმა მომხდარზე კომენტარის გაკეთება ახლახან დასრულებულ ინდიან უელსის ტურნირზე არ მოისურვა, თუმცა კეშთან რაიმე კონფლიქტის არსებობაც მტკიცედ იუარა.

ისე, ჩოგბურთის სამყაროში ფილიპუსისთა კლანის სიძუნწეზე ყველას კარგად მოეხსენება, თანაც ფინანსურ საკითხებში გადამწყვეტი სიტყვა „სკადს“ კი არა, მის დესპოტ მამას — ნიკს ეკუთვნის.

# რეკლამის ფასი


მარტინა ნავრატილოვა

მარტინა ნავრატილოვამ 21-წლიანი კარიერის მანძილზე 332 ერთეულებისა და წყვილების ტიტული და 18 დიდი სლემის ტურნირი მოიგო. თუმცა იმისთვის, რომ აშშ-ს ეროვნულ სატელევიზიო არხზე რეკლამაში მიეღო მონაწილეობა, ჩოგბურთელს კარგა ხანს მოუხდა ცდა.

მიზეზი ჩოგბურთის გულშემატკივართ კარგად მოეხსენებათ — ნავრატილოვა ლესბოსელია და ეს არასოდეს დაუმალავს. „ჩუმად რომ ვყოფილიყავი და ეს ამბავი არ გამეხმაურებინა, რეკლამა კარგა ხნის წინ მექნებოდა. ეს ფაქტია“ — მიაჩნია უიმბლდონის ცხრაგზის ჩემპიონს.

მაგრამ დღესდღეობით სპონსორები ჰომოსექსუალისტებს კეთროვანებივით აღარ უფრთხიან და ნავრატილოვამაც მრავალმილიონიან კონტრაქტს გამოჰკრა ხელი ავტოგიგანტ „სუბარუსთან“. ერთდროულად რამდენიმე სპორტულ არხზე და მრავალ ჟურნალ-გაზეთში გამოჩენილ რეკლამაში, მეგოლფე ჯული ინქსტერთან და მოთხილამურე დაიენ როფთან ერთად (რომელთა სექსუალურ ორიენტაციაზე არაფერს იტყობინებიან) ჩოგბურთელი მაყურებელს იმაზე მოუთხრობს, თუ რა მნიშვნელოვანია გამძლეობა და კონტროლი როგორც სპორტის, ისე მანქანებისთვის.

„ჩვენ მას აქტიური ცხოვრების სტილის ქალად მივიჩნევთ, პირადი ცხოვრება კი არავის საქმე არ არის. ჩვენი მონაცემებით, აუდიტორიამ რეკლამა თბილად მიიღო“ — განუცხადა „ნიუ იორკ ტაიმსს“ ავტოკომპანიის წარმომადგენელმა ტიმ ბენეტმა.

დაბრკოლებების გადალახვა და სხვებისგან გამორჩევა ნავრატილოვას მისი ლესბოსელობის გარშემო ატეხილი ხმაურის გარეშეც არ ესწავლება. ის ბადესთან გასვლას და დაუშვებელი ბურთით თამაშს არჩევდა, როდესაც ყველა უკანა ხაზზე რჩებოდა; ტრენაჟორებზე ვარჯიშით კუნთები დაიყენა, როდესაც კოლეგები მატჩის დროს ვარცხნილობასა და მაკიაჟს უფრო მეტ დროს უთმობდნენ.

1975-ში ჩეხოსლოვაკიაში დაბადებული ჩოგბურთელი დასავლეთში გაიქცა, 11 წლის შემდეგ კი აშშ-ის მოქალაქედ დაბრუნდა პრაღაში, ფედერაციის თასის გუნდის შემადგენლობაში, რაც ბევრმა სითამამედ კი არა, თავხედობად მიიღო. მან მოგებაში ლომის წილი დაიდო, მაგრამ ჩეხურ გაზეთებს მისი სახელი ერთხელაც არ უხსენებიათ.

კიდევ ერთ ლეგენდარულ მოთამაშე, კრის ევერტთან ხანგრძლივ პაექრობაში ნავრატილოვა 43:37 იგებდა, თუმცა მაყურებლების გულის მოგება მაინც ვერაფრით მოახერხა: „ეს ძალიან საწყენი იყო, ყველა კრისს უკრავდა ტაშს. მაყურებელთა უმეტესობას ეუხერხულებოდა ჩემი ქომაგობა, მიზეზი კი კარგად ვიცოდი.“

თუმცა ნავრატილოვა ამდენს არ იწუწუნებდა, სხვა ჰომოსექსუალისტ ჩოგბურთელთა თავს გადამხდარი ისტორიები კარგად რომ მოეხსენებოდეს. მაგალითად, ლეგენდარული ამერიკელი ბილ ტილდენი უხამსი საქციელის ბრალდებით ორჯერ დააკავეს, გერმანელი ვარსკვლავი ბარონ ფონ კრამი კი 1937 წელს სულაც დევისის თასის მატჩიდან გამოიხმეს შინ და გესტაპომ ვირის აბანოში უკრა თავი.

საოცარი კონტრასტია ამელი მორესმოს ისტორიასთან, რომელიც თავისი ლესბოსელობის საჯაროდ აღიარების შემდეგ, შინ, საფრანგეთში ლამის ეროვნულ გმირად შერაცხეს და „ნაიკთანაც“ კიდევ უფრო სარფიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

# მანქანა გაყიდა, ჩოგანი იყიდა

ორიოდ კვირის წინ, კალიფორნიაში, ჩოგბურთელთა მთავარი იარაღის ღირებულების არაოფიციალური რეკორდი დამყარდა — პიტ სამპრასის ჩოგანი 50 ათას დოლარად გაიყიდა.

ეს აღსანიშნავი მოვლენა უიმბლდონის ექვსგზის ჩემპიონის სახელობის გოლფის ტურნირზე მოხდა. „პიტ სამპრას კლასიკის“ მიზანი ტიმ გალიქსონის ტვინის სიმსივნით დაავადებულთა ფონდისთვის თანხების შეგროვება იყო და მასში უამრავმა ცნობილმა ადამიანმა — მსახიობებმა: მეტ დეიმონმა და ენდი გარსიამ, ჰოკეისტმა უეინ გრეცკიმ, მოკრივე ევანდერ ჰოლიფილმა მიიღო მონაწილეობა.

გოლფის ტურნირმა მწვანეების მოკრების ამბავში მაინცდამაინც ვერ გამოიჩინა თავი, სამაგიეროდ, იქვე გამართულ აუქციონზე „პისტოლ პიტის“ ჩოგანმა იყოჩაღა ძალიან. დაბნეულ ფონდის წევრებს თავიდან ყველაფერი ხუმრობა ეგონათ, მაგრამ მავანმა მყიდველმა ჯონ გიდონმა თავისი წინადადების სერიოზულობა დაადასტურა, მე უბრალოდ ვფიქრობ, რომ პიტი ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელიაო.

ჩოგანს, რომელიც აუქციონს ავტომობილების გამყიდველმა სტივ ჰონიგმა გადასცა, ისტორიული მნიშვნელობა აქვს: მისით სამპრასმა კარიერის პირველი დიდი სლემის ტურნირი — აშშ-ის ღია პირველობა მოიგო 1990-ში. თავად ჰონიგს კი ჩოგანი ასევე აუქციონის მეშვეობით, ოღონდ გაცილებით მოკრძალებულ თანხად ჩაუვარდა ხელში თავის დროზე.

**ავთანდილ სვანიძე**



# ერთი კვირით კატალონიაში


უნაი ეჩებერია

შარშანდელი „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებული, ამერიკელი ლენს არმსტრონგი ორშაბათიდან „კატალონიის კვირეულში“ მონაწილეობს. მის გარდა ამ ტურნირში კიდევ ბევრი ძლიერი სპორტსმენი ჩაება — ლორან ჟალაბერი, მიქაელ ბოგერდი, ერიკ ზაბელი, ალექს ცულე... არმსტრონგმა სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო, ჯერ „ვალენსიის“ ტური მიატოვა, შემდეგ კი პარიზ-ნიცაში მონაწილეობაზეც უარი თქვა. მილან-სან რემოში კი 108-ე ადგილი დაიკავა და ზაბელს 5 წუთითა და 9 წამით ჩამორჩა. არმსტრონგი ამბობდა, რომ ესპანეთში გაცილებით უკეთ გამოვიდოდა, მაგრამ მისი სიტყვები პირველივე ეტაპმა გააქარწყლა. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მრბოლმა, რომლის მთავარი მიზანი „ტურ დე ფრანსია“, არ შეიძლება სპორტული ფორმის პიკს სეზონის დასაწყისში უწიოს. მან თანდათან უნდა მოუმატოს და ზაფხულში, „ტურის“ დროს იყოს საუკეთესო ფორმაში.

„კატალონიის კვირეულის“ პირველი ეტაპი კი ვენესუელელმა უნაი ეჩებერიამ მოიგო. ლორე დელ მარის გარშემო 144 კილომეტრის გავლის შემდეგ, „ესკატელის“ წევრმა შეტევის კომპანიონებს, ესპანელებს — სანტიაგო ბლანკოსა და ხავიერ პასკუალ როდრიგესს სპრინტში აჯობა. ამ სამეულმა პელოტონი რამდენიმე სხვა მრბოლთან ერთად (ლორან ჟალაბერი, მიქაელ ბოგერდი, აქსელ მერქსი, ჯუზეპე დი გრანდე...) პირველი კატეგორიის სიძნელის მთაზე — ალტ დე სანტ გრაუზე მიატოვა. მართალია, რუსი პაველ ტონკოვი ლტოლვილებს ვერ მიჰყვა, მაგრამ მათ არც ბევრით ჩამორჩენია (+30წმ). აი, შარშანდელი „ტურ დე ფრანსის“ პოდიუმმა (ლენს არმსტრონგი, ალექს ცულე, ფერნანდო ესკარტინი) და რამდენიმე სხვა ძლიერმა მრბოლმა (ხოსე-მარია ხიმენესი, ევგენი ბერზინი...) ათ წუთზე მეტი წააგეს ეჩებერიასთან.

ფინიშამდე ერთი კილომეტრი რჩებოდა, როცა დაწინაურებულებს ეჩებერია, ბლანკო და როდრიგესი გამოეყვნენ. მათი შეტევა იმდენად მოულოდნელი იყო, სხვებმა რეაგირება ვერ მოახერხეს და გამარჯვებულის ბედიც ამ სამეულმა გაარკვია.

მეორე ეტაპი, რომელიც სამშაბათს ლორე დელ მარიდან კასტელიო დემპურიესამდე (170,7 კმ) მოეწყო, იტალიელი გაბრიელე კოლომბოს გამარჯვებით დასრულდა. საერთო ჩათვლაში ლიდერობა კი ესპანელმა ხავიერ პასკუალ როდრიგესმა იგდო ხელთ. არადა, დღე ესპანელთათვის სამწუხარო ამბით დაიწყო. მსოფლიოს ჩემპიონი ოსკარ ფრეირე, რომელმაც მილან-სან რემოში მეორე ადგილი დაიკავა, მარცხენა დუნდულის ტკივილს შეუწუხებია და უარი უთქვამს ტურნირის გაგრძელებაზე. ცოტა ხანში კი ბელგიელი დეივ ბრუილანდტიც გამოაკლდა პელოტონს, ოღონდ სულ სხვა მიზეზით. მას ორგანიზმში ჰემატოკრიტის დონე 50 პროცენტზე მაღალი აღმოაჩნდა, ეს კი ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა აკრძალა.

ამ ამბების შემდეგ როგორც იქნა, დაიწყო ეტაპი და ხუთიოდ კილომეტრის გავლის შემდეგ ხუან ანტონიო ფლეჩამ, ჯუზეპე დი ფრესკომ და ალესანდრო ბარონტიმ მარტო რბოლა გადაწყვიტეს. ისინი კარგა ხანს უსწრებდნენ პელოტონს. მათმა უპირატესობამ 8 წუთსა და 18 წამს მიაღწია (96-ე კილომეტრზე), მაგრამ წინ ორი მთა იყო. მეორე კატეგორიის სიძნელე — პედრაფიტაზე დი ფრესკის წამოეწივნენ დანარჩენები. „მაპეისა“ და „ონსეს“ წევრების წინამძღოლობით პელოტონი დანარჩენ ორ ლტოლვილს პირველი კატეგორიის სიძნელის მთა — სანტ პეტრე დე როდესზე მიეწია.

ასე რომ, რბოლა ჯგუფური სპრინტით უნდა დამთავრებულიყო. აქ კი საუკეთესო კოლომბო გამოდგა, თუმცა ამის გასარკვევად ფოტოფინიში გახდა საჭირო. არმსტრონგი, სიმენესი და ესკარტინი კი ისევ ძალიან ჩამორჩნენ გამარჯვებულს.

**გაგი გურული**

### პირველი ეტაპი

ლორე დელ მარი — ლორე დელ მარი, 144 კმ

1. უნაი ეჩებერია (ვენესუელა) — 3სთ 18წთ 08 წმ
2. სანტიაგო ბლანკო (ესპანეთი)
3. ხავიერ პასკუალ როდრიგესი (ესპანეთი) — ორივეს იგივე დრო
4. ხავიერ პასკუალ ლორენტე (ესპანეთი) — +4 წმ
5. გაბრიელე კოლომბო (იტალია) — +4

### მეორე ეტაპი

ლორე დელ მარი — კასტელო დემპურიესი, 170,7 კმ

1. გაბრიელე კოლომბო — 4სთ 11წთ 20წმ
2. რუჯერო მარძოლი (იტალია)
3. ბეატ ზბერგი (შვეიცარია)
4. ჯუზეპე დი გრანდე (იტალია)
5. ხავიერ პასკუალ როდრიგესი — ყველას იგივე დრო

### საერთო ჩათვლა

1. ხავიერ პასკუალ როდრიგესი — 7სთ 29წთ 19წმ
2. სანტიაგო ბლანკო — იგივე დრო
3. გაბრიელე კოლომბო — +4წმ
4. ჯუზეპე დი გრანდე — +4
5. აქსელ მერქსი (ბელგია) — +4



გაბრიელე კოლომბომ გამარჯვება შამპანურით და ლამაზმანით გაიხალისა

EURO LEAGUE

# ევროლიგა

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. 21 მარტი

# რობინ ჰუდის აჩრდილი „აბდი იპექჩიში“

**ბარსელონა 1**
**ოლიმპია 0**

**ბარსელონა 70:67 ოლიმპია**

ბარსელონა: ალსტონი (11), დე ლა ფუენტე (2), დუენიასი (7), ელსონი, გასოლი (8), გოლდვაიერი (6), გუროვიჩი (8), ნავარო (13), რენციასი (11), როდრიგესი (4)

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (7), ბრეჟეცი (5), დუშჩაკი (2), გოლემაცი (8), იასიკევიჩუსი (14), კოტნიკი (12), მილიჩი (3), პარავინია (8), ზდოვცი (8)

საწყის წუთებში თამაშის ხარისხი დაბალი იყო. გუნდები შებოჭილები იყვნენ და ვერც რამე განსაკუთრებულს აკეთებდნენ. „ოლიმპია“ უფრო ადრე გამოერკვა — მწვრთნელმა ზმაგო საგადინმა შემადგენლობის სწრაფი ცვლა დაიწყო და მისი გუნდი ერთხანს შვიდი ქულითაც დაწინაურდა. „ოლიმპიამ“ პირველ ტაიმში ცხრა კალათბურთელი ათამაშა (ხორვატ გორდან ზადრავეცს საერთოდ არ უთამაშია) და უქულოდ არც ერთი დარჩენილა. „ბარსელონას“ დაცვა 220-სანტიმეტრიანი რობერტო დუენიასის გამოსვლის შემდეგ მოწესრიგდა. ეპიზოდურად ოლიმპიელი იურე ზდოვცი და ბარსელონელი ხუან კარლოს ნავარო თუ გაიბრწყინებდნენ. „ბარსელონამ“ მაინც მოიგო ტაიმი — გასოლის გარღვევის შემდეგ ანგარიში 33:32 გახდა. აღსანიშნავია, რომ ეს ტაიმში მასპინძელთა პირველი დაწინაურება გახლდათ.

შესვენების შემდეგ თამაში ქულა-ქულაზე გაგრძელდა. ყველა გრძნობდა, რომ კვანძი შეხვედრის მიწურულს გაიხსნებოდა და აი, ბოლო წუთიც დადგა.

დამთავრებამდე 13 წამით ადრე ბარსელონა“ სამი ქულით იგებდა. ოლიმპიელი სანი ბეჩიროვიჩი საჯარიმოს ხაზზე დადგა. პირველი სროლა ჩააგდო, მეორე — ააცილა, მაგრამ მისმა თანაგუნდელმა სლავკო კოტნიკმა მოხსნილი ბურთი კალათში ჩაუშვა. ანგარიში გათანაბრდა. „ბარსელონას“ ამერიკელმა ენტონი გოლდვაიერმა ბურთი არავის მიაწოდა, მეტოქის მოედანზე გადავიდა და რვა მეტრიდან სამქულიანი ესროლა...

მეოთხედფინალურ სერიაში „ბარსელონა“ 1:0 დაწინაურდა და საქმის მოთავრებას დღესვე შეეცდება ლიუბლიანაში.

**ეფესი 1**
**ვილერბანი 0**

**ეფესი 93:85 ვილერბანი**

ეფესი: ბეშოქი (12), დრობნიაკი (23), ფირინჯიოღლუ, ქუთლუაი (22), მულაომეროვიჩი (23), ონანი, თურქოღლუ (13)

ვილერბანი: ბილბა (10), ბლომი (2), ლარანიაგა (19), ლოვერნი (2), მაქსი (25), პლუვი (3), სილსი, სონკო (24)

იცვლებიან სტამბოლის „ეფესის“ მეტოქეები, მიგრამ არ იცვლება თავად ეფესელთა სათამაშო პრინციპი: ყველაფერს სასტარტო ხუთეული აკეთებს. ამ მატჩშიც სტამბოლელებმა სულ შვიდი კალათბურთელი ათამაშეს, ქულები კი მხოლოდ ხუთეულის წევრებმა მოიტანეს. ყველა ელოდება, რომ ამგვარი მონახაზი „ეფესს“ ადრე თუ გვიან დაღუპავს, მაგრამ ეს მოლოდინი სეზონის დაწყებიდან არსებობს, ხოლო ფაქტი სულ სხვა რამეს ამბობს: „ეფესი“ ერთპიროვნულად ლიდერობს თურქეთის ჩემპიონატს და ცალი ფეხი ევროლიგის „ოთხთა ფინალში“ გადაუდგამს.

სტამბოლის გრანდიოზული სპორტის სასახლე „აბდი იპექჩი სფორ სალონუში“ 12300 კაცი შეიკრიბა. რა იყო პირველ რიგში თვალშისაცემი? ის, რომ „ეფესმა“ 19 ნასროლი სამქულიანიდან 12 ჩააგდო (63 პროცენტი!) და არაჩვეულებრივი სიზუსტის გამო ხალხს აფიქრებინა: ესენი კალათბურთელები კი არა, რობინ ჰუდები არიანო.

იბრაჰიმ ქუთლუაიმ და დამირ მულაომეროვიჩმა ხუთ-ხუთი სამქულიანი ჩააგდეს. პირველმა ექვსი ცდიდან, მეორემ — რვიდან. თვით მძიმეწონოსანმა იუგოსლაველმა ფორვარდმა პრედრაგ დრობნიაკმა ჩააგდო ორჯერ შორიდან, თანაც, ამისთვის სულ სამი სროლა დასჭირდა.

„ვილერბანი“ ერთხანს გაოგნებული იყო, მაგრამ მერე აღმოაჩინა, რომ ეფესელთა დაცვაში საკმაოდ მოზრდილი ნაპრალებია. შეტევაზე გადართული მასპინძლები ველარ ასწრებდნენ დაცვაში დროულად დაბრუნებას, განსაკუთრებით — მაღლები. ამან ფარქვეშ ხელფეხი გაუხსნა ვილერბანელ ცენტრს მარლონ მაქსის, რომელმაც 25 ქულა გააკეთა. დამთავრებამდე სამი წუთით ადრე დრობნიაკმა კოჭი ამოიბრუნა და მატჩი მიატოვა, „ვილერბანმა“ კი ერთი ქულით წინ გასვლა მოახერხა. ფრანგთა სამწუხაროდ მათ მეტი ვერაფერი შეძლეს, რადგან ეფესელი რობინ ჰუდები ბოლო წუთებში განსაკუთრებით გადაირივნენ.

**პანათინაიკოსი 1**
**ციბონა 0**

**პანათინაიკოსი 73:62 ციბონა**

პანათინაიკოსი: ალვერტისი (1), ბოდიროგა (18), ბერკი (4), ფოცისი (4), ჯენტილე (5), კალაიძისი (6), კატაში (11), რებრაჩა (11), როჯერსი (13)

ციბონა: ალიპოჯიჩი, გირიჩეკი (12), კრსტიჩი, მარცელიჩი (3), ნიჩევიჩი (4), პრკაჩინი (8), სესარი (19), ი. ვრანკოვიჩი (12). ჟურიჩი (4)

ათენის „პანათინაიკოსმა“ საბერძნეთის ჩემპიონატის ბოლო მატჩები გაჭირვებით მოიგო, რითაც ქომაგთა წყრომა დაიმსახურა. ამ მატჩის წინ გუნდის იუგოსლაველმა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა გულშემატკივრებს მიმართა და მხარდაჭერა სთხოვა. ათენის „ოლიმპიურ სტადიონზე“ შეკრებილი მაყურებელი დიდად კმაყოფილი დარჩა, რადგან იმდაგვარი „პანათინაიკოსი“ იხილა, სეზონის დასაწყისში ზედიზედ ოცი მატჩი რომ მოიგო. ათენელთა უპირატესობა აშკარა იყო. ისინი მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობდნენ და „ციბონას“ წარმატების მცირე შანსიც კი არ მისცეს.

**მაკაბი 0**
**ფორტიტუდო 1**

**მაკაბი 62:65 ფორტიტუდო**

მაკაბი: ბრისკერი (2), კომეგისი, ჰენფელდი (6), ჰაფმანი (15), მაკდონალდი (21), შარფი, შეფერი (17), შელეფი (1)

ფორტიტუდო: ბაზილე (13), ფუჩკა (10), გალანდა, კარნიშოვასი (10), იარიჩი (13), მაიერსი (7), პილუტი, ს. ვრანკოვიჩი (12)

„ბულგარელმა მსაჯმა ტოშევმა თავიდანვე მოკლა „მაკაბი“. ბევრი სროლა ავაცილეთ, რადგან მეტოქე უხეშობდა, მსაჯი კი დუმდა. მართალია, სტოიან ვრანკოვიჩს ხუთი პერსონალური მისცეს, მაგრამ სამი-ოთხი ფორტიტუდოელისთვის ცხრა პერსონალური უნდა დაესტვინათ“ — ბრდღვნავდა მატჩის შემდეგ „მაკაბის“ მწვრთნელი პინი გერშონი.

„ერთი ჯარიმა მთელი მატჩის ბედს არ წყვეტს. „მაკაბის“ მსაჯის შეცდომების გამო არ წაუგია“ — სიტყვა ბანზე აგდო „ფორტიტუდოს“ მწვრთნელმა კარლო რეკალკატიმ.

„მაკაბის“ პრეზიდენტი შიმონ მიზრახი ნამატჩევს მსაჯების ოთახში შეიჭრა და მათ ახსნა-განმარტება მოსთხოვა. თან ვიდეოკასეტას უტრიალებდა ცხვირწინ, აგერ, თქვენი შეცდომებიო. მსაჯებმა თავიდან უსმინეს მიზრახის, მერე კი ოთახის დატოვება მოსთხოვეს.

„მაკაბი“ ბოლო წუთზე მომხდარმა ამბებმა აღაშფოთა. ფორტიტუდოელმა არტურას კარნიშოვასმა ბურთის ფლობისთვის განკუთვნილი 30 წამის შემდეგ ესროლა. მსაჯებმა ზუსტი გადაწყვეტილება ვერ მიიღეს და სადაო ააგდეს. „ფორტიტუდომ“ მოიგო სადაო, რამდენიმე წამში გარღვევაზე გასულ ფორტიტუდოელ გრეგორ ფუჩკას წინ აღუდგა მაკაბელი მარკ ბრისკერი. შეჯახების შემდეგ მსაჯებმა ბრისკერი დააჯარიმეს, „მაკაბელებმა“ კი ჩათვალეს, რომ ჯარიმა შემტევზე, ანუ ფუჩკაზე იყო. სიტუაცია იმანაც დაძაბა, რომ ანგარიში იმ დროისთვის თანაბარი იყო...

„ფორტიტუდომ“ მეტად მარტივი ტაქტიკით დაიწყო თამაში: ბურთს იქამდე ათამაშებდა, სანამ ვინმე მარტო არ დარჩებოდა. თავდაპირველად ცენტრი სტოიან ვრანკოვიჩი რჩებოდა უპატრონოდ და ხუთი ნასროლიდან ხუთივე ჩააგდო. მერე ჯანლუკა ბაზილემ აიკლო ებრაელთა კალათი სამქულიანებით. ფუჩკა ფარქვეშ ამოძრავდა და რამდენჯერმე დროულად გაიხსნა. საერთოდ, „ფორტიტუდო“ ძალიან ზუსტი იყო: 27 ნასროლი ორქულიანიდან 21 ჩააგდო (77,8 პროცენტი).

მაკაბელებს კი არაფერი გამოსდიოდათ. გურ შელეფმა და ნადავ ჰენფელდმა მატჩი ჩააგდეს. კარნიშოვასმა მთლად დაჩაგრა შელეფი, ხოლო ჰენფელდმა ფარქვეშიდან ოთხი უეჭველად ჩასაგდები ბურთი გააფუჭა. „მაკაბის“ წინამძღოლობა დორონ შეფერმა იკისრა და არიელ მაკდონალდთან ერთად საქმის გამოსწორებას შეუდგა. ოღონდ ეს შესვენების შემდეგ იყო. პირველი ტაიმი კი „ფორტიტუდომ“ 40:25 მოიგო.

შეფერმა და მაკდონალდმა მეორე ტაიმში რამდენიმე სამქულიანი ჩააგდეს, თუმცა მათი თანაგუნდელები ფარქვეშ იქამდე ვერ გაბატონდნენ, სანამ ვრანკოვიჩმა მეხუთე პერსონალური არ მიიღო. ოთხჯარიმიანმა ფუჩკამ დაცვაში აქტიურობას მოუკლო, რითაც ნეით ჰაფმანს ამოძრავების საშუალება მისცა. ანგარიში ნელ-ნელა შემცირდა და მალე გათანაბრდა კიდეც.

მერე იყო მიმოხილვის დასაწყისში აღნიშნული საკამათო ეპიზოდი... მას „ფორტიტუდოს“ შეტევა მოჰყვა, რომლის დროსაც ჩრდილში მყოფმა კარლტონ მაიერსმა ელვისებური პასით გარღვევაზე გაიყვანა ბაზილე. ფორტიტუდოელები 65:62 დაწინაურდნენ. მარკ ბრისკერმა დაუბრკოლებლივ გადაალწია „ფორტიტუდოს“ ნახევარზე, სამქულიანიც ისე ისროლა, ხელს რომ არავინ უშლიდა, მაგრამ მაინც ააცილა...

**მერაბ რატიშვილი**




REUTERS სტამბოლიდან

ეფესი — ვილერბანი 93:85. იბრაჰიმ ქუთლუაის (№10) და დამირ მულაომეროვიჩის სიხარულს ვილერბანელი ჯეი ლარანიაგა შესცქერის

---

საქართველოს ჩემპიონატი

# 22 ტური

# საუკეთესო მოთამაშე

## გულივერ ახალკაცი

**-ვითა-**



რომ არა თბილისის „ვითა“, რომელმაც პირველმა შეძლო ეროვნული ჩემპიონატის დებიუტანტისა და ერთპიროვნული ლიდერის, ბათუმის „ბასკოს“ ძლევა, ზღვისპირელები მეოთხენი იქნებოდნენ „დინამოს“, „კაქტუსისა“ და „ვითას“ შემდეგ, რომლებმაც დაუმარცხებლად ჩაამთავრეს რეგულარული ჩემპიონატი.

ბოლო წლებში „ვითა“ განსაკუთრებით უკანა ხაზის მოთამაშეებით გამოირჩეოდა, ყველაზე მეტი პრობლემა კი ცენტრში ჰქონდა. „ბასკოსთან“ შეხვედრაში პირიქით მოხდა, ჩემპიონთაგან სწორედ ცენტრმა, კონკრეტულად კი გულივერ ახალკაცმა იყოჩაღა. „გულოს“ ეროვნული ნაკრების კანდიდატების — ვალერი კილაძის, ლევან ქარაბაკისა და ვლადიმერ ბეჟანიშვილის სახით მეტად სერიოზული მოწინააღმდეგეები ჰყავდა, მაგრამ მოედანზე მაინც საუკეთესო იყო და დამსახურებლადაც გახდა ტურის საუკეთესო მოთამაშე.

**— გულივერ, რადგან პირველად ხართ „სარბიელის“ რესპოდენტი, თუ შეიძლება, მოკლედ გვიამბოთ თქვენს შესახებ.**

— დავიბადე ქალაქ გორში 1976 წლის 21 იანვარს. კალათბურთში ვარჯიში თამაზ ხაჩიურის ხელმძღვანელობით დავიწყე. შემდეგ მწვრთნიდა ალექსანდრე იაშვილი, რომელმაც 1993 წელს თბილისში გადმომიყვანა ბატონ თამაზ ოქრუაშვილთან. იმავე წელს ჩავირიცხე „მართვეში“, მას სწორედ ოქრუაშვილი ავარჯიშებდა. შემდეგ „მართვეს“ „კაქტუსი“ ეწოდა და იქ ვიყავი მანამ, სანამ გუნდი არ დაიშალა. მერე ორი წელი თბილისის „მაკაბიში“ გავატარე. „ვითაში“ კი უკვე მეორე სეზონია ვარ.

**— ეროვნული ჩემპიონატის დაწყების წინ თქვენ „გორის“ შემადგენლობაში დაგასახელეს, შემდეგ კი კვლავ „ვითაში“ აღმოჩნდით. თუ დათანხმდით, რატომღა უღალატეთ მშობლიური ქალაქის გუნდს?**

— მე არავისთვის მიღალატია, რადგან გორელებისთვის სიტყვა არ მიმიცია. მათ ჩემთან შეუთანხმებლად შემიყვანეს განაცხადში.

**— „ვითას“ და „გორის“ გარდა სხვა გუნდებს არ მიუწვევიხართ?**

— თსუ და სდასუ მეპატიჟებოდნენ.

**— რატომ დათანხმდით „ვითაში“ თამაშს, უკეთესი პირობების გამო?**

— „გორის“ გარდა სამივე გუნდმა თანაბარი პირობები შემომთავაზა, მაგრამ მე მაინც ჩემი ყოფილი კლუბი ვამჯობინე.

**— „გორსაც“ რომ მსგავსი პირობები შემოეთავაზებინა, როგორ მოიქცეოდით?**

— უყოყმანოდ ვითამაშებდი მშობლიური ქალაქის სახელით.

**— თუ „გორი“ გამოირიცხა, თბილისური გუნდებიდან თსუ ან სდასუ მაინც აგერჩიათ, იმავდროულად ისწავლიდით და დიპლომსაც აიღებდით.**

— დიპლომი უკვე მაქვს.

**— ეს როდის მოასწარით?**

— „კაქტუსში“ თამაშის დროს კვების ტექნოლოგიური დავამთავრე.

**— არავის გაუკვირდებოდა, ქართლის მკვიდრი ძიუდოს, კრივს ან ჭიდაობას რომელიმე სახეობას რომ გაჰყოლოდით. რატომ აირჩიეთ კალათბურთი, რომელიც თქვენში პოპულარობით ვერ დაიკვეხნის?**

— ეს ჩემი ფიზიკური მონაცემებისა და მწვრთნელების დამსახურებაა.

**— ფიზიკურ მონაცემებში სიმაღლეს გულისხმობთ?**

— სიმაღლესა და გამძლეობას.

**— თქვენი სიმაღლის (202 სანტიმეტრი) პატრონს არ გერჩივნათ, მძამე ან უკიდურეს შემთხვევაში, მეოთხე ნომრად გეთამაშათ? დღეს ხომ ცენტრში თქვენზე ბევრად მაღალი კალათბურთელები თამაშობენ. არ გიჭირთ?**

— ცენტრში გუნდის ინტერესების გათვალისწინებით დამაყენეს, თორემ თქვენს მიერ დასახელებულ ნომრებზეც შემიძლია ვითამაშო.

**— „კაქტუსში“ დავით ბერძენიშვილის გვერდითაც რომ ცენტრში თამაშობდით?**

— მე ყოველთვის ვცდილობ, მწვრთნელის დავალება შევასრულო.

**— თქვენი აზრით, მწვრთნელები ცენტრში რატომ გაყენებენ?**

— მართალია, ცენტრისთვის 202 სანტიმეტრი სასურველ სიმაღლედ არ ითვლება, მაგრამ ჩვენს ჩემპიონატში ჩემზე გამოცდილსა და მაღალს ბევრს ვერ შეხვდებით. არც ნახტომი მაქვს ურიგო.

**— ეს თანდაყოლილი ნიჭია თუ შემდეგ გამოიმუშავეთ?**

— სანამ თბილისში გადმოვიდოდი, ყოველდღიურად ორი საათი დავრბოდი მთებში. კარგი ნახტომი მაქვს-მეთქი, რომ ვამბობ, სწორედ მაშინდელი ვარჯიშის წყალობაა.

**— რა გრძნობა გეუფლებათ, როცა ბურთს კალათში ტენით?**

— პირადი სიამოვნება ერთია, მაგრამ ამ დროს უფრო გულშემატკივარზე ვფიქრობ, რომელსაც ასეთი მომენტები მოსწონს.

**— ბასკოსთან“ შეხვედრაზე რას გვეტყვით. თქვენი აზრით, რატომ გასახელებთ ტურის საუკეთესო მოთამაშედ?**

— მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია — ეს ჩემი საუკეთესო მატჩი იყო.

**— მოედანზე პრობლემები არ გქონიათ?**

— ასეთი რამ იშვიათად ხდება, თითქმის ყველაფერი გამომდიოდა.

**— თითქმისო, ამბობთ. ესე იგი, რაღაც ისე არ იყო, როგორც გსურდათ...**

— რამდენიმე საჯარიმო ვერ გამოვიყენე.

**— ეგ ხომ უვარჯიშებლობის ბრალია.**

— მარტო ვარჯიშზეც არ არის დამოკიდებული. ფსიქოლოგიური განწყობაა საჭირო, განსაკუთრებით ისეთ მატჩებში, როგორიც „ბასკოსთან“ შეხვედრა იყო. მე კი არა, ჩემზე გამოცდილებსაც უმტყუნეს ნერვებმა.

**— ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კალათბურთელთაგან თქვენ იმ უიშვიათესთა რიცხვს განეკუთვნებით, რომლებიც სამივე სინჯის მედალს ფლობენ და თანაც ერთმანეთის მიყოლებით (ბრინჯაო, ვერცხლი, ოქრო) რომელია თქვენთვის განსაკუთრებით ძვირფასი?**

— თითოეული მათგანი ჩემში თავისებურ გრძნობას იწვევს და ერთმანეთისგან არ ვარჩევ.

**როლანდ ლაბუჩიძე**

# ახალი რუსი ახალ ბათუმელებში

## ანდრეი ბელიაევმა ზურაბ ტომარაძეს თავი მოაწონა



ანდრეი ბელიაევი

როცა სიტყვა ქართულ კალათბურთზე, ჩვენს შინაურ ჩემპიონატსა და მის გასაჭირზე ჩამოვარდება-ხოლმე, რას აღარ გაიგებს კაცი. ყველაფრის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, ბოლოს კი მაინც ფინანსურ პრობლემებთან მივალთ. ფული — აი, რა სჭირდება დღეს ქართულ კალათბურთს.

საქმეში ჩახედულ ხალხს კარგად მოეხსენება, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატის მაღალ დონეს ლეგიონერთა სიუხვეც განაპირობებს. ჰოდა, სხვა თუ არაფერი, ამისთვისაა ფული საჭირო, რომ უცხოელები მოიზიდო, კარგად გადაუხადო, ისიც ახეირო და შენც იხეირო. არც ისაა ვინმესთვის უცხო, რომ ნორმალური მოთამაშე, რომელმაც თავის ფასი იცის, კაპიკებისთვის აქ არ ჩამოგივა. ლეგიონერი ერქვას, სხვაზე მეტს ილებდეს და ამის ფასს ვერაფერს გიკეთებდეს, არც ესაა კარგი საქმე.

ჩვენში ჯერ არავინ უწყის, როგორი კალათბურთელია სომეხი მამიკონ სარქისიანი. მხოლოდ მისი გვარ-სახელი გაიგო ხალხმა და იციან, რომ „მაკაბიში" ითამაშებს. აი, ანდრეი ბელიაევზე კი არსად არაფერი თქმულა დღემდე, მის შესახებ ერთეულებს თუ სმენიათ.

გადაწყვეტილი ამბავია, ეს ბიჭი ბათუმის „ბასკოში" ითამაშებს. ბელიაევი ორი დღის წინ ჩამოვიდა საქართველოში, გუშინწინ პირველად ივარჯიშა ზღვისპირელთა შემადგენლობაში და „ბასკოს" მთავარი მწვრთნელის ზურაბ ტომარაძის კეთილგანწყობამაც დაიმსახურა.

გუშინ ტომარაძეს რომ დავუკავშირდით, ახლა სწორედ ანდრეისთან ვსაუბრობ, გვითხრა. თუმც მცირე კომენტარზე მაინც არ დაგვზარდა:

„ბელიაევი გასინჯვაზე ჩამოვიყვანეთ, უკვე მომეცა საშუალება, რომ იგი საქმეში მეხილა. კარგი ბიჭი ჩანს, ეტყობა, რომ საუკეთესო ფორმაში არ უნდა იყოს, თუმცა, რაც მთავარია, გამართულ კალათბურთს თამაშობს. ანდრეი ინტელექტუალური მოთამაშეა, გონებაგახსნილი, ჯანიანი, მისი სიმაღლე კი ორი მეტრია. ერთი ნახვით მნელია, შეაფასო, მაგრამ არა მგონია, ალღო მღალატობდეს. ბელიაევს უნივერსალური თვისებებიც აქვს — თანაბარი სიძლიერით შეუძლია თამაში მსროლელის ამპლუაში, ფრთაზე, თავდამსხმელად. ვფიქრობ, გამთამაშებლობასაც გაართმევს თავს".

„ბასკოს" რუს ლეგიონერზე მეტი ინფორმაცია რომ მიგველო, კლუბის ვიცე-პრეზიდენტ მერაბ ემირიძეს შევეხმიანეთ. ბელიაევის თბილისში ჩამოყვანის ინიციატორი სწორედ იგი გახლდათ: „ანდრეი ოცდაოთხი წლისაა. უთამაშია მოსკოვის „სპარტაკში", შემდეგ ცსკა-ს სათადარიგო გუნდში, ბოლოს კი „ხიმკიში" გამოდიოდა, რომელიც რუსეთის სუპერლიგაში ასპარეზობს. ბელიაევთან ჩემმა მოსკოველმა ნაცნობმა დამაკავშირა, რის შემდეგაც მასთან მოლაპარაკება ვაწარმოე. თავად გახლდით რუსეთში, შევხვდი ანდრეის, ვესაუბრე და საქართველოში წამოსვლაზეც დავითანხმე.

ამ ბიჭს ბოლო დროს საერთოდ არ უვარჯიშია, ტრავმის გამო ხუთი თვე გაუცდა და ბუნებრივია, კარგ ფორმაში არ იქნება. მიუხედავად ამისა, ტომარაძე მისით კმაყოფილი დარჩა და ბელიაევის „ბასკოში" აყვანის სურვილიც გამოთქვა.

ჩათვალეთ, რომ ანდრეი გუნდშია. უკვე ჩამოსულია მისი განთავისუფლების ფურცელი, სურათს გადავუღებთ და მის სახელზე საქართველოს ჩემპიონატში სამონაწილეო ლიცენზიაც გაიცემა. ამ ეტაპზე ბელიაევთან სამთვიან კონტრაქტს გავაფორმებთ, უფრო სწორად, სეზონის დამთავრებამდე. მერე კი ვნახოთ, მთავარია, გაამართლოს ჩვენი იმედი".

**გიორგი გიქაშვილი**

**საქართველოს ჩემპიონატი**

**I წრე მესამე**

**თბილისი. ვერის ბაღი. 26-31 მარტი**

**შეხვედრათა განრიგი**

| | | |
|---|---|---|
| **26 მარტი** | | |
| ბასკო | მაკაბი | 13.00 |
| აზოტი | ვითა | 14.45 |
| სტუ | სდასუ | 16.30 |
| **27 მარტი** | | |
| მაკაბი | აზოტი | 13.00 |
| ვითა | სტუ | 14.45 |
| სდასუ | ბასკო | 16.30 |
| **28 მარტი** | | |
| სტუ | მაკაბი | 13.00 |
| სდასუ | ვითა | 14.45 |
| ბასკო | აზოტი | 16.30 |
| **30 მარტი** | | |
| მაკაბი | სდასუ | 13.00 |
| ვითა | ბასკო | 14.45 |
| აზოტი | სტუ | 16.30 |
| **31 მარტი** | | |
| ვითა | მაკაბი | 13.00 |
| ბასკო | სტუ | 14.45 |
| სდასუ | აზოტი | 16.30 |

**რეკლამა სარბიელ-ში**

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

**იყიდება**

ოროთახიანი ბინა დიღმის მასივში, გაზით, ტელეფონით, 30 კვ. მეტრი მიშენებით. 1 სართული, საგარაჟე ადგილით. სარდაფით. მისამართი: დიღმის მასივი, მე-4 კვარტალი მე-19 კორპუსი.

დაგვიკავშირდით: 8 99 51-15-19; 95-88-61; 52-68-90

რეგულარული ჩემპიონატი

# ნუ შეიცოდებ წაქცეულს!

21 მარტი

**სიეტლი 90:100 დეტროიტი**

სიეტლი: პეიტონი (22 ქულა, 12 პასი, 8 მოხსნა), ბერი (7), პატერსონი (8), ბეიკერი (18), გრანტი (8 ქულა, 10 მოხსნა); ლუისი (18), მაქსველი (7), შ. ვილიამსი (2), ფოსტერი, მაკკოი, ბორელი, სტეფანია

დეტროიტი: ჰანტერი (10), სტეკჰაუზი (21), ჰილი (33 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი), ლეიტნერი (6), მილზი (5); ჯ. ვილიამსი (12 ქულა, 14 მოხსნა), კროტი (7), კარი (4), მური (2), მონტროსი

„სიეტლ სუპერსონიქსი" შინ ხშირად აგებს, მიმდინარე სეზონში უკვე თორმეტჯერ მოასწრო საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ შერცხვენა. აი, ახლაც დაახლოებით თავისივე დონის გუნდთან დამარცხდა და ქომაგთა გულისწყრომა გამოიწვია. ვლადიმერ სტეფანიას გუნდის ფანები განსაკუთრებით იმან ალაშფოთა, რომ „ვილაც" „დეტროიტი" აშკარად სჯობდა მათ ჯილას. არა, „დეტროიტზე" აუგი არ ითქმის, პირიქით „პისტონზი" აღმავლობის გზაზეა. მას ნამდვილად წაადგა ახალი მწვრთნელი, მხცოვანი ჯორჯ ირვინი, რომელმაც სხვაგვარი სული შთაბერა თავის შეგირდებს, გამარჯვების რწმენა გაუღვივა და რვა შეხვედრიდან აგერ მეექვსე მოაგებინა. ერთი სიტყვით, მის ხელში „დეტროიტი" სულ სხვაა. კი მაგრამ, ჯაბანი ხომ არც „სიეტლია", გულშემატკივრების.

თამაში თავიდან მასპინძელთა მცირე უპირატესობით დაიწყო. „სიეტლმა" პირველი მეოთხედი ხუთი ქულის სხვაობით მოიგო, ამის მეტის გაკეთების საშუალება კი სტუმრებმა აღარ მისცეს. „პისთონზმა" მატჩის სადავეები თანდათან იგდო ხელთ და „სონიქსს" პოზიციები დაათმობინა. ამ შეხვედრაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ მეტოქეები როგორ მოახერხებდნენ მოწინაალმდეგე გუნდების ლიდერთა შეჩერებას. გერი პეიტონს ლინდსი ჰანტერი აედევნა და ასე თუ ისე მოახერხა, ალეკვეთა მისი „პარპაში". აი, დეტროიტელმა გრანტ ჰილმა კი სულ დაიბრიყვა მასპინძელი რუბენ პატერსონი, რომელიც სულ ერთი სეზონია, რაც „სიეტლში" თამაშობს და საკმაოდ კარგი პერსონალური მეურვის სახელიც დაიგდო. ჰილმა პირველ სამ მეოთხედში მოასწრო 19 ქულის გახერხება, ბოლო, გადამწყვეტ პერიოდში ხომ სულ აიკლო სტეფანიას გუნდი. ამ თორმეტ წუთში მას 14 ქულა მოუგროვდა, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა მატჩის ბედი. „სიეტლის" თავკაცმა პოლ ვესტფოლმაც აღიარა, რომ მისი ბიჭები სწორედ ჰილმა დააფრთხო და საბოლოოდ დაუკარგა მოგების იმედი: „თუ ჰილს თამაში წაუვიდა, მაშინ ის ნებისმიერი მეურვისთვის ძნელი დასაჭერია. მან დაცვაში ვეება ნაპრალები გაგვიჩინა და საბოლოოდ გაგვტეხა". ჰილს ქება არც მისმა დამრიგებელმა ჯორჯ ირვინმა მოაკლო — „გრანტმა სენსაციურად ითამაშა და რამდენიმე საოცარი ბურთი ჩააგდო მატჩის ბოლოს. დაცვაშიც შეგვეშველა, „სიეტლი" ბოლო მეოთხედში ცუდად რომ ისროდა, ეს მისი დამსახურებაცაა."

ამ თამაშში ჩართვა ჩვენებურ ვლადიმერ სტეფანიასაც მოუწია, თუმც მხოლოდ ერთი წუთით, ქართველმა ცენტრმა ეს ერთი აცილებული სროლით აღნიშნა.

**საკრამენტო 98:86 ვაშინგტონი**

საკრამენტო: დივაცი (24 ქულა, 12 მოხსნა), ვებერი (22 ქულა, 11 მოხსნა)

ვაშინგტონი: რიჩმონდი (26), ჰოვარდი (21)

**იუტა 96:83 დენვერი**

იუტა: მელოუნი (28 ქულა, 10 მოხსნა)

დენვერი: მაკდაიესი (25 ქულა, 12 მოხსნა)

**ვანკუვერი 98:82 გოლდენ სტეიტი**

ვანკუვერი: დიკერსონი (25)

გოლდენ სტეიტი: მარშალი (16)

**დალასი 97:96 სან ანტონიო**

დალასი: ფინლი (24)

სან ანტონიო: რობინსონი (30 ქულა, 17 მოხსნა), დანკანი (26 ქულა, 12 მოხსნა)

**მინესოტა 111:107 კლივლენდი**

(ძირითადი დრო 99:99)

მინესოტა: გარნეტი (29 ქულა, 14 მოხსნა), ბრენდონი (26 ქულა, 16 პასი)

კლივლენდი: მიურეი (16)

**ატლანტა 82:77 მაიამი**

ატლანტა: ჯეკსონი (15), ჰენდერსონი (15)

მაიამი: მაშბურნი (20), მურნინგი (18 ქულა, 11 მოხსნა, 7 დაფარება)

**ტორონტო 93:100 ნიუ ჯერსი**

ტორონტო: კარტერი (23), მაკგრეიდი (22 ქულა, 12 მოხსნა)

ნიუ ჯერსი: გილი (24), მარბერი (18)

**ინდიანა 95:91 ნიუ იორკი**

ინდიანა: როუზი (28), სმიტსი (20)

ნიუ იორკი: იუინგი (23)

21 მარტის შეხვედრებიდან ყველაზე საინტერესოდ წინდაწინვე „ნიუ იორკ" — „ინდიანას" მატჩი მიიჩნეოდა. ამ ორი მოსისხლე გუნდის დაპირისპირება ხომ ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. „ინდიანა" ახლა აღმოსავლეთს ლიდერობს, მშვენიერ ფორმაშია და არასდიდებით გაუშვებდა შანსს, კიდევ ერთხელ ამოეყარა „ნიქსის" ჯავრი. „ნიუ იორკმა" ბოლო შვიდ წელიწადში ორჯერ გამოაგდო „პეისერზი" აღმოსავლეთის ფინალიდან, რომლის იქით, ანუ ნბა-ს ფინალში „ინდიანას" არსებობის მანძილზე არ გაუღწევია. ინდიანაპოლისში, ცხადია, გუშინდელი დღესავით ახსოვთ შარშანდელი პლეი ოფი, სადაც ჩემპიონობისკენ მიმავალი გზა ლარი ბერდის ბიჭებს სწორედ „ნიქსმა" გადაუკეტა. ახლა მასპინძლებმა დაძაბულ ბრძოლაში დასცეს მეტოქე, ჯავრიც ამოიყარეს და აღმოსავლეთში ლიდერის პოზიცია უფრო გაიმყარეს. თამაში თანაბარი კი გამოდგა, მაგრამ „ნიუ იორკმა" ბოლო მეოთხედისთვის მოახერხა და ათქულიანი უპირატესობა იგდო ხელთ, თუმც ვერ შეინარჩუნა და ქარს გაატანა, რაშიც კარგად დაეხმარა წინა კვირის საუკეთესო მოთამაშე, მასპინძელთა ფრთა ჯალენ როუზი. მან ბოლო ათ წუთში 11 ქულა შესძინა თავისიანებს, აქედან ექვსი საჯარიმოებით.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დერბი იშვიათი ხილია. სამაგიეროდ, აქ არის დაპირისპირება ერთი შტატის ორ გუნდს შორის, რომელიც საკმაოდ ხშირად სენსაციურად მთავრდება. ახლაც ტეხასურ დერბიში „დალასმა" ჩემპიონი „სან ანტონიო სფურზი" შეიწირა. უხეირო „დალასი" ამ სეზონში რისხვად მოევლინა წინა სეზონის ტრიუმფატორს. ჯერ იყო და სულ ორიოდე დღის წინ, 16 მარტს, შინ, სან ანტონიოში 110:88 გადაუარა, ახლა ამას კიდევ ერთი გამარჯვება მიაყოლა. შინ წაგების შემდეგ ჩემპიონებს, ბუნებრივია, ერთი სული ჰქონდათ, სამაგიეროს როდის მიუზღავდნენ მათ შემარცხვენლებს. დიდხანს ლოდინიც არ დასჭირდათ და ხუთი დღის შემდეგ უკვე დალასში დაეცნენ „მავერიკსს". დევიდ რობინსონმა და ტიმ დანკანმა სულ ბდღვირი ადინეს მასპინძელთა დაცვას და უკვე პირველ ტაიმში 20 ქულით დაწინაურდნენ, რის შემდეგაც ალბათ გადაწყვიტეს, წაქცეულისთვის აღარ დაერტყათ, ან იქნებ მომავალი თამაშისთვის ძალებიც დაზოგეს, მაგრამ ამისათვის მწარედ დაისაჯნენ. „დალასი" ფეხზე წამოდგა, ერთი ამოსუნთქვით დაეწია „სან ანტონიოს" და ერიკ სტრიკლენდის (14 ქულა) ბოლო წამზე ჩაგდებული ორქულიანით გამარჯვებასაც მიაღწია.

ზუსტად ამგვარი სცენარით წარიმართა მატჩი ჯორჯიის დედაქალაქ ატლანტაში, სადაც იქაური „ჰოქსი" „მაიამი ჰითს" მასპინძლობდა. „მაიამი" პირველ ნახევარში 15 ქულის სხვაობით უგებდა აღმოსავლეთის ერთ-ერთ აუტსაიდერს და ამით საქმე მოთავებულად ჩათვალა, ხოლო როცა „ატლანტა" წამოეწია და გადაასწრო, წინა დღით „ლეიკერსთან" ბრძოლით გადაღლილ „ჰითს" მატჩის ბედის შემობრუნებლად ძალა აღარ ეყო.

„ტორონტოზე" გრანდი არ ითქმის, თუმც კანადური გუნდი მაინც აღმოსავლეთის ლიდერთა მარაქაში გარეულა და ამიტომაც „ნიუ ჯერსისთან" მისი მარცხი მოულოდნელი იყო. კანადელთა ლიდერმა ვინს კარტერმა, რომელსაც ქენდალ გილი აედევნა, 23 ქულას კი მოუყარა თავი, მაგრამ 18 სროლიდან 13 მაინც გააფუჭა და ერთხელაც არ ჩაუტენია, რაც ალბათ საერთოდ არ მომხდარა მას შემდეგ, რაც მან ნბა-ს კარი შეაღო. „ვინსი შესაძლოა ყველა დროის საუკეთესო მსუბუქი ფორვარდი (ჩვენებურად ფრთა) იყოს, მაგრამ ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, ქენდალ გილი უძლიერესი დამცველია ნბა-ში" — „ნიუ ჯერსის" ლიდერი სტივენ მარბერი ამას რომ ამბობდა, ნამდვილად აჭარბებდა. კარტერი ჯერ არ გამხდარა ლეგენდარული და არც გილია უნაკლო მცველი, მაგრამ ეს უკანასკნელი ამ თამაშში მართლაც ბრწყინვალე იყო დაცვაში. ტორონტოლემა ცენტრმა ანტონიო დევისმა თქვა, კარგა ხანია, კარტერის მხარდამხარ ვთამაშობ და ასე დათრგუნული იგი არასდროს მინახავსო.

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS სიეტლიდან

სიეტლი — დეტროიტი. ტერი მილზი (ბურთით) და სიეტლელი ვინ ბეიკერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალში ხტომა

*წყალში მხტომელმა ნანა ნებიერიძემ ოლიმპიური ლიცენზია ზუსტად ერთი წლის წინ მოიპოვა. ის ერთადერთი ქართველი ლიცენზიანტია, რომელიც სრულყოფილად ემზადება ოლიმპიადისთვის. როგორც იცით, ნებიერიძე სარატოვში ცხოვრობს, სადაც მისი პირველი მწვრთნელი იური გუტიაკულოვი გადასახლდა. ნანაც იქვე ვარჯიშობს და ტურნირებშიც გამოდის. ამ დღეებში ის სავიზო პრობლემებმა თბილისში ჩამოიყვანა, თან ჩვენთან სასაუბროდაც მოიცალა.*



გალდი კეთილაძის ფოტო

# საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს: გაიცანით, ნანა ნებიერიძე

**— როგორ ემზადებით, ახალი ხომ არაფერია?**

— მზადების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს. მე ისევ სარატოვში ვცხოვრობ იური გუტიაკულოვთან, რომელიც საკუთარი ქალიშვილივით მპატრონობს. ამიტომაა, რომ ყოფითი პრობლემები არ მაწუხებს. ვარჯიშითაც იქვე ვვარჯიშობ მისივე მეთვალყურეობით. გუტიაკულოვი ჩინებული სპეციალისტია. საქართველოში ყველა ცნობილი წყალში მხტომელი მისი აღზრდილია. მეც პირველად გუტიაკულოვთან დავიწყე ვარჯიში. სარატოვსა თუ მის შემოგარენში უფრო ძლიერი მწვრთნელი არაა. თანაც, იქ სავარჯიშოდ ყველანაირი პირობაა. მაინც რუსეთია და...

წლეულს შეკრებებიც გავიარე ბელგიასა და გერმანიაში, ახლახან კი ქალაქ ელექტროსტალში დიდი პრიზის ერთ-ერთ ტურნირშიც ვიასპარეზე და მეათე ადგილი დავიკავე. იანვარში სიდნეიში მსოფლიოს თასის ეტაპზეც გამოვედი. იქ აკლიმატიზაციის პრობლემა შემექმნა და დროში დიდი სხვაობის გამო ძალიან გამიჭირდა.

**— ჩვენი ფედერაცია თუ გეხმარებათ?**

— მხოლოდ მორალურად. უბრალოდ, მქომაგობენ და მეტი არაფერი. სულ ესაა.

**— მაშ ვინ გაფინანსებთ? შეკრებების მოწყობას, ტურნირებზე გამოსვლას ცოტა თანხა არ სჭირდება.**

— არიან ადამიანები, რომლებიც ხელს მიმართავენ. მათთან ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ გოიაშვილმა დამაკავშირა. სწორედ ისინი მაფინანსებენ.

**— საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი თუ გიდგათ მხარში?**

— კი, როგორ არა, სტიპენდიასაც მაძლევენ. არის გარკვეული ორგანიზაციული პრობლემები, რომლებსაც ოლიმპიური კომიტეტი უანგაროდ მიგვარებს. გოიაშვილისა და მათი მხარდაჭერა არ მაკლია.

**— დეპარტამენტი? იქ ხელფასს მაინც თუ იღებთ?**

— მათგან საერთოდ არავის ვიცნობ და უკვე სამი წელიწადია, არც რაიმე მიმიღია. დეპარტამენტში არც მივდივარ, უაზრობაა და იმიტომ.

**— ბოლოს სამომავლო გეგმებზეც გვითხარით.**

— ოლიმპიადამდე სხვადასხვა შეჯიბრში გამოვალ — ევროპისა და მსოფლიოს თასებზე, დიდი პრიზის ტურნირებში ესპანეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში, ხოლო 28 ივნისიდან 9 ივლისის ჩათვლით ფინეთში ევროპის პირველობაზე ვიასპარეზებ. ეს იქნება მზადების ბოლო ეტაპი.

ირაკლი თავაძე

კრივი

# კინგური ხრიკები

არ არს მოსვენება ოფოფა ოღრაშის დონ კინგისა! კრივის ეს ყველაზე კოლორიტული და ბნელი პრომოუტერი მისდგომია მძიმე წონის უდავო ჩემპიონ ლენოქს ლუისის ქამრებს და მათი ბედის გადაწყვეტას მანჰეტენის სასამართლოში ცდილობს.

ვითარება ასეთია:

ლუისი ფლობს საბჭოს (ვბკ) ფედერაციის (იბფ) და ასოციაციის (ვბა) ქამრებს და წესთა თანახმად ჟამითჟამად უნდა დაიცვას ქამრები და ტიტულები. თითქმის გადაწყვეტილია ლუისის შერკინება ამერიკელ მაიკლ გრანტთან, რომელიც მეორე ნომერ პრეტენდენტად არის საბჭოს და ფედერაციის სიებში, მეხუთე ნომრად კი ასოციაციისაში. ლუისის სურვილია, რომ თუ დაცვაზე მიდგება საქმე, სამივე ქამარი ერთდროულად დაიცვას და ამ საქმეში ნაღდი ბრძოლა თუ უნდა, გრანტს უნდა ეომოს.

დაცვის ვადების შემცირებასთან ერთად თავისი აზრი შეუქმნია დონ კინგს, რომელიც აცხადებს, რომ ლუისისთვის სავალდებულოა ასოციაციის ქამრის დაცვა, ამავ ასოციაციის პირველ ნომერ პრეტენდენტ ჯონი რუისთან ბრძოლაში. ლუისის ვექილები აცხადებენ, რომ სიმწრით გაერთიანებულ მძიმე წონის ქამართა დაშლა-დანაწილება არ ეგების. ამისდაკვალად კინგი სთხოვს მანჰეტენის მოსამართლე ლუი კაპლანს, ასოციაციის ქამარი ლუისს ჩამოართვას და ის გაათამაშოს ლუისსა და მეორე პრეტენდენტ ევანდერ ჰოლიფილდს შორის. თუ ლუისი რუისთან შებრძოლებას დაჰყაბულდება, მაშინ ჰოლიფილდის შეწუხება საჭირო აღარ იქნება. ლუისისგან ნაგვემ ამ ატლანტელ მლოცველს კვლავ გასჩენია ქამრის მონადირების სურვილი და ამბობს, ემაგ ბრიტს (ლუისს) თავი კრივზე მეტი ჰქონიაო.

ჯერჯერობით კინგი აგებს, სასამართლომ დაამტკიცა ლუის-გრანტის შეხვედრის წინასწარი თარიღი, თუმც კი დასაცავი ქამრების ოდენობაზე არაფერი უთქვამს. მოსამართლე კაპლანმა დაუდასტურა კინგს, რომ შეუძლია რუის-ჰოლიფილდის ჩხუბის გამართვა, თუმცა, არაფერი უთქვამს ლუისისთვის ასოციაციის ქამრის ჩამორთმევასა და ამ ორ ამერიკელს შორის გათამაშებაზე.





ზურგსუკან ინტრიგანობა დონ კინგის ხელობაა

# დე ლა ჰოიასთვის ნაჩუქარი ქამარი



ოსკარ დე ლა ჰოია

შარშან იყო, ამერიკის ოქროს ბიჭმა, ოსკარ დე ლა ჰოიამ ველთერის წონის უდავო ჩემპიონობისთვის ბრძოლაში პუერტორიკოელ ფელიქს ტრინიდადთან ქულებით რომ წააგო და საერთოდაც უქამროდ დარჩა. ოთხი წონის ჩემპიონმა ოსკარმა იმის შემდეგ ერთადერთი ბრძოლა გამართა და დერელ კოული დასცა. ტრინიდადი კი ოთხიოდ გირვანქით დამძიმდა და ზეველთერის დივიზიონში აბარგდა. ამით გართულდა ამ ორის ხელახალი შეხვედრის საკითხი — ოსკარი მზად ვერ გამოდგა წონის მოსამატებლად და ორი ბანაკის დავა გრამებსა და უნციებზე დღემდე გრძელდება.

ზე-ველთერში აბარგებულმა ტრინიდადმა, ცხადია, აღარ დაიცვა თავისი საბჭოს (ვაკ). ველთერის ქამარი და 247 გირვანქიანთა საბჭოს ვერსია დააობლა. საბჭომ ულაპარაკოდ ჩამოართვა ქამარი პუერტორიკოელს და პრეზიდენტ ხოსე სულეიმანის ვაჟის მაურისიოს ხელით დე ლა ჰოიას გადასცა იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი მალევე გაათამაშებს მას.

პირობა შესრულებულია: 17 ივნისს ოსკარი შეხვდება ჯერაც დაუმარცხებელ (38-0) შეინ მოსლის. ორივე მებრძოლი ლოს ანჯელესის მიდამოების მცხოვრებია და ბავშვობაში ერთმანეთთანაც უჩხუბიათ „ოქროს თათმანის“ შეჯიბრში. დე ლა ჰოია 8 მილიონ დოლარს მიიღებს, მოსლი 4,5 მილიონს. ბრძოლა ლოს ანჯელესის „სტეიპლზ სენთერში“ გაიმართება, პრომოუტერი კი ბობ არუმია.

ალბერტ ხაჩატურიშვილი

ჭადრაკი

# ტოპალოვმა ამოქვითა

მონტე კარლოს „მეტროპოლ პალას ოტელში“ წარმატებით გრძელდება სწრაფი და დაფაზე დაუხედავი ჭადრაკის პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი. წარმატებითო, ვამბობთ და იმას ვგულისხმობთ, რომ ტურნირზე საინტერესო ამბები ჭარბად ხდება. პირველი ტურის განხილვის შემდეგ მცირე პაუზა გავაკეთეთ და ახლა ერთბაშად ოთხი მომდევნო ტურის ისტორია უნდა მოგითხროთ, რომელთა მთავარი გმირი უეჭველად ის კაცი იქნება, ფოტოდან რომ იყურება. ბულგარელ მოჭადრაკეს ვესელინ ტოპალოვს, ახლახან საჭადრაკო ელიტის სრულუფლებიან წევრსა და შემდეგ მოჭადრაკეთა ფართო მასებში ჩაკარგულს, მონაკოში ჯერჯერობით აშკარად ულხინს. სტარტი არ ჰქონია განსაკუთრებული, მაგრამ მესამე ტურში ერთადერთი კაცი გახდა, ვინც ორი პარტია მოიგო. ტოპალოვს მაშინ ბოსნიელი პრედრაგ ნიკოლიჩი ემსხვერპლა და რახან გრანდებში არც ბოსნიელი ითვლება, ეს ამბავი დიდ სენსაციად არავის აღუთქვამს. სამაგიეროდ, მომდევნო ტურში ბულგარელმა თვით ვლადიმერ კრამნიკი გაამწარა 1,5-0,5, მას კიდევ ებრაელი ბორის გელფანდი მიაყოლა — 2:0. ყოველივე ამან ის მოიტანა, რომ დღეს ტოპალოვი ცალკე სწრაფი ჭადრაკის ცხრილის თავშია და საერთო ჩათვლასაც ლიდერობს.



ვესელინ ტოპალოვი

საპირისპიროდ წარიმართა მონაკოში კრამნიკის ამბავი. ლინარესის ტრიუმფატორმა პირველ ტურში რომ ორივე პარტია მოიგო, კაცი იფიქრებდა, მორჩა, აღარ არის ამბერის ტურნირის ფავორიტი საძებნელიო, თუმცა მერე ყველაფერი შეიცვალა. მეორე ტურში კრამნიკმა და გელფანდმა ითამაშეს. სწრაფ ჭადრაკში კრამნიკი ბატონობდა და პაიკის ბოლომდე გაყვანით კინაღამ მეტოქეს ჯვარი დაუსვა, მაგრამ ებრაელმა როგორღაც თავი დაიძვრინა და 60-სვლიანი დუელიდან ნახევარი ქულით გამოვიდა. თვალდახუჭული პარტია კი კრამნიკმა იმგვარი უაზრო სვლებით დაიწყო, უკვე 22-ზე ორი პაიკი მოისაკლისა, ოთხი სვლის შემდეგ ეტლისა და კუს საფასურად მეტოქეს ლაზიერი დაუთმო და ბოლოს ლომივით იბრძოლა, მაგრამ წამხდარს ვერაფრით უშველა. მესამე ტურში რუსმა ვასილი ივანჩუკთან მიჰყო ხელი საეჭვო ექსპერიმენტებს, შავებით წააგო და კიდევ კარგი, ერთი ქულა თეთრებით მაინც რომ ირგუნა. მერე იყო წკიპურტი ტოპალოვისგან და მხოლოდ მე-5 ტურმა გამოუკეთა ვოვას ხასიათი, როცა ნიკოლიჩს ერთი მოუგო და მერე ყაიმზე შეუთანხმდა.

ახლა კარპოვს მივხედოთ. ანატოლი ევგენიევიჩი მონაკოში ახალგაზრდულად გამოიყურება და ხშირად ეფექტურ სვლებსაც აკეთებს, როგორც ახალგაზრდობაში სჩვეოდა. მეორე ტურში ანანდთან ორი მოსაწყენი ყაიმის შემდეგ, მსოფლიოს მე-12 ჩემპიონმა ფრანგ ჟოელ ლოტიესთან გაილაღა. კარგი საყურებელი იყო მათი სწრაფი ჭადრაკის პარტია, სადაც ვეტერანი რუსი ყველა უბანზე უტევდა, ორივე ფრთაზე თითო გამსვლელი პაიკი შექმნა და მეტოქე ბრძოლის უსარგებლობას მიახვედრა. მეორე პარტიაში კარპოვმა სხვაგვარად იმოქმედა, ერთი თეთრი პაიკი დანარჩენთაგან გამოაცალკევა და თავისი ლაშქრის სამი მეოთხედი იმას მიუსია. ლოტიეს საბრალო ქვეითი არ ეთმობოდა და მისი დაცვისას ლამის ფიგურები გაუნახევრდა, ისე რომ, მთავარი ფიგურის დამცველად აღარავინ შერჩა და მისმა მეფემაც წინააღმდეგობა შეწყვიტა, როცა რამდენიმე შავი ფიგურის წინაშე მარტო აღმოჩნდა. შემდეგ იყო შიროვთან მცირედი წათვლემა, რომელსაც კარპოვი ჭაბუკურად უტევდა და ორ სვლაში შამათი რომ ჰქონდა, ის ვერ შენიშნა. ამას მოჰყვა იუგოსლავიელი ვეტერანის ლიუბომირ ლიუბოევიჩის დამარცხება და დღეს კარპოვის პოზიცია სატურნირო ცხრილში არცთუ ურიგოა, ხოლო ცხრილზე ზოგადად თუ ვიტყვით, იქ ტოპალოვი ლიდერობს 8 ქულით, მას კი ნახევარქულიანი ინტერვალებით ისეთი ხმამაღალი საჭადრაკო გვარების მწკრივი მოჰყვება, კაცი უკეთესს ვერ ინატრებს: შიროვი, კარპოვი, ანანდი, კრამნიკი. დანარჩენები ოდნავ ჩამორჩებიან და არა გვგონია, მათი დასახელება აუცილებელი იყოს.

გუშინ, გვიან სალამოს კი, როცა თბილისს შუქი ელირსა და მონაკოში არც ჩამქრალა, მოჭადრაკეები „მეტროპოლ პალას ოტელის“ მყუდრო სცენაზე თვალდახუჭულ ჭადრაკში ცდილნენ ძალას, სწრაფი პარტიები უკვე დაემთავრებინათ და რახან დალოცვილი ინტერნეტით მონაკოსთან „ჰოთ-ლაინი“ გვაქვს გაბმული, მე-6 ტურის სწრაფი ჭადრაკის შედეგებიც მოვიპოვეთ, რომელთაც აქვე გთავაზობთ: კრამნიკი — ვან ველი 0:1; გელფანდი — ლოტიე 0,5:0,5; ივანჩუკი — ლიუბოევიჩი 1:0; ტოპალოვი — ანანდი 0,5:0,5; ნიკოლიჩი — შიროვი 0,5:0,5; პიკეტი — კარპოვი 0,5:0,5. რა კომენტარი გავუკეთოთ ახლა პირველ შედეგს? დაიღალა კრამნიკი, დასვენება უნდა...

დავით გულუა

მთამსვლელობა

# დაულაშქრავ ლჰოცზეზე რუსებთან ერთად

ქართველი მთამსვლელები აფი გიგანი, ბიძინა გუჯაბიძე და გელა ოთარაშვილი ბენო ქაშაკაშვილის მეთაურობით ხვალ გაემგზავრებიან დედამიწის სიმაღლით მეოთხე მწვერვალ ლჰოცზეს შუათანა მწვერვალზე (8200 მეტრი) ასასვლელად, რომლის დალაშქვრაც დღემდე რამდენიმე ექსპედიციამ უშედეგოდ სცადა. ეს მწვერვალი ჰიმალაის ერთადერთი რვაათასიანია, რომელზეც ადამიანის ფეხი არ შედგმულა.

ქართველთა ექსპედიციაში იქნება აგრეთვე რუსეთის ხუთი მთამსვლელიც.

აღსანიშნავია, რომ ამ მწვერვალზე უშედეგო ასვლის მონაწილე იყო რუსი მთამსვლელი ვლადიმერ ბაშკიროვიც, რომელიც დაიღუპა და მისი გვამი სადღაც 8200 მეტრის სიმაღლეზეა.

როგორც ბიძინა გუჯაბიძემ გვითხრა, ჩვენი მთამსვლელები რუსებთან ერთად ჯერ ლჰოცზეს მთავარ პიკზე (8501 მ) ავლენ, იქიდან კი ტრავერსით გადავლენ შუათანა მწვერვალზე.

ავთანდილ ჭყვიშელი

# იაგრი ისევ აგრიალდა

21 მარტი

**ბოსტონი — ტამპა 4:0**

**1:0 2:0 1:0**

1:0 ნაბლი 13'31 (11); 2:0 როლსტონი 22'10 (14); 3:0 ტორნტონი 31'15 (21); 4:0 ელორნტი 43'48 (6)

**ოტავა — ატლანტა 7:1**

**6:1 0:0 1:0**

1:0 ქიუნო 2'08 (11); 2:0 დაკელი 3'47 (8); 2:1 ოდეტი 5'17 (14); 3:1 ბონკი 13'01 (19); 4:1 მაკიჩერნი 18'09 (28); 5:1 დაკელი 18'50 (9); 6:1 იორკი 19'29 (7); 7:1 მაკიჩერნი 47'54 (29)

**ნიუ ჯერსი — კაროლინა 0:5**

**0:1 0:3 0:1**

0:1 ბრინდამორი 19'27 (9); 0:2 ჰილი 23'34 (11); 0:3 კაპანენი 34'09 (23); 0:4 ჰილი 36'41 (12); 0:5 ონეილი 41'52 (23)

**აილენდერსი — პიტსბურგი 2:8**

**0:2 1:6 1:0**

0:1 კორბე 7'39 (5); 0:2 რაიტი 17'16 (11); 1:2 იოკინენი 20'51 (11); 1:3 ლიჩი 30'04 (2); 1:4 შლეგრი 31'13 (10); 1:5 იაგრი 31'44 (38); 1:6 რაიტი 32'11 (12); 1:7 იაგრი 37'46 (39); 1:8 ბერანეკი 38'11(11); 2:8 კონოლი 55'51 (13)

**რეინჯერსი — ფლორიდა 3:4**

**1:1 2:1 0:2**

1:0 პლავაჩი 11'34 (19); 1:1 სილინჯერი 19'11 (21); 2:1 იორკი 22'44 (24); 3:1 შნაიდერი 29'35 (10); 3:2 მელანბი 35'47 (15); 3:3 პერიში 47'21 (23); 3:4 სილინჯერი 50'50 (22)

**ნეშვილი — ფილადელფია 0:2**

**0:0 0:2 0:0**

0:1 ლეკლერი 28'17 (37); 0:2 განი 30'42 (19)

**ფინიქსი — ჩიკაგო 0:3**

**0:1 0:2 0:0**

0:1 ჟამნოვი 11'17 (20); 0:2 მარჰა 24'47 (9); 0:3 მაკამონდი 33'38 (14)

**ლოს ანჯელესი — ანაჰაიმი 2:5**

**0:2 1:0 1:3**

0:1 დონატო 7'55 (11); 0:2 აალტო 16'45 (6); 1:2 გ. მიურეი 35'21 (24); 1:3 მილერი 48'06 (9); 2:3 ემერსონი 51'27 (15); 2:4 კონი 52'41 (5); 2:5 კარია 55'07 (37)

იარომირ იაგრი ტრავმის შემდეგ მთლიანად ჯერ არ გამოჯანმრთელებულა და ახლა რომ ასე თამაშობს, პლეი ოფში რაღას იზამს. ჯერ კიდევ ექვსი დღის წინ, პიტსბურგსა და მის სუპერვარსკვლავს თითქოს მომავალი კარგს არაფერს უქადდა. ულიდეროდ დარჩენილი გუნდი ქულას ქულაზე კარგავდა და ნელ-ნელა იმ საშიშ ზღვარსაც მიუახლოვდა, საიდანაც პლეი ოფის მიღმა დარჩენამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება. მოულოდნელად იაგრი დაბრუნდა. იგი მხოლოდ 10 წუთს აპირებდა თამაშს, მაგრამ ბრძოლა რომ გამძაფრდა, პარტნიორები ველარ მიატოვა, თავს ძალა დაატანა და 3 (!) პასით ალექსეი კოვალიოვთან (1+3) ერთად დიდი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში. გავიდა ორი დღე და უკვე აილენდერსთან შეხვედრაში იაგრი კვლავ მთავარი მოქმედი გმირი გახდა — მან ისევ 3 ქულა მიითვალა, ოღონდ ამჯერად ორი გოლი გაიტანა.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია — რეი ბურკის გადასვლამ და დანარჩენი ლიდერების ტრავმებმა დაღებითად იმოქმედა ბოსტონზე. ერთხანს გუნდის ყველაზე ერთგულმა ქომაგებმაც კი ჩაიქნიეს ხელი, „დათვები" კი გამოცოცხლდნენ და პლეი ოფში გასვლის შანსიც შეინარჩუნეს. ტამპასთან ბოსტონმა ზედიზედ მეორედ მიაღწია წარმატებას შინ, რაც მას ნოემბრის შემდეგ აღარ მოუხერხებია.

ასეა თუ ისე, დღესდღეობით ბოსტონს რეინჯერსზე უარესი მდგომარეობა ნამდვილად არა აქვს. თუ ნიუორკელებმა პლეი ოფის საგზური ვერ მოიპოვეს, ეს მხოლოდ თავიანთ უთავბოლობას დააბრალონ. ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხში ისინი იგებდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთში მიიყვანეს საქმე ბოლომდე. ამჯერადაც ტრავმის შემდეგ დაბრუნებული პეტერ ნედველის (1 პასი) სამეულის ძალისხმევით წინ იყვნენ — 3:1, მაგრამ ხელში ქულაც არ შერჩათ. ფლორიდელთა შორის ამჯერად „დედლაინზე" ტამპიდან შეძენილი მაიკ სილინჯერი გამოირჩა, პაველ ბურემ კი მხოლოდ ერთი პასი იკმარა. თუმც „რუსულმა რაკეტამ" მანამდე, უქმეებზე ისახელა თავი. აილენდერსთან შეხვედრაში კარიერაში მე-15 ჰეთ თრიქი შეასრულა და ლიგაში პირველმა მიაღწია 50-შაიბიან ზღვარს.

ჩიკაგოც ლიდერის, დუგ გილმორის წასვლის შემდეგ ისე ათამაშდა, რომ აგერ უკვე მეექვსე მატჩია, არ წაუგია. ფინიქსს კი „ქორებთან" თამაშში კაპიტნისა და ლიდერის, კეიტ ტკაჩუკის დაბრუნებამაც ვერ უშველა. მასპინძლებმა 34-ჯერ დაარტყეს, მაგრამ ჟოსლენ ტიბოს (სეზონში მეორე შატაუტი) ვერაფერი მოუხერხეს და ზედიზედ მეოთხე მარცხის შემდეგ კონფერენციაში მერვე ადგილზე მყოფ ანაჰაიმს სამი ქულითღა უსწრებენ.

**სამველ ღარიბიანი**

### სატურნირო ვითარება

| ალმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *ნიუ ჯერსი* | *74* | *41* | *8* | *5* | *25* | *224:181* | *95* |
| ტორონტო | 72 | 40 | 7 | 3 | 25 | 220:192 | 90 |
| ვაშინგტონი | 73 | 39 | 11 | 1 | 23 | 199:172 | 90 |
| *ფილადელფია* | *73* | *39* | *12* | *2* | *22* | *212:162* | *92* |
| ფლორიდა | 73 | 38 | 5 | 5 | 30 | 216:188 | 86 |
| ოტავა | 72 | 36 | 11 | 2 | 25 | 215:184 | 85 |
| პიტსბურგი | 73 | 31 | 8 | 6 | 34 | 216:214 | 76 |
| მონრეალი | 73 | 31 | 8 | 3 | 34 | 172:172 | 73 |
| ბუფალო | 74 | 30 | 10 | 3 | 34 | 191:199 | 72 |
| კაროლინა | 73 | 31 | 10 | 0 | 32 | 196:199 | 72 |
| რეინჯერსი | 75 | 29 | 11 | 3 | 35 | 211:215 | 72 |
| ბოსტონი | 73 | 23 | 17 | 6 | 33 | 188:217 | 69 |
| აილენდერსი | 73 | 21 | 8 | 1 | 44 | 172:246 | 51 |
| ტამპა | 72 | 17 | 8 | 7 | 47 | 180:270 | 49 |
| ატლანტა | 71 | 13 | 6 | 4 | 52 | 148:271 | 36 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *სენტ ლუისი* | *72* | *46* | *9* | *0* | *17* | *221:144* | *101* |
| *დალასი* | *73* | *40* | *8* | *4* | *25* | *187:163* | *92* |
| კოლორადო | 74 | 34 | 11 | 1 | 29 | 209:188 | 80 |
| *დეტროიტი* | *73* | *43* | *8* | *2* | *21* | *240:188* | *96* |
| ლოს ანჯელესი | 73 | 34 | 9 | 4 | 30 | 222:211 | 81 |
| ფინიქსი | 72 | 35 | 7 | 2 | 30 | 209:200 | 79 |
| ედმონტონი | 73 | 27 | 16 | 8 | 30 | 201:190 | 78 |
| ანაჰაიმი | 74 | 31 | 12 | 2 | 31 | 197:201 | 76 |
| სან ხოსე | 73 | 30 | 9 | 7 | 34 | 203:196 | 76 |
| ვანკუვერი | 73 | 26 | 14 | 8 | 33 | 196:212 | 74 |
| კალგარი | 73 | 29 | 8 | 5 | 36 | 190:229 | 71 |
| ჩიკაგო | 73 | 29 | 8 | 2 | 36 | 219:225 | 68 |
| ნეშვილი | 74 | 26 | 7 | 7 | 41 | 185:215 | 66 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში ნაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

*დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები*



REUTERS

ტამპელთა განადგურება ბოსტონელი მაიკლ ნაბლის ამ გოლით დაიწყო

## კვირის მოთამაშე

### მარკუს ნესლუნდი (ვანკუვერი)



ერთ დროს შვედ ვუნდერკინდ, მარკუს ნესლუნდს სახელოვანი მოგვარისა და თვისტომის — მატს ნესლუნდის დიდებას უწინასწარმეტყველებდნენ. 20 წლის ჰოკეისტი 1993 წლის ახალგაზრდათა მსოფლიოს ჩემპიონატზე, უკვე სუპერვარსკვლავად ქცეულ პეტერ ფორსბერგთან ერთად ასპარეზობდა სამეულში და მასზე არანაკლებ აფასებდნენ. ამიტომაც მარკუსი მალე ნჰლ-ში გადაბარგდა. მაგრამ გზა აღიარებისკენ მისთვის ერთობ რთული აღმოჩნდა. მარკუს ნესლუნდი მხოლოდ წინა, მისთვის მეხუთე სეზონში ათამაშდა და ვანკუვერის ლიდერად იქცა. წლეულს კი მართალია 57 (24+33) ქულით კვლავ პირველობს, მაგრამ მას, როგორც წამყვან მოთამაშეს, გაცილებით მეტი მოეთხოვება, ხოლო რა დონეზე ძალუძს ასპარეზობა, გასულ კვირაში გამოჩნდა. მარკუსმა სამ თამაშში სამი გოლი და ხუთი პასი მიითვალა, თანაც ბუფალოსთან (6:3) საკუთარი რეკორდი გაიმეორა — 4 (2+2) ქულა. ხოლო შაბათს ოტავაში „დედლაინზე" გადასულ სახელოვან მეკარეს, ტომ ბარასოს ჩაუშხამა დებიუტი. რაც მთავარია, ამ მოგებების შემდეგ ნესლუნდის გუნდი კვლავ ჩაება პლეი ოფში გასვლისთვის ბრძოლაში. 8 ქულა ამ კვირაში კიდევ ერთმა შვედმა, დეტროიტის მცველმა ნიკლას ლიდსტრიომმაც დააგროვა, ოღონდ, ნესლუნდისგან განსხვავებით, მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა.

**საუკეთესო ექვსეული.** 13-19 მარტი

*რომან ტურეკი* (სენტ ლუისი, 2); *ნიკლას ლიდსტრიომი* ( დეტროიტი, 3) — *ბორის მირონოვი* (ჩიკაგო, 2); *პაველ ბურე* (ფლორიდა, 3) — *მარკუს ნესლუნდი* (ვანკუვერი, 1) — *ჯემი ლანგენბრუნერი* (დალასი, 1).





REUTERS

იოჰან მულეგი

# ჩემი ბროლი ჩემთან

### თხილამურებით რბოლა

იტალიურ ბორმიოში ეს დღეები არამარტო სამთომოთხილამურეებმა გაატარეს. მაიერისა და კომპანიის ავსტრიული ტრიუმფის შემდეგ, მსოფლიოს თასის ფინალი მოთხილამურეებმაც ჩაატარეს და ქალთა ასპარეზობას მაინც იმხელა ინტრიგა ახლდა, უეჭველად ცალკე სათქმელია.

ესტონელი კრისტინა შმიგუნი თითქმის მთელ სეზონს თამაღობდა საერთო ჩათვლის ცხრილში, მაგრამ ზედ ფინიშზე უმტყუნა იღბალმა. ბორმიოს ბოლოსწინა ეტაპი, 5 კილომეტრზე კლასიკური სრიალი, ნორვეგიელმა ბენტე მარტინსენმა მოიგო და ესტონელის ლიდერობაც მიითვისა. ბოლო ეტაპის წინ შექმნილი ვითარება ფრიად დელიკატური გახლდათ. მარტინსენის პროგრამა-მინიმუმი უეჭველად შმიგუნის მომდევნო ადგილის დაკავება იყო, ოღონდ ესტონელი პირველ ადგილზე არ უნდა გასულიყო. უკანასკნელ ვარიანტში იგი 1 (!) ქულით უსწრებდა სკანდინაველს. შმიგუნმა რბოლა ენერგიულად დაიწყო, მაგრამ შუაგზაზე უხეიროდ მოცურდა, დაეცა და მერე ყველაფერმა ფასი დაკარგა. შმიგუნი ფინიშზე მეექვსე იყო, ხოლო მარტინსენი — მერვე, რაც იმას მოასწავებდა, რომ კიდევ ერთ ბროლის გლობუსს ნორვეგიაში გამოუჩნდა პატრონი. ეტაპი კი რუსმა იულია ჩეპაკოვამ მოიგო.

კაცებში რაღა იყო გასარკვევი? მთლად სამასს არა, მაგრამ არც ბევრად ნაკლებს უგებდა გაესპანელებული გერმანელი იოჰან მულეგი, ფინელ იარი იზომეტას და როცა 15-კილომეტრიანი ეტაპის ფინიშზე მეორე მივიდა, მოსულიერება არ დასჭირვებია, მით უმეტეს, სანუკვარი ბროლის გლობუსიც იქვე იყო და ერთი სულ ჰქონდა, როდის ჩააბარებდნენ.

**ქალთა საერთო ჩათვლა. 1. ბენტე მარტინსენი (ნორვეგია) — 1176; 2. კრისტინა შმიგუნი (ესტონეთი) — 1165; 3. ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) — 1008**

**კაცთა საერთო ჩათვლა. 1. იოჰან მულეგი (ესპანეთი) — 948; 2. იარი იზომეტა (ფინეთი) — 708; 3. ოდ-ბიორნ ჰელმესეტი (ნორვეგია) — 586**

### ორჭიდი

ბორმიოსგან ცოტა მოშორებით კურორტი სანტა კატერინა ყოფილა, მოთხილამურეთათვის ასევე მოსაწონი ადგილი. ამჯერად სანტა კატერინაში ორჭიდელები მუშაობდნენ. ფინელმა სამპა ლაუნენმა იცოტავა ის, რომ უკვე გასულ კვირას მსოფლიოს თასის პატრონობა გაინაღდა და ახლა ფინალური შეჯიბრიც მოიგო. ეს ლაუნენის მერვე გამარჯვება გახლდათ სულ ოცი ეტაპიდან, ამას დაუმატეთ დაგროვილი 2175 ქულა, რაც 185 პუნქტით მეტია ნორვეგიელი ბიარტ ენგენ ვიკის შედეგზე და იაპონელი კენი ოგივარას მიღწევაზე ხომ ბევრად უფრო აღმატებული.

### ბიატლონი

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ტიუმენის ოლქის ხანტი-მანსიინსკის ავტონომიურ ოკრუგში, პარასკევს ყინვამ მოუჭირა. ესიამოვნათ ეს ამბავი ბიატლონში მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპის ორგანიზატორებს. მართლაც, რა უნდა იყოს იმაზე კარგი, რომ ამ გამოგაზაფხულებისას ამინდი გაგიმართლებს და მომეტებულ თავსატეხს აგარიდებს. დაეცა ტემპერატურა მინუს 10 გრადუსამდე და ძალიანაც კარგი, მაგრამ ამაზე რომ არ გაჩერდა? შაბათ დილას ხანტი-მანსიინსკის ყველა გამართული თერმომეტრი პატიოსნად უჩვენებდა მინუს თვრამეტს. როცა ბიატლონისტები ვარჯიშზე გავიდნენ და შაშხანები ხეირიანად ვერ დაიკავეს (თითები ეყინებოდათ), ორგანიზატორებმა ყურები ჩამოყარეს, მაგრამ რბოლები არ გადაუდიათ. შემდეგ კი გამართლდა გამოცდილი ხალხის ნათქვამი, დღეს მრავალი მრავალგზის აცილებსო. სწორედ სროლაში ნაჩვენები შედეგები შეიქნა საბოლოო ცხრილების ძირითადი განმსაზღვრელი. ჩინებულად დასრიალებდა შაბათის ქალთა გამოდევნებისას გერმანელი მარტინა ზელნერი, მაგრამ ფინიშის გადაკვეთის შემდეგ ზლუქუნი მორთო, რახან თერთმეტჯერ ააცილა და ლიდერებში ვერ გაიჭაჭანა. ზელნერი როგორღაც დააწყნარეს, იგი სასტუმროში წავიდა და ცუდ ხასიათზე მყოფმა რიგიანად გამოიძინა, რათა კვირას მასსტარტზე გამძვინვარებული გამოსულიყო და 12,5 კილომეტრიან ტრასაზე უახლოესი მდევრისთვის თითქმის წუთი მოეგო. „გუშინ კინაღამ გავგიჟდი", უთხრა ფერზე მოსულმა მარტინამ ჟურნალისტებს, როცა ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა და ახლა სიხარულის ცრემლი გადმოყარა.

გამოდევნების ეტაპი შვედმა მაგდალენა ფორსბერგმა მოიგო და საერთო ჩათვლის ლიდერობა მეტად გაიმყარა. მას-სტარტზე ფორსბერგი მხოლოდ მეექვსე იყო, თუმცა საერთო ჩათვლაში მისი მძლეველი ვინ იქნებოდა, როცა, ჯერ უკრაინელი ელენა ზუბრილოვა ჩამორჩებოდა ბარე 80 ქულით, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ. ბიატლონი კი სამთოთხილამურობა არ გახლავთ, აქ ეტაპის მოგებისთვის 100 ქულას არავინ იძლევა. მოკლედ, ფორსბერგი ხანტი-მანსიინსკში ჩასვლამდეც მსოფლიოს თასის პატრონი იყო, ოღონდ იქ იურიდიული ფორმალობები მოაგვარა და ბროლის გლობუსიც ირგუნა. ასე დაწყობილად არ ჰქონია საქმე მამაკაცთა ლიდერს, ფრანგ რაფაელ პუარეს, რომლის პირველ ადგილსაც ნორვეგიელი ოლე-ეინარ ბიორნდალენი ემუქრებოდა და არც გერმანელი სვენ ფიშერი უყურებდა გულგრილად. ფიშერმა 12,5 კილომეტრიანი გამოდევნება მოიგო, მაგრამ პუარემაც იქვე, მის კუდში გადალახა ფინიშის ხაზი და გერმანელის პატივმოყვრული ჩანაფიქრი ჩაფუშა. მას-სტარტს ბევრი არაფერი შეუცვლია, ხანტი-მანსიინსკში ჩატანილი მეორე ბროლის გლობუსი პუარემ წაიღო საფრანგეთში.

**ქალთა საერთო ჩათვლა. 1. მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) — 510; 2. ელენა ზუბრილოვა (უკრაინა) — 424; 3. კორინე ნიოგრე (საფრანგეთი) — 411**

**კაცთა საერთო ჩათვლა. 1. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) — 470; 2. ოლე-ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) — 448; 3. სვენ ფიშერი (გერმანია) — 434**

**დავით გულუა**

# სისხლში გამჯდარი თამაში

REUTERS დელიდან



*რა არის ინდოელისთვის კრიკეტი? აბა, რა ვთქვათ. რომ მოგახსენოთ, იგივეა რაც ქართველთათვის ღვინო-თქო, მთლად მართალნი არ ვიქნებით. ვინაიდან ინდოელთათვის კრიკეტი ლამის ორი საუკუნის წინ შეძენილი და იმგვარად შესისხლხორცებული თამაშია, ურომლისოდაც... ოდესღაც ინგლისელ დამპყრობელთა გასართობი თამაში, ახლა ინდური სისხლის ნაწილად ქცეულა. შუა დელიში, ინდოეთის თაღის (ეს თაღი მსოფლიო ომში დაღუპულ ჰინდუსთა ხსოვნის უკვდავსაყოფად აღუმართავთ) ახლოს ბიჭუნები კრიკეტს თამაშობენ. საიდუმლო არ არის, რომ უამრავი პატარა ინდოელი ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზე ოცნებობს, რათა თავისი სახელი კიდით კიდემდე გასტყორცნოს.*

## სწრაფი რაინდი

ბრიტანელი მოტოციკლისტი სტირლინგ მოსი სისწრაფეს ჩვეული კაცია. ბუკინგემის სასახლის ჭიშკართანაც ისე მიჯირითებულა, რომ პოლიციელს უთქვამს, ამოისუნთქე და საბუთიც მაჩვენეო. სტირლინგს კაი გვარიანი საბუთი უჩვენებია — რაინდის ჯვარი და თან დაურთავს, ეს-ესაა უელსის პრინცმა ჩარლზმა რაინდად მაკურთხა და აჩქარება მაპატიეო.

REUTERS ლონდონიდან





## შეტაკებული

ესპანეთში ერთგვარად განთქმული შეჯიბრი, კატალონიის ტური დაიწყო. ჯერ მხოლოდ ორი ეტაპია გავლილი, ვნებათაღელვა კი დიდია. აი, ეს იტალიელიც, ემანუელე ნეგრინი რომ ჰქვია, კინაღამ წამხდარა. ქანცგაწყვეტით უქროლია 170 კილომეტრი და ფინიშის ხაზის გავლის შემდეგ შეტაკებია რაღაცას.

REUTERS ბრიუსელიდან



## კოჭლი ჩემპიონი და კეთილი მეფე

*მარცხნივ მოჰამედ მურიტია, მარჯვნივ მისი ძმა მორის მურიტი, შუაში კიდევ ბელგიის მეფე ალბერი. მეფეს ლაეკენის სასახლეში მიუწვევია ძმები, რომელთაგან პირველი მსოფლიო ჩემპიონი გამხდარა კროსში, მეორე კი ამ ჩემპიონის მწვრთნელია. ძმები მეფის ქვეშევრდომნი გახლავან, მუჰამედი კი საერთოდაც კოჭლია — ცალი ფეხი 17 მილიმეტრით მოკლე აქვს.*

REUTERS მონტმელოდან



## ჰერმინატორის აწყვეტა

სამთო თხილამურობის ავსტრიელმა ტერმინატორმა ჰერმან მაიერმა ამ კვირაში დიდი ამბები მოახდინა! წლევანდელ მსოფლიოს თასზე ყველაფერი მოიგო; მერე გაილეშა, ზეიმის ნიშნად რამე-რუმეები მილეწ-მოლეწა, სულ ბოლოს კი მოტოციკლს მოახტა და უცნობი მიმართულებით გაუტია. ტყუილად არ დაურქმევიათ ჰერმინატორი...

## ბრაზილიელები სან პაულუში

ამ კვირას ფორმულა ერთის მეორე ეტაპი გაიმართება. ცხადია, ბრაზილიაში, იქაური ჟურნალისტები სან პაულუში ჩაფრენილ მეფორმულეებზე ნადირობენ. თუმცა კი, ადგილობრივთა განსაკუთრებულ ინტერესს ბრაზილიელი მეფორმულენი იწვევენ. ამიტომაცაა, რომ „ფერარელი“ რუბენს ბარიკელო, „ბარელი“ რიკარდო ზონტა და „ზაუბერელი“ პედრო დინიცი შეკრებილან და ერთობლივი პრესკონფერენცია გაუმართავთ.

REUTERS სან პაულუდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აბვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli